ეროვნული
ბიბლიოთეკა

716
1930

# ჩაკრული

წიგნი მეოთხე

ქართველ მწერალთა გამოცემა

პარიზი

1930

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# KAVKASSIONI

RECUEIL GÉORGIEN LITTÉRAIRE

წიგნი მეოთხე

პარიზი — 1930

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## სადა ხარ

მშობელო მხარევ, მანდილ--მზიანო!
შენს მკლავებზეა ცა დაღვარული.
სადა ხარ, სადა! გაგიზიარო
ამდენი გრძნობა და სიყვარული.

აწი სად ვნახო ოქროს ნაპირი,
მტკვრის ტალღებს იქით ჭალა-კიდური;
ეზოს სიმღერა კილო-სამპირი,
მთები მარნებად ჩამოკიდული!

ეს მოგონებაც ისეა კარგი,
როგორც ბავშვების გრძნობა საშობო;
ან და რუსთველის ღვთიური ჰანგი,
ისე მიყვარხარ ტკბილო სამშობლო!

მიეცი ქარებს მანდ საჩუქარი,
მეც შემოვხვდები აქედან ქარებს.
თუნდაც შენს ახლოს ნავალი ქარი
მზის მდელოებზე გადამატარებს.

ასე უსახლოდ სანამ ვიარო!
და შევინახო ტრფობა ამდენი!
სადა ხარ, სადა! გაგიზიარო
გრძნობა ნამქერად გადმონადენი.



საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ ე ო ა მ ო ნ ი

## მზეო, მზეო

მზეო, მზეო — საქართველოს გორიდან,
ციხე-კოშკებს დაუშინე შუბები;
გორიდან მზე აქ აღარ გადმოვიდა!
და მოვდივარ, შენსკენ მოვეშერები.

ამოშუქდი, გადმოდი გორებიდან,
ბნელი არის გული მონამკვდარები.
აქ არიან, მხოლოდ მოგონებიდან,
წინაპრების ძვლები და აკლდამები.

სად დავკარგე ცა ლურჯად აფეთქილი,
როგორც მყუდროდ გადაშლილი ყვავილი!
გადამდნარი ტკბობით გადაფერფლილი,
ლაჟვარდებით ზღვისკენ გადაყვანილი!!

დაკარგულსაც უსამშობლოდ ელიან:
გრძნობა, აზრი, წამება, უბედობა;
თუ ელიან, კიდევ არაფერია,
სულ სხვა არის მუდამ უიმედობა.

ამოდი და ამოშუქდი შორიდან;
შავი ციდან მწუხარება ჩამოდის.
მწუხარიდა წუხელ შავით მოვიდა,
დავგვიანდი... თუმცა მოვიჩქაროდი.

მზეო, მზეო! საქართველოს გორიდან
ჩამოელიან ყურძნისფერი ქარები;
აქ, გორიდან მზე აღარ ამოვიდა!
და მოვდივარ, შენთან მოვეჩქარები.

სო — 30წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ნაილი

***

## დედას

ჯერ ისევ დილით ლამაზი იყო ეს ზღვა... უცხოეთის ხმელეთის ნაპირები მწკანე'ში ჩაფლული... პალმების გრძელი და ხშირი ფოთლები კოპწიად შეჰყურებდა ხმელეთს... ზღვას კი ქვეითა კბილებით უცინოდა.. ეს ხომ მთელი ტყე არის პალმების! მთელი ქალაქი რომ ფოთლებში ჩაუხვევია! მთელს ოჯახს მოშაგონებს, მე უოჯახო და გადმოკარგულს.— აგერ ის თესლი ისე ჩაკვრია თავის დედას თმებში, როგორც ათეული წლების წინ ჩემი ბავშური თითები დედის მადლიან ძუძუებს... რა ტკბილი იყო ის ძუძუები.! სანატრელი დედიკო...

ის ვარდი ისე-გა'ზლილია ამ თებერვალ'ში, როგორც ქართველი გოგონას მკერდზე ახლად-ა'ზლილი კოკორი... ეს ვარდი ისეთივე მიმხიდველია, ლამაზი და ნაზი, როგორც ქართველი დედის რძე-ნაწოვი ბავში! მე ობოლი ვარ და ეს წალკოტი ობლობას არ მაგონებს. ყვავილები ისე გულიანად იცინიან, როგორც ვაქკაცი თავის საკუთარ მამულში, ამიმავალ მზეს რო შეეგებება!

ეს ზღვა ლურჯია და მკრთალი; არა ჰგავს ჩვენსას; იგი ქუშტია და მედგარი, მედგარი და პირმოკუმული... — ქუშტია მოხეკეს გულსავით, რუსს რო მოიგონებს; მედგარი ქართველ მხედარსავით, მტრისაკენ რო მიიწევს; პირმოკუმული ქართველ მამული'შკილივით, ხელებგაკრული ღამის წყვდიად'ში საბურთალოსაკენ რო მიჰყავთ... ეს მზე კი ისე იცინის, როგორც მისი პატრონის გული!

ეხლა საღამოა. ზღვაში ჩაშკებულ ელექტროს სხივებს ზანტად თვალებს ვაყოლებ. იგი არას მეუბნება. მხატვრული გემოვნების რო ვყოფილიყავ, აუცილებლივ ბევრ სილამაზეს აღმოვაჩენდი. ეს ხომ ის მხარეა, ადამიანებმა რო სიამოვნების ქვეყანა უწოდეს. მაგრამ სიამოვნება ხომ ქართველისათვის უცნობია...

მხატვარი რო ვიყო, ამ უცხოეთის ლამაზ ნაპირებს ლამაზად გადავიღებდი, მაგრამ ქართველი გარდმოხვეწილი ვარ, და ისიც ისეთივე უსახლო, როგორც აი ეს ლოდი, რომელზეც მამაპაპურად დამჯდარვარ.

ეს ის ადგილია «ინგლისელთა ბაღს» რომ ეძახიან. აქ რჩეულთა საზოგადოება სეირნობს. ისმის ყველა ენა. ეს გრძელი ქალი, ასეთ-ასეთ თვალიერებს, პიანოს კლავიშების კბილებით, უთუოდ ინგლისელია. ის დიდტანიანები, წითელი სახეებით, უთუოდ გერმანელები არიან, და თითქო ყველა წევრია ას-კილოკანთა კავშირისა. ეს თეთრ-მკერდა გოგონა, ზღვისფერი თვალებით, უთუოდ სლავია, — და ის, ჩვენებური ხორბლის ფერი რომ აკრავს სახეზე, უსათუოდ იტალიელია... ამ მრავალფეროვან ხალხში ევროპელის თვალები უსათუოდ გამოირჩეოდა და გულსაც სხვანაირად მოხვდებოდა...

სიცივე მატულობს და უბინაობა მაწუხებს. რა კარგი იქნებოდა ეხლა ჩვენებური ბუხარი და დედის ხელით გამომცხვარი ხმიადი, ასე ძარღვიანი და გემრიელი!

ზღვაში ჩადგმული კაზინო ათას ფერად ანათებს. შიგ ათასფეროვანი ხალხია და ათასი გართობა. გადასწრივ, უზარმაზარი სასტუმრო — «ნეგრესკო»; მისი განიერი ფანჯრები ისეთივე ფართოა, როგორც შიგ მცხოვრებთა რიცხვი და მათი ქონება!

ეხლა თბილი ოთახი და ჩვენებური ლობიო ის აიაზმაა, მთელი ერი რომ აზიარა!

ჩქარი სირბილით გადავირბენ ლამაზ «სახალხო ბაღს», რომელიც ეხლა უღრან ტყედ მეჩვენება. სადგურზე დინჯად შევადიჯებ. აქ თბილა და დაჯდომაც შეიძლება. ორი საათი ორ საუკუნეს ჰგავს...

— ბატონო! გვიან არის, ვინმეს ელით? — მეკითხება ვიღაც. მე ფეხზე ვდგები და ვეკითხები:

— როდის იქნება უკანასკნელი მატარებელი?—

— უკვე ერთი საათია მას შემდეგ. —

ნელის ნაბიჯით და ბოღმიანი გულით ვტოვებ სადგურს.

«გამარჯვების ბაღს» მრავალჯერ გავზომავ. ზოგ შენობას დავიწუნებ, ზოგს ვიწონებ. საუკეთესოს ვისაკუთრებ. ზოგ ოთახს მეგობრებს ვაძლევ, ზოგს ნაცნობთ, ზოგს ნათესავებს, ზოგს საზოგადოებას, პირველ სართულს დედას დავუთმობ... როლს როისში ვზიკარ... იახტას ვყიდულობ... ტანკებსა და ჰაეროპლანებს საქართველოში ვაგზავნი და ...

ვუახლოვდები იმ ადგილს: ს ი ლ ა ნ ა ნ ნომერი 15 ტრამი გადის. ფული რომ მქონდეს იმ ქართველს ვესტუმრებოდი, რომელსაც ყველა ქართველი უყვარს და რომელიც ყველა ქართველს უყვარს.

დავხეტიალობ. და თავს ვაძლევ ანგარიშს, ოდეს გარიბალდის ძეგლს ვხედავ. ჰმ! მე რომ გარიბალდი ვყოფილიყავი...

მიველანები მზის შესახვედრად ზღვის ნაპირისაკენ. «ინგლისელების ბაღს» გადავირბენ და იმ ლოდზე ვჯდები, სადაც წარსული დღე შავად დაეღამე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ყიფიანი

***

ღამე შეირყა ტყიბულის მთებში,
ღამე ნახშირი, უნდო, შავგული;
ცივი წყარონი კლდის ნაწნავებში
ვერცხლის ქამრებად გადმოკიდული.

დაღლილ ხვევნაში ხევი იჭრება,
ბუტბუტებს ღელე, ღამის ხუმარა,
ცაზე ღრუბლები ისევ იშლება,
ვით განასროლი ცეცხლის ყუმბარა!

ნაქერალას მთა, ცად აზიდული
მთვარეს დაეძებს ღრუბლიან ცაში;
ბარ-ბილიკები, სახლი ფიცრული
გადაზიდული სოფლის კალთაში.

მიდამოს სახე მოუღუშია,
თავჩაქინდრული დგანან ქოხები,
მთას სიმაღლიდან გადმოუშვია
ღარიბ სოფლისთვის მწვანე ნოხები.

დილის მზის სხივი სისველეს აშრობს,
მთის მწვერვალები ნისლებს აზოლებს,
დღეს კი ამ სოფელს და გოეხის ნაშრომს
ტყვიის ვაზნები შემოაყოლეს.

ჩაეკონება გაწოლილ გორებს
შორს გადაშლილი მწვანე გრეხილი,
თითქოს ჰკოცნიან ერთი მეორეს
კლდეები გვერდებ-შემოტეხილი.

ლეჩხუმის მთა და მთა ნაქერალა
გადაწოლილი ეს ორი მდევი,
ქვა-ბუნა ქოხებს გადაეფარა
ყინულის მკერდით სვანეთის მთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრ ბალიშებზე ბანაობს ღამე
და ზურგს იქავებს კლდის ხრიოკებზე,
უშბას მწვერვალზე გაშლილა მთვარე
სხივთა ანკესით, როგორც მეთევზე.

ცივ ფერდობებზე ნიაღი გრილი...
სვანს სიხალისე უკრთის თვალებში,
შორს მწვერვალიდან ჯიხვი დაჭრილი
გადმოეშვება კლდის ნაპრალებში.

რაჭის სოფლები გაშლილან ბარად,
მწვანე ნაძვებში წკმუის მურია,
დღევანდელ დროის დასაფარავად
მთის მწვერვალები გადუხურია.

II

ნეტავ, რად მოსჩანს ეს ჩემი ქოხი
ნიგვზის ფოთლებში თვალ-მგლოვიარე;
გადავარდება ყანაში თოხი,
ფხვიერ მიწაზე ღაღადებს მთვარე.

იქ სიხალისე უბით დამქონდა,
იქ დავიბადე მაისის დღეში,
როცა სიახლე სურვილს ათრობდა
გულმკერდ გაღეღილ ზაფხულის ტყეში.

ეხლა სად არის ეს ყველაფერი?
სახლი, ბუჯერი, შვაცეცხლი, თარო?
წითელი ჩექმით გადანათელი
ჩემი აკვანი და სანეტარო!

ვით მოწყვეტილი ვარსკვლავი ცაზე,
ისე გამექცა ჩემი ბავშობა;
მახსოვს სიხარბე გამომცხვარ მჭადზე!
ღარიბ ოჯახში ცრემლი მახრჩობდა!

ისევ ის მქონდეს, ისევ ის ვიყო,
ჩემი ხალისი სოფლის ბილიკებს;
ვხედავ: — სიცოცხლე ორად გაიყო
ისე უეცრად, ვერც კი გავიგე!

ბჟანკური, მარტი, — 30 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერიხ მარია რემარკ

# დასავლეთით ახალი არაფერია

(თარგმანი გერმანულით)

## VI

ფურჩულობენ თავდასხმის შესახებ. ჩვენ ორი დღით ადრე მივდიოართ ფრონტზე, ვინემ სხვა დროს. გზაზე ვხვდებით დანგრეულ სკოლას. მის გვერდით სდგას ორკეცი, მაღალი კედელი, სრულიად ახალი, ნათელი, შეუღებავი კუბოებისა. ისინი კიდევ აფრქვევენ ფისის, ფიჭვისა და ტყის სუნს. სულ მცირე, ასამდე კუბოა.

«კარგად მოუფიქრებიათ თავდასხმისათვის!», ამბობს მუელერი გაკვირვებულად.

«ეს ჩვენთვისაა», ბურდღულებს დეტერინგი.

«ნუ სულელობ», უტევს მას კაჩი.

«გიხაროდეს, კუბოს მაინც თუ კი მიიღებ», იღრიჭება ტიადენი, «შენი ჯაგლაგი გვამისათვის კარავის ტილოც საკმარისია, ფრთხილად!»

სხვებიც ოხუნჯობენ აგრეთვე, ამბობენ უშნო ხუმრობას; რა უნდა ვქნათ სხვა. — ეს კუბოები მართლა ჩვენთვის არიან. ასეთ რამეში ორგანიზაცია არ მოიკოჭლებს.

წინ, ყოველგან ხმაურობს ყველაფერი. პირველ ღამეს ვცდილობთ გავერკვიოთ. და ვინაიდან საკმაოდ სიწყნარეა, შეგვიძლია გავიგონოთ მტრის ფრონტის ტრანსპორტი როგორ გამუდმებით ხმაურობს გათენებამდე. კაჩი ამბობს: ისინი კი არ მიდიან, არამედ ჯარი მოჰყავთ, ჯარი, მუნიცია, მუნიცია, ზარბაზნები.

ინგლისური არტილერია გაძლიერებულია, ჩვენ ეს მაშინვე გავიგონეთ. ფერმის მარჯვნივ სდგას სულ მცირე ოთხი ბატარეია 20,5 მეტი, და ალვის ტყის უკან აშენებენ მინების სასროლს. ამას გარდა, მოზიდეს მრავალი პატარა ფრანგული მხეცები ყუმბარებით.

ჩვენ ცუდ გუნებაზე ვართ: ორი საათის მერმე, რაც ჩვენ ბლინდაჟში ჩავსხედით, გვცემს ჩვენ სანგრებში საკუთარი არტილერია. ამ ერთ თვეში ეს მესამეჯერაა. რომ ეს დამიზნების შეცდომა იყოს, ამა,

ვინ რას იტყოდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ზარბაზნის ლულა მეტად გაცეთილია; ყუმბარა ხვდება პირდაპირ ჩვენს ხაზს; ასე საშიშარი ხდება ხშირად ჩვენი სროლა. ამ ღამეს ამის წყალობით გვყავს ოთხი დაჭრილი.

★

ფრონტი არის გალია, რომელშიაც კაცმა უნდა უცადოს, თუ რა მოხდება. ჩვენ ვიმყოფებით ბლინდაჟებში და ვცხოვრობთ გამოუცნობის მოლოდინში. ჩვენზე ბატონობს შემთხვევა. როცა ყუმბარა მოდის მე შემიძლია დავიღუნო, ესაა ყველაფერი; სად ჩავარდება იგი, არც ნამდვილად ვიცი და არც ძალმიძს მასზე გავლენა მოვახდინო.

ამ შემთხვევის ბრალია, რომ ჩვენ გულციცი გავხდით. რამოდენიმე თვის უკან ბლინდაჟში ვიჯექი და სიატს ვთამაშობდი; ცოტა ხნის შემდეგ ავდექი და გავიარე, რათა მეორე ბლინდაჟში ნაცნობები მენახა. როცა უკან დავბრუნდი, ჩემი ბლინდაჟისაგან აღარაფერი დარჩენილიყო, იგი მძიმე ყუმბარისაგან განაცარმტვერებულიყო. მე გამოვბრუნდი უკანვე და სწორედ კარგ დროს მივუსწარ, რათა მივშველებოდი ჩამარხული ხალხი ამოგვეყვანა; იმ დროის განმავლობაში ბლინდაჟი ჩაქცეულიყო.

ამგვარივე შემთხვევით, როდესაც მომხვდება, ვრჩები ცოცხალი. ყუმბარებისაგან დამცველ ბლინდაჟში შეიძლება გაჭყლეტილ ვიქნე და სწორ ველზე კი, ათი საათის ქარიშხალური სროლის დროს გადავრჩე. თვითეული ჯარისკაცი ცოცხალი რჩება მხოლოდ ათასი შემთხვევის წყალობით. და თვითეულ ჯარისკაცს სწამს და ენდობა შემთხვევას.

★

ჩვენ პურს ყურადღება უნდა მივაქციოთ. ამ უკანასკნელ დროს ძალიან გამრავლდენ ვირთაგვები, მას შემდეგ, რაც სანგრებში წესრიგი აღარ არის. დეტერინგი ამტკიცებს, თითქო ეს იყოს უეჭვო ნიშანი დიდი ამბებისა.

აქაური ვირთაგვები განსაკუთრებით საზიზღარი არიან, რადგან ისინი ასე დიდები არიან. ისინი ისეთი ჯიშისაა, რომელსაც ლონდონის ვირთაგვებს უწოდებენ. მათ აქვთ საზიზღარი, ბოროტი, შიშველი სახე და შეიძლება გული შეგიწუხდეს, თუ მათ გრძელ, ტიტველ კუდს დაინახავ.

ისინი ალბად მართლა მშიერები არიან. თითქმის ყველას შეუჭამეს პური. კოლპს უძევს თავისი პური თავ-ქვეშ, მაგრამ ტილოში გახვეული, მაგრამ მას აღარ შეუძლია დაძინება, რადგან ვირთაგვები მის თავზე დარბიან პურის გამოსაგლეჯად. დეტერინგმა ეშმაკობა იხმარა: მან ბლინდაჟის ჭერზე მავთული მიამაგრა და თავისი ჩანთა პურით ზედ ჩამოკიდა; მაგრამ როცა იგი ღამით ჯიბის სანთურსმიანათებს, ხედავს, რომ მისი ჩანთა აქეთ-იქით ქანაობს. პურზე ზის მსუქანი ვირთაგვა.

დაბოლოს გადავწყვიტეთ. ცხოველებისაგან დაჭრული პურის კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენი დიდი მზრუნველობით შემოვჭერით; პურის გადაგდება არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია, რადგან ხვალ სხვა რაიმე საჭმელი არ გვქონდეს. მოჭრილი ნაწილაკები დავაგროვეთ შუაში, მიწაზე. თვითეული ხელში იღებს თავის ნიჩაბს და ემზადება დასარტყმელად. დეტერინგს, კროპს და კაჩს უკავიათ მზად ჯიბის ასანთურები.

რამოდენიმე წუთის შემდეგ გვესმის პირველი კრაჭუნი და ხრამუნი. იგი ძლიერდება, მაშ ეხლა ბევრი პაწაწა ფეხია აქ. უცბად ანათებენ ასანთურები და ყველა ურტყამს ამ შავ ჯგროზე, რომელიც ჭყივილით განიბნევა. შედეგი კარგია. ჩვენ გადავყარეთ გაჭყლეტილი ვირთაგვები სანგრებს იქით და კვლავ მოვემზადეთ სადარაჯოდ.

კიდევ რამოდენჯერმე წარმატებით დავბეგვეთ ისინი. მაშინ ცხოველებმა რაღაც შენიშნეს, ან სისხლი იყნოსეს. აღარ მოდიან. ამის მიუხედავად, მიწაზე დარჩენილი პურის ნამცეცები მეორე დილას მათ მიერ წაღებული აღმოჩნდა.

მეზობელ ნაწილში ვირთაგვები თავს დაესხენ დიდ კატასა და ძაღლს, სიკვდილამდე დაჰკბინეს და შეახრამუნეს.

შემდეგ დღეს გვქონება ედამური ყველი. თვითეული ღებულობს თითქმის ყველის მეოთხედს. ეს ნაწილობრივ კარგია, რადგან ედამური ყველი გემრიელია — და ნაწილობრივ ცუდია, ვინაიდან ეს რგვალი, სქელი, წითელშემოკრული ყველი აქამდე ყოველთვის იმისი ნიშანი იყო, რომ იქნებოდა ხოლმე მძიმე ბრძოლა. ჩვენი წინაგრძნობა უფრო ძლიერდება, როცა სასმელსაც გაძლევენ. ჯერჯერობით ჩვენ იგი გადავკარით, მაგრამ ამით ჩვენ კარგ გუნებაზე არ დამდგარვართ.

მთელი დღის განმავლობაში ერთმანეთს ვეჯიბრებით ვირთაგვებზე სროლაში და დავბორიალობთ. ვაზნები და ხელყუმბარების თადარიგი იზრდება. ხიშტებს ვშინჯავთ ჩვენ თვითონ. არის ზოგიერთი ისეთი ხიშტი, რომელიც მეორე პირზე, ჩლუნგ მხარეზე, ვით ხერხი ისეა კბილებიანი. თუ ვინმე ამგვარი-ხიშტიანი მტრებს ჩაუვარდა ხელში, ველარ გადარჩებიან. მეზობელ ნაწილში ენახეთ ისეთი ხალხი, ვისთვისაცხიშტის ამ ხერხიან პირით ცხვირი მოუჭრიათ, თვალები ამოუკაწრავთ, მერმე პირი და ცხვირი ამ ნახერხით გაუტენიათ და ასე დაუხჩვიათ.

ზოგიერთ ახალწვეულებს ამგვარიცე ხანჯალი აქვთ. ჩვენ მათ ვისვრით და სამაგიეროს ვაძლევთ.

ხერხიანმა ხიშტმა ყოველ შემთხვევაში მნიშვნელობა დაჰკარგა. თავდასხმისათვის ეხლა მოდაშია ხელყუმბარები და ნიჩბები. გალესილი ნიჩაბი უფრო მჩატე და მრავალჭხროვანი იარაღია, მით შეიძლება არა მარტო ნიკაპს ქვეშ, ქვემოდ შერჭობა, არამედ, განსაკუთრებით, მითი დარტყმა, ამას აქვს მეტი ძალა, უფრო მაშინ, როცა კისერსა და ბეჭს შუა პირდაპირ მოხვდება, სჩეხავს იოლად, სწორედ მკერდამდე. ხანჯალი ჩაცემისას ხშირად ეკვეტება, მოწინააღმდეგეს ჯერ წიხლი უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰკრა მუცელში, რომ იგი გამოაძრო, და ამ დროის განმავლობაში ადვილად თვითონ მიიღებ დაკვრას. ამასთან ხანდახან ტყდება კიდეც იგი.

ღამით გამოუშვეს გაზი. ჩვენ მოველით თავდასხმას და ნიღაბითურთ ვწევართ, მზად, ჩამოვიგლიჯოთ, როგორც კი პირველი აჩრდილი გამოჩნდება.

დილა უკვე მტრედისფერობს, მაგრამ არაფერი ხდება. ხოლო მუდმივ ეს ნერვების დამგლეჯი ტრანსპორტის ხმა ჩვენი მტრის სანგართა გადაღმა — მატარებელნი, მატარებელნი, ავტომობილები, ავტომობილები, რა ჯანდაბას აგროვებენ იქ, ნეტავ? ჩვენი არტილერია შეუწყვეტლივ სცემს მათ, მაგრამ ისინი არ ჩერდებიან, არ ჩერდებიან. —

ჩვენ გვაქვს დაღლილი სახეები და ერთმანეთს აღარ ვუყურებთ. «ეს იქნება როგორც სომმაზე, სადაც შვიდი დღე-ღამე გრიგალისებური ცეცხლი გვქონდა», ამბობს კაჩი მწუხარედ. მას აღარ აქვს ოხუნჯობის უნარი მას შემდეგ, რაც ჩვენ აქა ვართ, და ეს ცუდია, რადგანაც კაჩი ფრონტის ძველი ღორია, კარგი ყნოსვა რომ აქვს. მხოლოდ ტიადენს უხარია ზორბა ულუფა და რუმი; იგი ფიქრობს კიდეც, ჩვენ გავბრუნდებით უკან სწორედ ასეთ სიწყნარეში, არაფერიც არ მოხდებაო.

თითქმის ესეც სჩანს. დღე დღეს მისდევს. ღამით ვზივართ ჯუჯრუტანაში, საგუშაგოზე. ჩემს მაღლა მიილტვიან მაშხალები, შუქმცემი ქოლგები და ეცემიან ძირს. მე ფრთხილადა ვარ და დაყურსული, გული ჩემი ძგერს, მუდმივ ჩავჩერებივარ საათს, მანათობელი ციფრბლატით; ისარს წინ აღარ უნდა წასვლა. ძილი ჰკიდია ჩემს ქუთუთოებზე, რომ არ დამეძინოს თითებს ვანძრევ ჩექმებში. სანამ შემცვლიან, არაფერი მოხდება — მხოლოდ ეს რახარუხი გადაღმა! ჩვენ ნელნელა ვწყნარდებით და მუდამ სკატს ვთამაშობთ და ვლაყბობთ. შესაძლებელია ბედმა გაგვიღიმოს.

ცა მთელი დღე გავსებულია ბალონებით. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაღმიდან აგრეთვე ტანკებს მოაგორებენ და თავდასხმაში ჰაეროპლანებიც მონაწილეობას მიიღებენ. ეხლა ეს უფრო ნაკლებ გვაინტერესებს ვინემ ის, რასაც ახლად გამოგონებულ ცეცხლისმსროლელ იარაღის შესახებ გვიამბობენ.

★

შუაღამისას ვიღვიძებთ. დედამიწა კვნესის. მძიმე ცეცხლის ქვეშ ვიმყოფებით. ჩვენ ვიკრუნჩხებით კუთხეებში. ყველა ყალიბის ზარბაზანთა გამოცნობა შეგვიძლია ეხლა.

თვითეული მირბის თავის საგნებისაკენ და ისწრაფის გაიგოს, ყველა იარაღი თავის ადგილზეა თუ არა. ბლინდაჟი ირყევა, ღამე არის გრიალი და ელვა. ჩვენ ერთმანეთს ვხედავთ წუთის განმავლობის სინათლეში და ვაქანებთ თავებს გაფითრებული სახითა და მოკუმული ტუჩებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითეული გრძნობს, თუ მძიმე ყუმბარები სანგრების დამცველ-
საგნებს როგორ ლეწავენ, კედლებს როგორ სძვრიან და ზემოდ გადაფუ-
რებულ ბეტონის თაღს როგორ ჰგლეჯენ. ჩვენ ვამჩნევთ ყრუ, სასოწარ-
კვეთილ დარტყმას, გარეული მხეცის შემოძახილს რო ჰგავს, როდესაც
ყუმბარა სანგარში ეცემა. დილით, უკვე რამოდენიმე ახალგაწვეულთა-
განი მწვანე არიან და არწყევენ. ისინი ჯერ მეტად გამოუცდელი არიან.

სასროლო ჭუჭრუტანაში ნელა მოძვრება საზიზღრად რუხი სი-
ნათლე და აფეთქებულ ყუმბარათა სინათლეს ასუსტებს. გათენდა. არ-
ტილერიის ცეცხლში ირევა ეხლა ასაფეთქებელი მინნა. ეს არის გასაგი-
ქებელი შერყევა, რომელიც კი არსებობს. სადაც მინნა ჩაასკდება, იქაა
მასსიური სასაფლაო.

გამომცვლელნი გადიან გარედ, გუშაგები შემორბიან შიგნით,
გატალახებული, აძიგძიგებული. ერთი მათგანი ჩუმად მიჯდება კუთხე-
ში და სჭამს, მეორე, რეზერვისტი, ჰქვითინებს; იგი ორჯერ აისროლა
სანგრებს მაღლა აფეთქებისაგან ჰაერის დაწოლამ, და არაფერი დაშავე-
ბია გარდა იმისა, რომ ნერვები შეერყა.

ახალგაწვეულები მას მისჩერებიან. ასეთი რამ გადამდებია, ჩვენ
ყური უნდა ვუგდოთ: სხვა და სხვა ტუჩები უკვე იკლაკნებიან. კარგია,
რომ დღეა; თავდასხმა შეიძლება შუადღემდე მოხდეს.

ცეცხლი არ სუსტდება. იგი სცემს აგრეთვე ჩვენს უკანაც. რამ-
დენათაც დანახვა შეიძლება, ამოხეთქავენ ხოლმე ტალახისა და რკინის
შადრევანები. მეტად ფართო წრე აუღიათ სასროლად.

თავდასხმა არა ხდება, მაგრამ სროლა ჯერ კიდევ გრძელდება.
ჩვენ ნელინელ ვყრუვდებით. თითქმის არავინ-ღა ლაპარაკობს. არ შეი-
ძლება გაიგო.

ჩვენი სანგარი თითქმის დალეწილია. მრავალ ადგილას მხოლოდ
ნახევარ მეტრამდე თუა კიდევ ამოწეული, იგი დანგრეულია, ხვრელები,
ორმოები, მიწის გორები. სწორედ ჩვენი სათოფურის წინ ყუმბარა გა-
სკდა. უცბად დაბნელდა. ჩვენ მოგვეყარა მიწა და ჩვენ უნდა ამოგ-
ითხ-
რონ. ერთი საათის შემდეგ შემოსასვლელი ისევ თავისუფალია, და ჩვენ
უფრო ყოჩაღად ვართ, რადგან წავიმუშავეთ.

ჩვენი რაზმის უფროსი მოძვრება შიგნით და გვატყობინებს, რომ
ორი ბლინდაჟი აღარ არისო. ახალწვეულნი წყნარდებიან, როცა ისინი
მას ხედავენ. ის ამბობს, საღამოს საჭმელის მოტანას უნდა შეეცადო-
თო. ეს დამამშვიდებელია. არავის არ უფიქრია ამაზე, ტიადენს გარდა.
გარედან რაღაც კიდევ მოდის, ჩვენ მასთან კავშირი გვაქვს — თუ საჭმე-
ლი მოტანილ უნდა იქნეს, მაშ მაინცდამაინც არც ისე ცუდათ ყოფილა
საქმე, ფიქრობენ ახალწვეულნი. ჩვენ მათ იმედს არ ვუკარგავთ, ჩვენ
ვიცით, რომ საჭმელი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თოფიარაღი
და ამიტომ მოტანილ უნდა იქნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს მაინც ვერ მოახერხეს. მიდის მეორე რიგი — ისიც ბრუნდება. დაბოლოს კაჩიც მიდის. მაგრამ თვითონ ისიც კი უშედეგოდ ბრუნდება. ველარავინ გადის გარედ, არც ერთი ძაღლის კუდი არ არის საკმაოდ ვიწრო ასეთი ცეცხლისათვის.

ჩვენ მაგრად ვიჭირებთ საშიმშილო ქამრებს და თვითეულ ლუკმას სამჯერ მეტ ხანს ვცოხნით. მაგრამ ეს მაინც არა გვყოფნის; საშინელი ტკივილი გვაქვს მუცელში. მე შევინახე პურის ყუა. ლბილი ნაწილი გამოვჭამე, ყუა ჩავტოვე პურის ჩანთაში. დროგამოშვებით მასაც აფორთხვით ვეწკევი ხოლმე.

★

აუტანელი ღამეა. არ შეგვიძლია დავიძინოთ, დაჭყეტილი გვაქვს თვალები და ნახევრად ძილს განვიცდით. ტიალენი სწუხს, რომ დახრული პურის ნაჭრები ვირთაგვებისათვის დავხარჯეთ. ჩვენ ისინი უსათუოდ უნდა შეგვენახა. ეხლა ის შესჭამდა. წყალიც გვაკლია, მ გრამ არც ისე დიდათ.

განთიადისას, როცა ჯერ კიდევ ბნელა, დაიწყო მღელვარება. კარებში მორბის მთელი ჯგრო ვირთაგვებისა და გარბიან კედლებზე. ჯიბის ასანთურებით ვანათებთ არეულობაზე. ყველა ყვირის, ილანძღება და ურტყამს მათ. ეს არის ჯავრისამოყრა და მრავალ საათის განმავლობაში განცდილი სასოწარკვეთილების გამოსახვა, ამით გულს იოხებენ. სახეები დამანჭული გვაქვს, მკლავები ურტყამენ, ცხოველები გასჭყვირიან, ძნელია უკვე თავი შევიკავოთ. თითქმის ერთი მეორეს დაესხმოდა თავზე კიდეც.

ამ აღელვებამ ღონე წაგვართვა. ვწევართ და ვიცდით ისევ. სასწაულია, ჩვენ ბლინდაჟს რო არავითარი ზიანი არ აქვს. ეს არის ერთი დარჩენილი იმ ცოტა ღრმა სანგრებიდან, რომელნიც ჯერ კიდევ არიან.

უნტეროფიცერი მოძვრება შიგნით. მას პური აქვს ხელში. სამ კაცს მაინც იღბალი მოსვლიათ, ღამით გაუხწევიათ და ცოტა სურსათი მოუტანიათ. მოგვითხრობენ: — რომ შეუსუსტებელი ძალით მტრის არტილერიის ცეცხლი ჩვენი არტილერიის სადგომამდე სცემს. გამოუცნობია, იქ, გადაღმა საიდან მოაქვთ ამდენი ყუმბარები.

ჩვენ უნდა ვიცადოთ, ვიცადოთ. შუადღეს ხდება ის, რასაც უკვე ანგარიშს ვუწევდი. ერთ ახალწვეულს სიგიჟე ემართება. დიდი ხანია რაც მას ვუთვალთვალებდი, თუ მას კბილები როგორ უკაწკაწებდენ და ის მუშტებს როგორ შლიდა და კუმშავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ტანჯულ, გადმომხტარ თვალებს საკმაოდ ვიცნობთ. უკანასკნელ საათში ის თითქო დაწყნარდა. ის ჩაემხო ვით დამპალი ხე.

ეხლა დგება ის, შეუმჩნეველი მიფოფხავს ის, ჩერდება ერთ წამს და მერმე კარებისაკენ მიექანება. მე გზას ვუღობავ და ვეკითხები:

«სად მიდიხარ?»

«ეხლავე დავბრუნდები», მეუბნება და უნდა გვერდი ამიაროს.

«მოიცადე კიდევ, ცეცხლი ალბად შემცირდება».

ის მმორჩილდება და ერთ წუთს მისი თვალები იწმინდებიან. მერმე ისევ არეული გამოხედვა მიეცემა, როგორც ცოფიან ძაღლს, გაჩუმდება და გვერდზე მიმწევს.

«ერთ წუთს, ამხანაგო», ვუძახი მე. კაჩი ყურადღებას აქცევს. სწორედ იმ წუთში, როდესაც ის მე გვერდზე მაგდებს, კაჩი სტაცებს ხელს და ჩვენ ვიჭერთ მას.

მაშინათვე იწყებს ის გადარევას. «გამიშვით, გამიშვით გარედ, გარედ მინდა!»

ის აღარ გვისმენს და მიიჭაჩება, პირი სოველი აქვს და ისკრის სიტყვებს, ფურთხიან უაზრო სიტყვებს. ეს არის გადარევა ბლინდაჟის შიშის გამო, მას აქვს გრძნობა, თითქო ის იხრჩობოდეს და იცის მხოლოდ ერთი მისწრაფება: გარედ გაახწიოს. თუ მას გაუშვებ, ის უეჭველად სირბილს დაიწყებს სადმე. ის პირველი არაა.

და რადგან ის მეტად გადაირია და თვალები უკვე გადაატრიალა, აღარაფერი უშველის, ჩვენ მას უნდა ვცემოთ, რომ ის გონზე მოვიყვანოთ. ჩვენ ამას სწრაფად ვასრულებთ და შეუცოდებლად, და ვახწევთ იმას, რომ ის ჯერჯერობით წყნარად ზის. ამ ამბავის გამო დანარჩენები გაფითრდენ; იმედია, ეს სხვებს დააშინებს. ეს გრიგალისებური ცეცხლი მეტისმეტია საწყალი ბიჭებისათვის; ისინი პირდაპირ საველე რეკრუტთა დეპოდან ჩაცვივდენ ამ სასაკლაოში, რომელიც თვით ხნიერ კაცსაც კი თმას გაუთეთრებს.

დახშული ჰაერი ამ ამბავის შემდეგ კიდევ უფრო მეტად აწუხებს ჩვენს ნერვებს. ვსხედვართ ვით საკუთარ კუბოში და ვუცდით მხოლოდ თუ როდის მოგვაყრიან მიწას.

უცბად ღრიალებს და ელავს საშინლად, ბლინდაჟი ჭრიალებს და ზანზარებს მასზე მოხვედრილ ყუმბარის ქვეშ; საბედნიეროდ, ყუმბარა მსუბუქია და ბეტონის სახურავმა გაუძლო. ისმის ზანზარის ხმა, ლითონური და საშინელი, კედლები ქანაობენ, თოფები, ქუდები, მიწა, ტალახი ფრინავენ. გოგირდის კვამლი იჭრება შიგნით. რომ ჩვენ ამ მაგარ ბლინდაჟის მაგივრად მსუბუქ ბლინდაჟში მჯდარვიყაყით, რომელთაც ეხლა ამ უკანასკნელად აშენებდენ, არც ერთი ჩვენგანი ცოცხალი არ გადარჩებოდა. შედეგი მაინც საკმაოდ ცუდია. წინანდელი ახალწვეული ისევ გიჟდება, მას ეხლა ორი სხვა ემატება. ერთი გვისხლტება ხელიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გარბის გარედ. ჩვენ დანარჩენ ორს ვეჭიდებით. მე გამოვეკიდე, გაცეულს და ვფიქრობ, ვესროლო თუ არა მას ფეხებში—ამ დროს სტვენს, ვეცემი მიწაზე და როცა ზეზე ვდგები, ვხედავ: სანგარის კედელი გაჭექილია ცხელი ნატეხებით, ხორცის ნაგლეჯებით და ტანისამოსის ნაფლეთებით. მე მივვრები უკანვე.

პირველი, როგორც სჩანს, ჭკუაზე მართლა შეირყა. ის თხასავით კედელს ეჯახება თავით, რა წამს ხელს გაუშვებენ ხოლმე. ღამე უნდა შევეცადოთ, ის უკან გადავაგზავნოთ. ჯერჯეროობით ის შევკარით ისე მაგრად, რომ თავდასხმის დროს შეიძლებოდეს სწრაფად მისი განთავისუფლება.

კაჩი წინადადებას იძლევა სკატი ვითამაშოთ — რა უნდა ჰქნა? შეიძლება ამით შევიმსუბუქოთ მდგომარეობა. მაგრამ აქედან არაფერი გამოდის, ჩვენ ყურებს ვცქვეტთ თვითეულ აუეთ'ებაზე, რომელიც ახლოსაა, გვეშლება კარტის ანგარიში და მასტზე მასტით ვედარ ვუპასუხებთ. უნდა თავი დავანებოთ ამას. ჩვენ ვზიავართ ვით უსარმაზარ მოგუგუნე ქვაბში, რომელსაც ყოველი მხრიდან ურტყამენ. —

კიდევ ერთი ღამე. ეხლა ჩვენ დაჭიმვისაგან დაჩლუნგებული ვართ. ეს არის სასიკვდილო დაჭიმვა, რომელიც ვით კბილებიანი დანა ჩვენ ზურგს ჰკაწრავს. ფეხებს აღარ უნდათ მოძრაობა, ხელები ცახცახებენ, სხეული გადაქცეულია თხელ კანად, რომელიც გადაკრული აქვს ძლივს თავშეკავებულ სიგიჟეს და აგრეთვე თავშეუკავებლად აღმოხეთქილ დაუსრულებელ ღრიალს. ჩვენ აღარა გვაქვს ხორცი და კუნთები, აღარ შეგვიძლია ერთმანეთს ვუმზიროთ, რაღაც გამოუცნობელის შიშის გამო. ამგვარად, მწარედ მოკუმული გვაქვს ტუჩები — ეს გაივლის — ეს გაივლის — შეიძლება გავახწიოთ აქედან.

★

ერთბაშად ახლო სკდომა წყდება. ცეცხლი გრძელდება, მაგრამ ის სცემს ეხლა ჩვენს უკან. ჩვენი სანგარი მისგან თავისუფალია. ჩვენ ხელს ვსტაცებთ ხელყუმბარებს, ვისვრით მათ ბრუსტვერის გადაღმა და ვხტებით გარედ. გრიგალისებური ცეცხლი შესწყდა, მაგრამ ჩვენს უკან მაინც ძევს შემაფერხებელი ცეცხლი. თავდასხმა უკვე აქაა!

ვერავინ დაიჯერებდა, რომ ამ გადაბრუნებულ უდაბნოში ადამიანები შეიძლება კიდევ ყოფილიყვნენ; მაგრამ ეხლა ყველგან, სანგრებიდან მოძვრებიან ლითონის ქუდები, და ორმოცდაათი მეტრის მანძილზე, ჩვენ წინ უკვე დადგმულია ტყვიამფრქვევი, რომელიც სწრაფულ ტაკტაკს იწყებს.

მავთულის ღობენი დაგლეჯილი არიან, მაგრამ ჯერ მაინც დგანან. ჩვენ ვხედავთ თავდამსხმელნი როგორ მოდიან. ჩვენი არტილერია გრგვინავს. ტყვიაფრქვევნი კაკანებენ, თოფები დუგდუგებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაღმიდან ჩვენსკენ მოიკვლევენ გზას. ჰაიე და კროპი იწყებენ სროლას ხელყუმბარებით. ისინი ისვრიან სწრაფად, რამდენათაც შეუძლიათ; ჩვენ მათ ვაწოდებთ ყუმბარებს უკვე გამოძრობილი სახელურებით. ჰაიე ისვრის სამოცი მეტრის სიშორეზე, კროპი ორმოცდაათზე; ეს უკვე გამოცდილი გვაქვს და მნიშვნელოვანია. გადაღმელებს სირბილში ბევრი არაფერი შეუძლიათ, სანამ ოცდაათ მეტრზე ახლო არ მოგვიდგებიან.

ჩვენ ვხედავთ დამანჭულ სახეებს, ბრტყელ კასკებს, — ეს ფრანგები არიან. ისინი აღწევენ მავთულის ღობეთა ნაშთებს და აქვთ შესამჩნევი ზარალი. მათ ერთი მთელი რიგი ჩვენ ტყვიამფრქვევთაგან ჩვენს ახლო იცელება; მერმე გვაქვს დაწყობილი ბევრი შემაფერხებელი საგანი და შემდეგ, ისინი უფრო ახლო იქნებიან.

მე ვხედავ ერთ მათგანს, რომელიც ისპანურ რაიტერში ებმება მაღლა აწეული თავით. მისი ტანი ემხობა, ხელები მაღლა რჩება, თითქო მას ლოცვა სდომოდეს. მერმე მისი სხეული მთლიანად ვარდება უკან და მხოლოდ დახვრეტილი ხელები, მკლავების ნაგლეჯითურთ, ჰკიდიან მავთულებზე.

იმ წუთს, როდესაც უკან ვიჩქარით, სამი სახე მოძვრება მიწიდან. ერთი კასკის ქვეშ ბნელი, წვეტიანი წვერები და ორი თვალი, რომელიც მე მომშტერებია. მე აწევ ხელი, მაგრამ არ შემიძლია ვესროლო ამ უცნაურ თვალებს; ერთი, გაგიჟებული წუთის განმავლობაში ხდება მთელი სასტიკი ბრძოლა ჩემსა და ამ ორ თვალს შორის, და ვართ მხოლოდ უძრავი, მერმე — გადაღმიდან ამოდის თავი, ხელი, მოძრაობა და ჩემი ყუმბარა მიჰქრის მისკენ.

ჩვენ გავრბივართ უკან, ვყრით ისპანურ რაიტერებს სანგრებში, და უკან ვისვრით მოშუშხუნე ხელყუმბარებს, რომელნიც ცეცხლის გზას ჰქმნიან და ჩვენს უკანდახევას უზრუნველჰყოფენ, ახლო პოზიციებიდან ისვრიან ტყვიამფრქვევნი.

ჩვენ გადავიქეცით საშიშ მხეცებად. ჩვენ არ ვიბრძვით, ჩვენ ვიცავთ თავს განადგურებისაგან. ვისვრით ყუმბარებს არა ადამიანების წინააღმდეგ, ამ წუთში ჩვენ მათ შესახებ რა ვიცით! — ხელებითა და კასკებით მოგვდევს ჩვენ სიკვდილი; სამი დღის მოცდის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია პირველად ეხლა მას სახეში შევხედოთ, სამი დღის მოცდის შემდეგ, ჩვენ პირველად შეგვიძლია მის წინააღმდეგ თავი დავიცვათ; ჩვენ გვაქვს გასაგიჟებელი სიბრაზე. მეტად აღარა ვწევართ ქანცმოწყვეტილი, სახრჩობელას მოლოდინში, ჩვენ შეგვიძლია ვანადგუროთ და ვხოცოთ, რათა ჩვენი თავი გადავარჩინოთ და შური ვიძიოთ.

ვიჩოქებთ ყოველი კუთხის უკან, ყოველი მავთულ-ღობეს უკან, და ვესვრით თავდამსხმელებს აფეთქებათა კონებს ფერხთა წინ, სანამ უკან გავიქცეოდეთ. ხელყუმბარათა ჭექაქუხილი ძლიერად იჭრება ჩვენს



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელებში, ფეხებში; მოკუნტული ვით კატები გავრბივართ, მოტაცებული ამ ტალღით, რომელიც ჩვენ გვატარებს, რომელიც ჩვენ გვხდის [illegible] უზოგველ სასტიკად, ავაზაკად, მკვლელად, ჯანდაბად, — ეს ტალღა, რომელიც ჩვენს ღონეს აასკეცებს შიშში და სიბრაზეში და სიცოცხლის წყურვილით, რომელიც ჩვენთვის გადარჩენას ეძებს და მისთვის იბრძვის. თუნდ მამა-შენიც მოდიოდეს გადაღმიდან მათთან ერთად, არ შეეყოყმანდები მას მკერდში ყუმბარა არტყა!

წინა-სანგრები მივატოვეთ. არიან ისინი კიდევ სანგრები? ისინი დაგლეჯილი განადგურებული — არიან სანგართა მხოლოდ ცალ-ცალკე ნაჭრები, ხვრელები, შეერთებული ბილიკებით, ყუბმრათაგან ამოთხრილი ორმოები და მეტი არაფერი. მაგრამ მტრის ზარალი იზრდება. იგი ამოდენა წინააღმდეგობას არ მოელოდა!

★

შუადღე გახდა. მზე სწვავს, და ოფლი გკბენს თვალებში, ჩვენ ვიხოცავთ მას სახელოებით. ხანდახან სისხლი მოჰყვება მას. პირველი, ჯერ კიდევ კარგად დაცული სანგარი გამოჩნდა. იკი დაკავებულია და იქ ემზადებიან კონტრ-შეტევისთვის, იგი გვღებულობს ჩვენ. ჩვენი არტილერია მთელის ძალით სცემს თავდამსხმელთ და აფერხებს მათ შემოტევას.

თავდამსხმელები ჩერდებიან. აღარ შეუძლიათ წინ წამოსვლა. ჩვენმა არტილერიამ უკუაგდო მათი თავდასხმა. ჩვენ ვიცდით. ცეცხლი ხტის ასი მეტრის იქით, და ჩვენ გავრბივართ წინისაკენ. ჩემს გვერდით ერთ ნაცვალს თავი წააგჯა. იგი გარბის კიდევ რამოდენიმე ნაბიჯს მაშინ როცა სისხლი როგორც შადრევანი ამოჰქუხს მისი კისერიდან.

ხელჩართული ომი არა ხდება, მტერი იხევს უკან. ჩვენ ისევ ჩვენს ძველ სანგრების ნანგრევებს ვაღწევთ და გადავრბივართ მის წინ, შორს.

ოჰ, ეს მობრუნება! მიაღწიე თავდამცველ სათადარი გოსანგრებს, გინდა ჩაძვრე იქ, გაჰქრე — და უნდა მობრუნდე ისევ და შეიჭრა ისევ ამ საშინელებაში. რომ ჩვენ ამ წუთში ავტომატები არ ვყოფილვიყავით, ჩვენ დავრჩებოდით მწოლარე, დაქანცული და უნებო. მაგრამ ჩვენ ისევ გვერეკებიან წინ, უნებოებს, მაგრამ მაინც გაგიქებულად ველურებს და გადარეულებს, ჩვენ გვინდა ვხოცოთ, ვკლათ, ვინაიდან იქ გადაღმა ჩვენს სასიკვდილოდ მტრები არიან, მათი თოფები და ყუმბარები ჩვენს წინააღმდეგ მომართული არიან, არ დაეხოცავთ ჩვენ მათ! მაშინ ისინი დაგვხოცავენ ჩვენ.

რუხი მიწა, დაგლეჯილი, გადაბრუნებული რუხი მიწა, მზის სხივებს ქვეშ მსუქნად მოელვარე, არის ადგილი შეუჩერებელ ჩლუნგ ავტომატებისა; ჩვენი ხვნეშა ფრთების ფრთხიალია, ტუჩები მშრალია, თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო გარეტიანებულია ვინემ მთელი ღამის ლოთობის შემდეგ — ასე მივბარბაცებთ წინისკენ, და ჩვენს გაცარიელებულ, დახვრეტილ სულში ბურღვივით ჩადის წვალებით-ძალით სურათი რუხი მიწისა მსუქანი მზით და მოფართხალე და მკვდარი ჯარისკაცებით, მასზე რომ ჰყრიან, თითქოს ეს ასე უნდა იყოს, რომელნიც ჩვენს ფეხებს ხელს ავლებენ და გაჰყვირიან, მაშინ როცა ჩვენ მათზე გადავხტივართ.

ერთი მეორესათვის ჩვენ ყოველი გრძნობა დავკარგეთ, ჩვენ ძლივსღა ვცნობილობთ ერთმანეთს, როდესაც მეორეს სურათი ჩვენს გადარეულ მზერას მოხვდება. ჩვენ ვართ უგრძნობი მკვდრები, რომელნიც რაღაც მანქანებით, რაღაც საშიშარ ჯადოსნობით ჯერ კიდევ დარბიან და მკვლელობა შეუძლიათ.

ერთი ახალგაზრდა ფრანგი რჩება უკან, მას დაეწევიან, იგი ხელებს სწევს მაღლა, ერთში მას რევოლვერი აქვს — არ იცი, უნდა მას გისროლოს თუ აპირებს ტყვედ ჩავარდნას —, ნიჩაბის ერთი დაკვრა მას სახეს უპობს. მეორე ხედავს ამას და ცდილობს ქვეით გაიქცეს, ხიშტი ერჭობა მას ზურგში. ის ხტება მაღლა და ხელებგაშვერილი, დიდათ დაღებული მყვირალა პირით, მიბარბაცებს, და მის ზურგში ქანაობს ხიშტი. მესამე აგდებს თოფს გვერდზე, იჩოქებს, თვალებზე ხელს იფარებს. ის რჩება უკან სხვა ზოგ ტყვეებთან ერთად, რათა დაჭრილები გადაზიდოს. — უცბად ამ დევნის დროს მტრის პოზიციებზე ვჩნდებით.

ჩვენ ისე მჭიდროთ მივდევდით გაქცეულ მტერს, რომ თითქმის ერთსა და იმავე დროს ვახწევთ მის სანგრებს. ამის გამო მცირე ზარალი გვაქვს. ერთი ტყვიამფრქვევი ახმაურდა, მაგრამ ის ხელყუმბარით ჩახუმებულ იქნა. მაინც რამოდენიმე წუთი საკმარისი იყო, რომ ჩვენს რიგებში ხუთი მუცელში დაჭრილი გაგვჩენოდა. კაჩმა კონდახი სთხლიშა ცოცხლად გადარჩენილ დამცველს და სისხლის ტალახად აქცია მისი სახე. დანარჩენებს ვხიშტავთ, სანამ ისინი ხელყუმბარებს მოიმარჯვებდენ. მერმე ვეწაფებით ტყვიაფრქვევთა ლულის გასაციებელ წყალს.

ყველგან ტკაცანებენ მავთულის საჭრელი იარაღები, სდებენ ფიცრებს მავთულის ღობეებზე, გადავხტივართ ვიწრო შესასვლელით მტერთა სანგრებში. ერთ უზარმაზარ ფრანგს ჰაიე სტკვლიცავს ნიჩაბს კისერში და აგდებს პირველ ხელყუმბარას, რამოდენიმე წამს ვიჩოქებთ ბრუსტვერის წინ, ჩვენ წინ მყოფი სანგარის ნაწილი ცარიელდება. ირიბულად, კუთხიდან მოჰქრის მეორე ყუმბარა და გვიწმენდს გზას. ყუმბარათა სეტყვა ასკდება ბლინდაჟებს, მიწა ირყევა, სუნქს, კვამლი ვარდება და ოხრავს. ჩვენ ვფორხილობთ მოსლიკინე ხორცის ნაგლეჯებზე, ლბილ სხეულებზე, მე ვვარდები გაფხრეწილ მუცელში, რომელზეც ძევს წმინდა, ახალი ოფიცრული ქუდი.

ბრძოლა ჩერდება. მტერთან კავშირი წყდება. ვინაიდან ჩვენ აქ დიდსანს დარჩენა არ შეგვიძლია, ჩვენი არტილერიის ცეცხლის მფარვე-

ლობით, უკანვე ჩვენს პოზიციებზე მივყევართ. როგორც კი ამას ვტყობილობთ, საშინელი სიჩქარით ჩავრბივართ ახლო მდგომ ბლინდაჟში, რათა მოვასწროთ და მოვიტაცოთ რასაც ვიპოვით, მაგრამ ყველაზე უფრო გვაინტერესებს კონსერვები ხორცითა და კარაქით.

ჩვენ კარგად ვბრუნდებით უკან. ჯერჯერობით არა სჩანს, რომ გადაღმიდან თავდასხმა კვლავ იწყებოდეს. ერთ საათზე მეტი ვწევართ, მძიმედ ვხვნეშით და ვისვენებთ, სანამ ვინმე ხმას ამოიღებდეს. ისე საკუსებით ამოწურული ვართ, რომ დიდი შიმშილის მიუხედავათ, კონსერვებზე არ ვფიქრობთ. მხოლოდ თანდათანობით ვემზგავსებით ისევ ადამიანებს.

გადაღმის კონსერვები ხორცისა მთელ ფრონტზე განთქმულია. ეს არის ხანდახან მთავარი მიზეზი ჩვენის მხრივ უცაბედი თავდასხმისა, ვინაიდან ჩვენი საუმელი საერთოდ ცუდია; ჩვენ მუდმივ მშიერები ვართ.

ჩვენ მოგვიტაცნია სულ ხუთი კოლოფი. გადაღმა ხალხს კარგად უვლიან, ჩვენთან შედარებით იქ ფუფუნებაა; ჩვენ კი ჭარხალის მარმალადით ვიკვებებით. ხორცი იქ, რამდენიც გინდა აქვთ, ოღონდ მოახერხე მისი მოტაცება. ჰაიეს ხელი უტაცნია აგრეთვე ფრანგული თხელი პურისათვის და ნიჩაბსავით გაურჭვია ის ქამარში. ერთი ყუა ცოტა სისხლიანია, მაგრამ ეს არაფერია, მას მოვსჭრით.

ბედნიერებაა, რომ შეგვიძლია კარგად ვჭამოთ; ჩვენ კიდევ დაგვჭირდება ჩვენი ღონე. გაძღომა ისევე ძვირფასია, როგორც კარგი ბლინდაჟი, ამიტომ ასე მსუნაგად მივისწრაფით მისკენ, რადგან ამას შეუძლია ჩვენ სიცოცხლე გადაგვირჩინოს.

ტიადენს დავლად წამოუღია აგრეთვე ორი საველე ბოთლი კონიაკისა. ჩვენ ის სასმელად ჩამოვარიგეთ.

★

დღენი გარბიან, და თვითეული საათი არის გაუგებარი და თავისთავად გულისხმიერი. თავდასხმას სცვლის შეტევა, და ნელა ხროვდებიან მკვდრები დაგლეჯილ ველზე, სანგართა შორის. დაჭრილნი, რომელნიც ძალიან შორს არ არიან, უმთავრესად გამოგვყავს. ბევრი აბა დიდ ხანს უნდა დარჩეს იქ და ჩვენ გვესმის, როგორ კვდებიან ისინი.

ერთ დაჭრილს ვეძებთ უშედეგოდ ორი დღის განმავლობაში. ის მუცელზე უნდა იყოს დავარდნილი და გადაბრუნება არ უნდა შეეძლოს. თორემ ისე ძნელი ასახსნელია, თუ რატომ ვერ ვიპოვეთ, რადგან, თუ პირით მიწაში ჩაჰყვირის, მაშინ ძნელია მიმართულების გარკვევა.

მას ალბად ცუდათ აქვს ტყვია მოხვედრილი, ერთ-ერთი უცუდესი ჭრილობა, რომელიც არც ისე მძიმეა სხეული ისე სწრაფად დაგისუსტოს, რომ ნახევრად გარეტიანებული დაგაგდოს და არც ისე მსუბუქი, ტკივილის იმ იმედით ატანა შეგეძლოს, რომ ისევ მოვრჩებიო. ჯაჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრობს, მას აქვს დაგლეჯილი ან ხერხემალი ან საჯდომიო. მკერდი არ აქვს გაფუჭებული, თორემ ამდენი ყვირილის ძალა არ ექნებოდაო, თუ სხვა რამეშია დაჭრილი, შეგვეძლო ის განძრეული დაგვენახა.

ის თანისთან ხრინწიანდება. მისი ხმა არის ისეთი უბედური, რომ ის შეიძლება ყოველი მხრიდან მოისმოდეს. პირველ ღამეს, სამჯერ გავიდენ გარედ ჩვენი ბიჭები. მაგრამ როცა იფიქრებდენ, რომ მიმართულება იპოვეს და უკვე იქით მიხოხავდენ, შემდეგ ყურს მიაპყრობდენ და ეხლა სულ სხვა ადგილიდან მოესმოდათ მისი ხმა.

განთიადამდე ვეძებთ მას უშედეგოდ. დღის განმავლობაში ვათვალიერებთ ადგილებს ჭოგრიტით; ვერაფერი აღმოვაჩინეთ. მეორე დღეს მან ხმას დაუწია; შეიძლება შეამჩნიო, რომ მისი პირი და ტუჩები გამშრალი არიან.

მის მპოვნელს ჩვენი რაზმის უფროსი დაჰპირდა შვებულებაში უპირატესობას და სამ ზედმეტ დღეს. ეს ძლიერი ცთუნებაა, მაგრამ ჩვენ ისედაც ყველაფერს ვიზამთ, რაც კი შესაძლებელია, რადგან მისი ყვირილი პირდაპირ საშინელია. კაჩი და კროპი ნაშუადღევსაც კი მიდიან წინ მის საძებრად — კიდევ ერთჯერ. ალბერტს ამ დროს გაუხვრიტეს ყურის ბიბილო. — ტყუილუბრალოდ, ვერ მონახეს იგი.

ამასთან გარკვევით გვესმის, რას იძახის ის. პირველად შველას იძახდა — მეორე ღამეს მას ალბად სიცხე ჰქონდა, ის ლაპარაკობდა თავის ცოლთან და ბავშებთან. ხშირად გვესმის სახელი ელიზა. დღეს მხოლოდ სტირის. საღამოს ხმა გადადის კრიახში. მაგრამ მთელ ღამეს ის კიდევ კვნესის ნელად. ეს გარკვეკით გვესმის, რადგან ქარი ჩვენსკენ მოჰქრის. დილას, როცა უკვე გვჯერა, რომ ის მკვდარია, მოგვესმის კიდევ მისი ხროტინი. —

სიცხე დაიწყო და მკვდრები ჰყრიან დაუმარხველი. არ შეგიძლია ყველას წამოღება. აღარ ვიცით, სად უნდა წავიღოთ ისინი. მათ ასაფლავებენ ყუმბარები. ზოგიერთთ ამოუბერიათ მუცლები, როგორც ბალონები. ისინი სტკენენ, ჭუჭყუნებენ და ქანაობენ. გაზი ბუყბუყებს შიგნით.

ცა ლურჯია და უღრუბლო. საღამოა დახუთული, და ალმური ასდის მიწას. თუ ქარმა ჩვენსკენ დაჰბერა, თან მოიტანს ის სისხლის ორთქლს, რომელიც მძიმე და საზიზღრად მოტკბილოა; მოიტანს თან მკვდართა სუნს ორმოებიდან. გგონია, რომ ხლოროფორმისა და გახრწნის სუნი შერეულია და ჩვენს გულისყრასა და რწყევას იწკევს.

★

სანგრების ერთ ნაწილში პირდაპირ ჰიმელშტოსს ვეხეჩები. ჩვენ მივეკვრებით ერთსა და იმავე ბლინდაჟში. უსუნთქველად ძევს ყველა ერთი მეორის გვერდით და იცდის, სანამ შეტევა დაიწყებოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა მეტად აღელვებული ვარ, მაგრამ გარედ გამოხტომის დროს თავმი ელვასავით გამირბენს, რომ ჰიმელშტოსი ჩვენთან ერთად არ მოდის. მეყვსეულად უკანვე ბლინდაჟში მივხტივარ და ვხედავ, რომ იგი მიწოლილია კუთხეში, მცირედ გაკაწრული ჭრილობით, და თავს იკატუნებს, თითქო დაჭრილია. მისი სახე გალახულია. იგი საშინელ შიშს შეუპყრია, იგი ხომ აქ ახალია! მაგრამ ეს მე მაბრაზებს, ახალგაწვეულები რომ გარედ არიან და ეს კი აქ რჩება.

«გარედ!», დავსჭყივლე მე.

იგი არ ინძრევა, ტუჩები უცმაცურებენ, ულვაშები უხტიან.

«გარედ!», ვიმეორებ მე.

იგი ფეხებს კრუნჩხავს, ეკვრება კედელს და კრეჭს კბილებს როგორც ძაღლი.

ვსტაცებ მას ხელს და მინდა ავაყენო. იგი ჭყვირის. მაშინ ნერვები მიწყდება. ვეცი მას ყელში, ვანძრევ როგორც ჩანთას, მისი თავი აქეთ -- იქით დაფრინავს და მე ჩავყვირი მას სახეში: «შე არამზადა, არ გამოხვალ გარედ — შე ძაღლო, შე ტყავისმძრობელო, გინდა დაიმალო?» იგი გამოყეყეჩებულია, მის თავს ვუხათქუნებ კედელზე — «შე მხეცო»— მე მას ვცემ ფერდებში — «შე ღორო» — მე ვჯიკაობ მას წინისაკენ, თავით წინისაკენ.

ერთი ახალი ტაღლა სწორედ ეხლა მიდის ჩვენს გვერდით. ლეიტენანტია მასთან. იგი გვხედავს ჩვენ და გვეძახის: «წინ, წინ, შემოგვიერთდით, შემოგვიერთდით — !» და რაც ჩემმა ცემა-ტყეპამ ვერ შესძლო, შესძლო ეს ამ სიტყვამ. ჰიმელშტოსმა გაიგონა თუ არა უფროსის ხმა, გამოფხიზლდა და ჩვენ შევუერთდით მათ.

მე მას მივსდევ და ვხედავ, როგორ მიხტის იგი. იგი ისევ ყაზარმის ეზოს ყოჩაღი ჰიმელშტოსია, მან ლეიტენანტსაც კი გაუსწრო და წინ შორს არის. —

გრიგალისებური ცეცხლი, შემაფერხებელი ცეცხლი, შემაჩერებელი ცეცხლი, მინნები.გაზი, ტანკები, ტყვიამფრქვევნი, ხელყუმბარები — ეს სიტყვებია, სიტყვები, მაგრამ მათშია მთელი ქვეყნის უბედურება!

ჩვენი სახენი ტალახით დაფარული არიან, ჩვენი აზრი გაპარტახებულია, ჩვენ მეტად დაქანცულები ვართ; როცა თავდასხმა დაიწყება-ზოგიერთთ უნდა სცემო, რათა გამოფხიზლდენ და თანწამოვიდენ. 'თვალებში ანთებაა, ხელები დაღლეტილი არიან, მუხლებს სისხლი სდით, იდაყვები დაბეჟილი არიან.

გადიან კვირეები — თვეები — წლები? მხოლოდ დღეები. — ჩვენ ვხდავთ დროს მოძაკვდავთა უფერულ სახეებში, ჩვენს ახლო რომ ჰქრება; ჩვენ პირში ვიტენით საჭმელს, ჩვენ გავრბივართ, ჩვენ ვისვრით, ჩვენ ვკლავთ, ჩვენ ვწევართ, ჩვენ სუსტი და ჩლუნგი ვართ და მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს გვაძლებინებს ჩვენ, რომ აქ არიან უფრო სუსტები. უფრო დაჩლუნგებულნი, უფრო უმწეონი, რომელნიც გარდმოკაკლული თვალებით მოგვჩერებიან როგორც ღმერთებს, რომელთაც შეუძლიათ ხანდახან სიკვდილის პირისაგან მათი დახსნა.

დასვენების მცირე საათებში ვასწავლით ჩვენ მათ. «ხედავ შენ იქ, მოქანავეს? ის არის მინნა, რომელიც მოჰკრის! დარჩი მწოლარედ, ის გადაგვივლის თავზე! თუ ის ასე მოდის, მაშინ გაიქეცი! შეიძლება გაქცევა მოასწრო!» ჩვენ ვამახვილებთ მათ ყურებს და მათ ყურადღებას ვაქცევთ პატარა ნივთთა ზუზუნზე, რომელსაც ადვილად კი ვერ ამჩნევ, შეგიძლია იცნო გასკდომის ხმაზე, წუწუნებენ ვით კოღონი; ჩვენ მათ ვურკვევთ, რომ ესენი უფრო საშიში არიან ვინემ დიდები, რომელთაც უფრო ადრე ისმენ. ჩვენ ვაჩვენებთ მათ, თუ როგორ უნდა დაიმალო მფრინავთაგან, როგორ უნდა მოიმკვდარუნო თავი, თუ თავდასხმამ უკვე გადაგიარა, როგორ უნდა გააწყო ხელყუმბარის სახელური, რათა იგი დაცემამდე ნახევარი წუთით ადრე გასკდეს; ჩვენ ვასწავლით მათ, რომ ფუგასის ყუმბარების გავარდნამდე ელვის სისწრაფით ორმოში უნდა გადახტე; ვაჩვენებთ მათ, ხელყუმბარათა კონით როგორ უნდა გააკეთო ორმო. ვუხსნით განსხვავებას მტრის ხელყუმბარასა და ჩვენებურს შორის, ანთების დროის განმავლობის შესახებ. მათ ყურადღებას ვაჩერებთ გაზის ყუმბარების ხმაზე და ვუჩვენებთ მათ მოხერხებულებას, რომელთაც შეუძლიათ მათი სიკვდილისაგან გადარჩენა.

ჰაიე ვესტჰუსი მოგლეჯილი ზურგით წაიღეს. ყოველ ამოსუნთქვაზე ჭრილობაში, ხედავ, ჰფეთქენ ფილტვები. მე შემიძლია მას კიდევ ხელი მაგრად ჩამოვართვა. — «გავთავდი, პაულ», ჰკვნესის ივი და ტკივილისაგან თავის ხელზე ჰკბენს.

ჩვენ ვხედავთ ცოცხალ ადამიანებს, რომელთაც თავისქალა აკლიათ. ჩვენ ვხედავთ მოსირბილე ჯარისკაცებს, რომელთაც ორივე ფეხი მოწყვეტილი აქვთ, ისინი მიფლასუნებენ გადაჭრილი ფეხებით პირველ ხვრელამდე. ერთი ეფრეიტორი ორი კილომეტრის მანძილზე მოხოხავს და მოათრევს დამსხვრეულ მუხლებს. კიდევ სხვა მიდის შესახვევ პუნქტზე და ხელით აკავებს გადმოყრილ წელებს. ვხედავთ ხალხს, რომელთაც არ აქვთ პირი, ღრანჭი, სახე. ვპოულობთ ვიღაცას, რომელსაც ორი საათის განმავლობაში თავისი კბილებით მკლავის ძარღვი დაუჭერია, რათა სისხლისაგან არ დაწრეტილიყო. მზე ჩადის, ღამე მოდის, ყუმბარები შტვენენ, სიცოცხლე გათავებულია.

მხოლოდ გადათხრილი მიწის ნაგლეჯი, რომელშიაც ვწევართ, უძლებს კიდევ მოზღვავებულ ზეძალას, — მაინც რამოდენიმე ასი მეტრი დავუთმეთ მტერს. მაგრამ თვითეულ მეტრზე მოდის ერთი მოკლული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

ჩვენ გამოგვცვალეს. ბორბლები მისრიალობენ ჩვენს ქვეშ, ვდგევართ გამოყეყეჩებული და როდესაც ისმისძახილი: «სმენა — მავთული!» ვიჩოქებთ. იყო ზაფხული, როდესაც ჩვენ აქეთ მოვემგზავრებოდით, ხეები ჯერ მწვანე იყვნენ, ეხლა შემოდგომისებურად გამოიყურებიან ისინი-და ღამე არის რუხი და ნოტიო. ავტომობილები გაჩერდენ, ჩვენ ჩამოვ. ფოფხდით. ასეული ჯგრო, ნაშთი მრავალ სახელთა. გვერდზე სდგას ბნელად ხალხი და იძახიან პოლკებისა და რაზმების ნომრებს. თვითეულ გამოძახილზე გამოიყოფა პატარა ჯგუფი, მცირე საბრძოლო ჯგუფი ჭუჭ-ყიან, მკრთალ ჯარისკაცებისა, საშინლად პატარა ჯგუფი და საშინლად პატარა ნაშთი.

ეხლა ვიღაც იძახის ჩვენი რაზმის ნომერს, იგი არის, გვესმის, ჩვენი რაზმის უფროსი, მაშასადამე იგი გადარჩენილა, მისი ხელი შეკრულია. ჩვენ მივდივართ მისკენ და მე ვცნობილობ კაჩსა და ალბერტს, ჩვენ ვსდგებით ერთმანეთთან და ვათვალიერებთ ერთი მეორეს.

და კიდევ და კიდევ გვესმის ჩვენი ნომერის გამოძახება, მას შეუძლია დიდხანს იძახოს, მას ვერ გაიგონებენ ლაზარეთებში და ორმოებში.

ერთჯერ კიდევ:«მეორე რაზმი აქეთ!»

და მერმე ნელი ხმით: «არავინ არის მეტი მეორე რაზმიდან?»

დუმილია და ცოტა ხრინწიანია მისი ხმა როდესაც ჰკითხულობს: «ესაა ყველა?» და ბრძანებს: «დაითვალეთ!»

დილა არის რუხი; იყო ზაფხული, როდესაც ჩვენ ფრონტზე წავედით და ჩვენ ვიყავით 150 კაცი. ეხლა გვცივა, შემოდგომაა, ფოთლები შრიალებენ, და ხმები დაღლილად ჩიფჩიფებენ: «ერთი — ორი — სამი — ოთხი — », და ოცდათორმეტზე ჩუმდებიან. და დიდხანაა სიჩუმე, სანამ ხმა იკითხავდეს: «კიდევაა ვინმე?» — და იცდის და მერმე წყნარად ამბობს: «ჯგუფებად —», მაგრამ ხმა უწყდება და მხოლოდ შემდეგ შეუძლია დაასრულოს: «მეორე რაზმი — », გაჭივრებით: «მეორე რაზმი — მარშ, წინ!»

ერთი რიგი, ერთი მოკლე რიგი მიბლაცუნებს დილა ადრიან. ოცდათორმეტი კაცი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



***

(ჩემს კუთხეს)

დიდ ხანს ვერ გასძლებს პატარა კიალი,
შლის, ცივად ანგრევს დრო წარმავალი.
და რამდენია შეყვარებული
ვინც უყვარს მისგან დავიწყებული!

კუთხევ გამზრდელო, რომ მომიგონო
რას შეგმატებდი ისეთს უღონო?!
მხოლოდ მე გმადლობ კარგზე და ავზე,
ფიქრით შორიდან გევლები თავზე.

ბრიყვი სულისა მკითხავი ხდება,
ბასხარა ბრძენის ადგილზე ჯდება!
ვით მაღალია შენდამი გრძნობა
ბრბოსთვის ძნელია მის გამოცნობა!

მიყვარდა შენი სულ ყველაფერი,
უბრალო ხმები, უბრალო ფერი,
თვალს ენატრება კვლავ შენი მზერა,
გებარებოდეს მშობლური კერა...

გებარებოდეს მათი სამარე,
ვინც გულს ჩაიკარ, მიწით დაჰფარე,
ვინც მე მიყვარდა ვით ჩემი სული,
ვისთანაც მახსოვს დრო მხიარული.

ჩემო რიონო! ნაცნობ მიდამოს,
ისე საყვარელს, ისე საამოს,
გიჟი ჰანგებით ახარებ, ატკბობ
ჰანგებით, მე რომ ამაოდ ვნატრობ!

ნეტავ შენებრი ბედი მქონოდეს,
არ უძლევიხარ მტერს არასოდეს!

მარად ხსნილია შენი გზა-კვალი,
და მღერი, მღერი თავისუფალი...

დიდ ხანს ვერ გასძლებს პატარა კვალი,
შლის, ცივად ანგრევს დრო წარმავალი.
და რამდენია შეყვარებული
ვინც უყვარს მისგან დავიწყებული!...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



***

(ქარიშხალი)

ქარიშხალი ცივად ჰკლავდა
ცოდვას გველებრ თავაწეულს,
ხელი მისწვდა რაც მიყვარდა,
რაცა მსურდა გატაცებულს!

ბორკილები სისხლით სველი,
დამტვრეული დაიყარა,
ტკივილი და ტანჯვა გრძელი
სიხარულით დაიფარა!

ბედნიერი მოჩვენება
ქარიშხალმა აახდინა,
ყველა შუქი და მშვენება
საყვარელ გზას დააფინა!

ეხლა თვითონ გადავვარდი;
გზა-დაბნეულ ტალღის წერა!
სხვისი ცის ქვეშ დამდეკს დარდი,
სხვას ახარებს ჩემი კერა!

ღრუბელთ გროვას ვაჩერდები
და წარბს რომ ჰკრავს, მკურნავს, მარჩენს;
მრწამს: კიდევ არ დაკინთქები!
ქარიშხალი გადამარჩენს!

თუ დაღუპვა მერგო წილად,
თავი იხსნა ავმა ძალმა,
მე მინდა რომ მოუხრელად
დამამტვრიოს ქარიშხალმა!...

პარიზი, 1930 წ. მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანე კასრაძე

## პოემა ძმობის შესახებ

დიდი გზა ალერდი და ცვრიანი ადის მაღლა — ტფილისზე.

ახომ, იორმა და მე ვსთქვით:

— ჩვენ გვიდევს მკერდში ცხედარი, რომელიც გახრწნილია და ასდის მკვდრის სუნი; ჩვენ მკერდში გვიდევს ტფილისი და ახალგაზდა გული — ადვილად შევთანხმდით ასე, რადგან სისულელეა ფიქრი ადამიანზე და უფრო დიდი სისულელე, რომ არაფერი ვიცით ადამიანზე მეტი.

ძალიან უწინ სულ სხვაფერ იყო.

შემდეგ ჩვენ ალბად გავიზარდეთ.

და როდესაც ვიხრჩობოდით გესლით და ბრაზით, ტანიდან უშვებდით სისხლს, რომ დავრჩენილიყავით წმინდა.

მე ეხლა არ ვიცი თქვენი ამბები ძვირფასო ბიჭებო! იქნებ თქვენ გაიგონეთ მწუხარე დედის ძახილი და მიდით მასთან, რომ სირცხვილი გეჭმიათ ჩემთვის; ან შეიძლება წადით შორს და მე არა ვიცი რა.

ძვირფასო ძმებო და მეგობრებო, მე ეს არ ვიცი!

ამიტომ მე მინდა წითელი ღვინო, სქელი და ტკბილი, როგორც სისხლი. დავლევ მე შედედებულ სისხლს და შეეაშინებ ბავშებს, რომელნიც მოხუცებივით დადიან ჩვენში, როგორც თქვენი სიტყვები გოლვიან საუკუნის დასაწყევლად. —

ახლა ის მომაგონეთ, რომელმა თქვენთაგანმა სთქვა:

«კარგიაო, ვინც არის დიდი ერის შვილი!»

ჩვენ ამაში არ შევთანხმდით, რადგან ეს ითქვა ძალიან მოწყენით ძალიან, ძალიან მოწყენით.

შენ კი იორ, ერთმა გიპასუხა: ნეტარ არიან უგნურნი და ცალნი აბრეშუმისანი — .

ჩვენ მაშინ გავიცინეთ და დავრწმუნდით, რომ არ არის ბედნიერება — კაცი იყოს დიდი ერის შვილი. ჩვენ მართლა გავიცინეთ და ვინმეს რომ დასაბუთება მოეთხოვა, იმ წუთშივე ამოვიღებდით ყაჩაღებივით გულს და მის ფეხის წინაშე ავაფეთქებდით.

მერე რა?

ჩვენ არ გვექნებოდა გული, მაგრამ დარჩებოდა ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმებო და მეგობრებო, ჩვენ ყველამ ვადღენგრძელოთ დედა-ოშირად მითქვამს ამნაირად:

«ძვირფასო დედა, სულისთქმა იგივეა რაც დამთქნარება. შორიდან მთები არა სჩანს დედა-მიწაზე, თორემ სიცოცხლე რას გამოჩნდება?»

მაშ, ჩვენ მართლა შეგვეძლო ამოგვეღო გული და დაგვეკლა ჩვენივე ხელით. —

მე ხომ ვთქვი: სულ სხვა იყო ძალიან უწინ.

ჩვენ, სამი მეგობარი გავიპარეთ ტფილისში. გვესმოდა ზარები შორიდან და გულის ცემა ჭაბუკების — ამიტომ გავიპარეთ სახლიდან.

აქ კი, ჩვენს ქალაქში, დავტოვეთ სახლები, ფართე, ტყიანი მინდვრები, ხბოები რომ დაღოღავენ ფარული მადლით და დავტოვეთ აგრეთვე დიდი, მშვენიერი ზღვა.

ბიჭებო, ლურჯი ზღვა, სილიანი და ლალისფერი ნაპირები.

მაინც, ტფილისში რომ გავიქეცით, რატომ ვერ წავედით ზღვაზე და ვერ ვუთხარით მას მშვიდობა?

შეგვეძლო მივსულიყავით სამივე, დავდგებოდით მის წინაშე და ვიტყოდით ამ რიგად:

— შენ ხარ უცოდველი ლურჯი და ღრმა ვით ჩვენი სული. ჩვენ გვიყვარხარ შენ, რადგან ყველაფერში გვასწავლე სიმრავლე, რადგან მოგვეცი დიდი ვნება.

ზღვაო, ჩვენ ვისწავლეთ შენი აღშფოთება. ყურს გიგდებდით სულგანაბულნი, გიცქეროდით და ჩვენი სული, მრისხანე ხდებოდა და მკვრივი, ვით თვალი შენივე თევზის.

ზღვაო, შენი აღშფოთება!

როდესაც ნესტოებიდან ჰყრი ცეცხლის გრიგალს და აბორგებული მკერდში იცემ გოლიათ ტორებს; როდესაც გრგვინავ მეხის ფრქვევით და ანგრევ მაგარ ნაპირებს, — მწუხარე დედასავით ჩამოდის მაშინ შავი ზეცა, მაგრამ ჩვენ გვინახავს ოგი მანდილ - დახეული, თუ როგორ ჰკივის ზარდაცემით, საბრალო და გულ-წასული ეცემა შენს ანგრეულ მკერდზე —

ასე ვეტყოდით ზღვას, ბიჭებო, და დაუტკბობდით ტუჩებს დედის ძუძუთი. შემდეგ გავცურავდით შორს სამივე და ვიმუსაიფებდით მწვანე ვარსკვლავებზე, რომელნიც ჩვენსავით ვარდებიან ზღვაში; მგონი ვარსკვლავებიც ზღვის ბავშვებია, მეგობ ებო!

ჩვენ ეს არ ვქენით. ჩვენ სამი მეგობარი გავიპარეთ ტფილისში. არა, ოთხი; მაგრამ ის, მეოთხე, მალე წავიდა სხვაგან. მე მას ვუთავაზე ვეფხის ტყაოსანი, რომ ძალიან ჰყვარებოდა საქართველო და არაფერი დავიწყებოდა. ეხლა ის ცხოვრობს პარიზში, მაგრამ მე მახსოვს როგორ წავიდა ის; და როგორც ეხლა მე გეძახით თქვენ, ისიც ასე იძახის (მე ვიცი ეს) და მისი ძახილი, როგორც ჩვენ ყველანი, ეკუთვნის დედას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ მე მაგონდება დახევა და ეს საგანი მძიმე ჭრილობა ჩემი, მაგრამ მე მაინც ვაბორგებ მას, რომელიც არის სასიკვდილო ჭრილობა ჩემი. მამ, გამარჯვება შენ. ჩემო დამცირებავ და დამარცხება! რაც უფრო ვიცი, რომ ხარ ჩემი დაღუპვა, მით უფრო ვილტვი შენსკენ.

ტფილისი აიზორვა რუხი მაზარებით და ყინვა სჭრიდა სულს.

ჩვენ გავიარეთ საქართველო სიყვარულით.

ყველაფერი იყო ნელი, ვით კეთილშობილი გზნება ჩუმი აბედის.

ჩვენ მივადექით მთვლემარე ზღვას, სადაც ლამაზი მესანდლენი თამაშობდენ ნარდს. — აქ სვამდენ ყავას და ისმენდენ კონონადას, რომელიც გრძელდებოდა მთვარის ამოსვლამდე; — შემდეგ თათრები იხევდენ, ჩვენი რაზმებიც იხევდენ და ყუჩდებოდა ყველაფერი.

სანდლების გვერდით ჩნდებოდა ამერიკული გემი, სქელ მილებიდან რომ ჰყრის ყომრალ კვამლს.

ნაპირი იყო მოკენჭილი და იქ სიარული უყვარდათ ქალებს, რადგან ყველაფერი იყო ლამაზი და დამთვარული. —

ეხლა, როცა დიდი ხანია მას შემდეგ, გადასულ ამბებს ვიგონებ როგორც ძველ ღვინოს. ალბად, კიდევ უფრო დიდი ხანი გაივლის და მაშინ, ყველაფერი ეს შეიძლება გამოდგეს ღიმილის საგნად.

სიტყვები მუდამ სტყუის ცოტათი. და ეს ამბავი იკითხება სულიერ დანიავების დროს, როდესაც მკერდში ვერაფერს გრძნობ და ყოველთან გგონია შემოდგომა და უმოძრაო ქვეყანა.

გაყინულია ეხლა აზრი და წვიმაში დაკდებულ კუბოსავით იყურება ქალაქი.

დაღამება პირველად ჩვენი კვიპაროსების კენწეროებიდან იწყება, რომელნიც მუდამ თმა-გაჯეჯილი არიან და ამწვანებული. შემდეგ გაისმის ძროხის ბღავილი და ძაღლების ყეფა. — და უცებ მოულოდნელად ყუჩდება ყველაფერი. გინდა გაიცინო, ან იყვირო ძალიან ხმამაღლა, რომ იგრძნო საკუთარი თავი; ბოლოს დასცინი ყველაფერს და არ იცი — თუ ღირს წერა!

თუმცა ეხლა თოვლი ეშვება ფრთხილად და დაბურული მოაქვს სუნთქვა რომანტიული ხანისა; თუმცა ეხლა, დათოვლილ ქუჩიდან ყვავები აფრინდენ გოგოების მოახლოვებაზე და ყველაფერი სათნოა და მართალ!

გეწყინება მაინც გახსენება, რომ სადღაც ამ ჟამად მეოცე საუკუნეა!

ასე მინდა გავათავო ეს პოემა ტფილისზე და ამხანაგებზე: —
ძმებო და მეგობრებო!

ეხლა მეოცე საუკუნეა და თქვენ ყველანი დაფანტული ხართ.

სადა ხართ ბიჭებო, აუუ!

ნეტავ ეს პოემა იყოს თქვენი და სამშობლოს დაძახების სიტყვა. ნეტავ ეს იყოს უკანასკნელი სუნთქვა რომანტიკის.

შავი ზღვის სანაპირო. 1924 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ლ ა ს ა  მ გ ე ლ ა ძ ე

***

(ცხრათვალა მზე)

(დღიურიდან)

ცხრათვალა მზე სიჩქარით
მთებში იწურებოდა,
ოქროვანი თვალებით
ჩემსკენ იმზირებოდა!

მე მისკენ და ის ჩემგან
სისწრაფით მშორდებოდა,
მადლიანი სხივები
თანდათან მცილდებოდა...

დაღვრემილი დამტოვა,
ცრემლი არ მშორდებოდა,
უკანასკნელ სხივებით
ამას მეუბნებოდა: —

«რას დაღონდი, ჭირიმე,
რაზედ მოგიწყენია
მივალ საქართველოში,
რომ გავფანტო ბნელია!

აწი ნუღარ იდარდებ,
მომავალი შენია!
ნათელ-სხივით შევმოსავ
სახლში ვინც დაგრჩენია!

დილას ავალ მყინვარზე,
მწვერვალს გადავუკოცნი,
და შენს სატრფოს ტფილისსაც
მხურვალებით დავკოცნი'

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრწანისის ველს, დიდუბეს
თავზე გადავეფრქვევი
ნაძალადევის გმირებს
ყელზე შემოვეხვევი.

მთა-წმიდა — მამა-დავითს
მოკრძალებით ვემთხვევი,
გმირების საფლავებზე
მე ძეგლად დავედგმები...»

ცხრათვალა მზე მომცილდა
შემომადგა ბნელია,
მტრის ჯარივით მოზღვავდენ
შავნი ფიქრნი მწველია!...

პოტსდამ, 1923 წ.

## გ. ნაცვლიშვილი

***

(მთიან საფრანგეთში)

ცრემლებად ეცემა ეს წვიმა,
ეს «შატო» ბარბაცებს მთვრალივით,
ბანაობს წვიმაში ეს მინა,
ეს მხარე პირს იბანს ქალივით.

ტირილით გადივლის ეს დილა,
ეს ქარი კი ზმუის ბანივით;
ღრუბლის ქვეშ ექცევა ეს «ვილა»,
ეს დღეა იობის ტანივით.

ოხ, რა რიგ გრძელია ეს კვირა!
ეს სევდა მაღონებს შავივით;
ნეტავი ვისია ეს ცირა,
ასე რომ იცინის ბავშვივით?!

მანტონ, 1930 წ. მარტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. ბებურიშვილი

## ქალწულს

ანაზდეულად გაიარე შენ
ჩემი სულის უდაბნოში!...

შენ გაემგზავრე შორს. მე დავრჩი აქ, სადაც ქვეყანას სიბნელე ჰქვია; სად ცა არ ლურჯობს და მზე არ იცინის. —

ვცხოვრობ მოგონებით. — შენ გადასჭერი ჩემი სულის უდაბნო და დასტოვე იქ მარტოოდენ ტკივილები, ტკბილი ტკივილები! —

მგოსნებისათვის სიყვარული რაღაც არა ჩვეულებრივია, ღირსი განდიდებისა და ხოტბისა. გრძნობათა ზღვაში იხრჩობიან ისინი, და ახრჩობენ სხვასაც. ალბად: მართლა არსებობს ასეთი სიყვარული! —

ჩემთან კი ყველაფერი უბრალოდ მოხდა. — ეს იყო პირველად, ოდეს ხელი ჩამოგართვი. არავინ იცის ისეთი ხელისჩამორთმევა როგორც შენ! იგი მუდამ მიზიდავს, და დღესაც ვგრძნობ შენს ხელს ჩემს ხელში!

არასოდეს არ დავუპყრივარ შენს თვალებს, რომელნიც შენ ალბად ქართული ტაძარის კედლიდან მოიპარე. დედა-შენს უყვარდა ალბად ის ტაძარი და ის ხატი. დადიოდა იქ ხშირად, ლოცულობდა სასოებით. და იმ ქართული ხატის თვალები გამოგყვენ შენ, რომელნიც ასე სხვანაირი არიან და არა ჰგავან სხვა თვალებს. ხოლო ეს არ ვიცი, რაო არიან ისინი სავსე გაკვირვებისა და კითხვითი ნიშნებით!? — არასოდეს დავმორჩილებივარ შენს შუბლს, რომელიც ასე ნათელი, შუქმფენია. — არ მიუქცევია ჩემი ყურადღება არც შენს წარბებს, შვილდივით რო გადაჭიმულან მოელვარე კანდელის თავზე, რომელსაც შავი ჯარი შემორტყმია. — შენი ცხვირი ისეთია, ვით ამორძალის. — ბაგენი შენი ვნებით ჰღვივიან და არიან ჯიუტი. — არ იქცევს ჩემს თვალს არც შენი ყელი ზვიადი. — გულმკერდი შენი გაუშლელი ვარდებით, კუკურებით, ბევრ ვაჟკაცს დაადნობდა. — ტანი შენი ბევრს აღუძრავდა სურვილებს ბევრს. — მაჯა შენი ისეა ფაქიზი და ნაზი, ვით მორწმუნე ბებია-ჩემისაგან ჩამოქნილი და ღვთისმშობლის ხატის წინ ასანთებად შეწირული სანთელი. — ფეხები შენი ჰაზალისაა. — და ქალწულობის სუნნელება შენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უგონოდ დამათრობელია. — შენი ხმა ჩვენი სამრეკლოს პირველი ზარის ხმაა! — და ფერი შენი ცხელი ქართლის მწიფე ატამის ფერია!

—

შენ ხარ ქართული ასო: — «წ»!

—

ჩვენ ვთამაშობდით ძერაკუდობიას. მე ძერა ვიყავ, შენ კი წიწილა. კრუხი გიცავდა შენ, მაგრამ მე ხელი შეგახე შენ და დაგიჭირე. — გულმა რეჩხი ჰყო და მეყვსეულად ვიგრძენი საქართველოს მზის მხურვალება. ეს იყო უბრალოდ, სადათ, ბავშურად. ვიყავით ვით ბავშები თამაშობაში, ლაღი, უდარდელი, გულწრფელი. მერმე დავიღალეთ სირბილისაგან, სიხარულისაგან, სიამოვნებისაგან. დღესაც ვიგონებ იმ თამაშსა და სიხარულს —

—

ეს იყო მწუხრისას, ბაღში. შენი ნაზი თითებით თამბაქო გამიხვიე ნაზ ფურცელში. მოვსწიე ის თამბაქო, რომელსაც შენი სინაზის სურნელება თან გამოჰყოლოდა. მოვსწიე და გავბრუვდი. იმ სუნნელებას დღესაც ვგრძნობ. —

—

ერთხელ ქუჩას გადავდიოდით. შეგეშინდა. გადაველობე ავტომობილს და ვსთქვი: «დეე, გამიტანოს მან!» შენ კი მიპასუხე: «არა!» და პატარა ფრთხალო! გაფრთხიალდი მეორე მხარეზე!

—

— შორს მიემგზავრები!, ნაღვლიანად გითხარი მე.

—არ დავიკარგები!, მიპასუხე.

—მეშინია გული არ დაჰკარგო! — და შენ ღიმილით შემომხედე. დღესაც მახსოვს ის უცნაური ღიმილი. არავინ იღიმის ასე. —

—

სიხარულით მოველოდი უკანასკნელ წუთს. შენი ხელისჩამორთმევა ჩემი ბედნიერებაა!. — მშვიდობით! — ანაზდეულად გაიარე შენ ჩემი გულის უდაბნოში, გადასერე იგი და დამრჩა მხოლოდ მოგონება ასე მცირე; მოგონება ტკბილი ვით ჩემს ბავშობაზე და გახსენება მწარე ვით ჩემი სამშობლოს დამარცხებაზე. —

—

წასვლისას დამიბარე ბარათი მომეწერა. გწერ ასე. იქნებ კიდეც გაჯავრდე, გარნა მომწონს შენი გაჯავრება! გწერ და გეკითხები:
— სხვას რას მიბრძანებ, პაწია ქალბატონო? —

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ლაღიაშვილი

# ცხოვრების ტალღებში

... ორ მოქმედებად.

მომქმედნი პირნი: ნინო და რეზო.

## მოქმედება პირველი

თორმეტ კუთხიანი ოთახი; თორმეტი ფანჯარა; ერთ მათგანში იცქირება ადუღებული მზე. ღია კარებში წარა-მარა შემოდის მწვანე გაზაფხული და ისევ გადის ფანჯრებიდან. კედელზე, სპარსულ ხალიჩებში ფიქრობს ძველი არსენალი. ტახტზე, მუთაქასთან ახლოს, სძინავს გიტარას. მარჯვენა კედელზე ჰკიდია შავი ზღვა, მარცხენაზე — ცხენის თავი. შუა ოთახში სილბილეზე გდია უღონო ტანი და გამწარებული გაზეთს შეექცევა. ისმის ხმაური.

### გამოსვლა პირველი

ნინო: (თეთრად შემოსილი) ოჰ, რეზო! შენა ხარ?... გაზაფხული მეკითხება: რად სტირიო: და მე კი ვსტირი...

რეზო: ვარდმა რა იცის თავისი ფასი!

(ნინო ტახტზე ვარდება. გიტარა რამოდენჯერმე დაიკვნესებს და ისევ მუთაქასთან წამოწვება.)

ნინო: — რეზო, სად არის სიცოცხლე?

რეზო: — გაზაფხული მიდის, ზაფხულიც გავა, შემოდგომა აგატირებს, ზამთარში შეგცივდება.

ნინო: — (ფრანგულად) ... ? !

რეზო. — (ქართულად) ! ? ...

[სიყვარულის კოცნა]

(გიტარა ჩუმად იწყებს ტირილს).

ფარდა.

## მოქმედება მეორე

იგივე სცენა, ხოლო ოთახი სავსეა ჰაერით. ფანჯრების იქით — თეთრი სიცივე. ჩახუტებულ არსენალს სძინავს. უკან, დამჭკნარი ბზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველარ ხარობს. ტახტზე რუსი კატა ხმა-მაღლა ჰფიქრობს. რეზო მიყუდებულია ფანჯარაზე; მისი თვალები დარბიან თოვლზე; მის გულს აწვალებს როზიალის სიმებიდან აფრენილი სურათები. ნინოს გულისფანცქალი ტრიალებს ამ სურათებს შორის.

გამოსვლა პირველი.

ნინო: (მღერის როზიალზე) — ერთხელ მზის ადრე
ბუნება ვნახე, ბალახს სცივოდა,
მწვანედ სტიროდა, წუთების შემდეგ
მზე მოდიოდა, ხოლო ჩემი მზე
არსადა სჩანდა.

რეზო: — კმარა ქალო, უკან რას იცქირები!

ნინო: — შავს ღრუბელს როდის ან რომელი ქარი გააქრობს?

რეზო (ნაღვლიანად): — სიცოცხლის ტალღებო! სიცოცხლის ტალღებო! სად არის ნაპირი რომ მოვისვენო?

(ბუხარში ისმის ქარის ქვითინი).

ფარდა

ო. შუშანია

***

დღეს, შენი სახე ისეა ნაზი,
მთვარის ვარდივით სურნელ მდელოსი —
ბაღში საღამოს გადანარაზი
ან სიყვარული, ან ანგელოსი.

აგაფრთოვანებს ტრფობის თერმოსი,
ეთერ გრძნობებში გადამართული,
სული გაქვს ველის საქართველოსი,
კოლხეთის მთებით შემოკალთული.

ხვალ, მწიფე გრძნობებს ჩამორეკს ქარი,
ეგ სიქალწულეც გაჰყვება დარებს;
და სახეფერი ნაქალწულარი
დაიბნიდება ვარდისთვის დამლევს.

შემდეგ, წარსული დარჩება ობლად,
გადავლენ წლებიც, ბედის ტრიალი;
და იქ, მტკვრისპირას მთასთან მახლობლად
დაგაგვირგვინებს ვაზის შრიალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერიკო სოსანი

# ძველი ქართული ფწერლობა

(განმეორებისათვის)

ოდეს ადამიანს დიდი უბედურება თავს დაატყდება, იგი ნატვრით იგონებს წარსულის იმ უბრალო თუ ბრწყინვალე წუთებს, მისი ცხოვრებისათვის ბედნიერება რომ მიუნიჭებია. ასევე ერის ცხოვრებაშიც. ქართველი ერის ოქროს დიად ხანას, თამარ მეფის ეპოქას, თანმოჰყვა უბნელესი ხანა ჩვენს ისტორიაში — და უფრო აღამაღლა და განაცისკროვნა თამარის მეფობა.

თამარ მეფის შემდეგ ტახტზე ავიდენ მისი შვილი გიორგი ლაშა (1213—1223) და შემდეგ რუსუდანი (1223—1247). საქართველო ჯერ კიდევ ცხოვრობდა ძველი დიდებით, მერმე რომ მონღოლთა შემოსევის ტალღებში ჩაიხრჩო. ჩინგის ყაენის ლაშქრებმა გადათელეს საქართველო, — მცირე ხნის შემდეგ, საქართველო გადაჯეგა ჯელალ-ედდინ ხვარაზმელმა. არ გასულა ცოტა ხანი და 1236 წ. ჩინგის ყაენის შვილი შემოესია ჩვენს ქვეყანას და უკვე დიდი დრო აღარ დასჭირვებიათ, რომ დასუსტებულ და განადგურებულ საქართველოს დაჰპატრონებოდენ. საქართველო როგორც მთლიანი სახელმწიფო ირღვევა, — და ქართველ მხედრობას მონღოლთა განდიდებისათვის აბრძოლებენ ეგვიპტეს ფრონტზე. დავით მე-VI-ს დროს (1273 — 1310) საქართველოში შემოიჭრა ხუტლუბუღა, ჩამოაგდო დავითი და ტახტზე აიყვანა მისი ორი წლის შვილი. გიორგი მე-V, ბრწყინვალეს დროს (1318 — 1346) საქართველო იკრებს ძალას. სულს იბრუნებს, მაგრამ უკვე ბაგრატ მეხუთეს დროს, 1387 წელს, მრისხანე ლანგ-თემური გადაბუგავს საქართველოს. იგი ესტუმრება მას ხელმეორედ, 1393 წ. და ერთბელ კიდევ ცეცხლითა და მახვილით გაივლის საქართველოს მკერდზე. თომა არწმუნის სიტყვით, სამოცი ათასი ქართველი გადაასახლა მან სამარყანდში. იქცევა და იღუპება ქვეყანა; გარედან განუწყვეტელი თავდასხმა, შიგნით ფეოდალთა შეუჩერებელი ქიშპობა, მტრობა, ბრძოლა, ომები.

შემდეგ. — ოსმალების ტალღამ წალეკა მცირე აზია, 1453 წ. დაემხო ბრწყინვალე ბიზანტიის კერა — კონსტანტინოპოლი — და საქართველოს გზა დასავლეთისაკენ საუკუნოებით გადაიკეტა. 1475 წ. ოსმალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბმა დაიპყრეს კაფა, და გადატყდა ის გზაც, საქართველო რომ თურქეს-ტანის გეზით ჩინეთ-ინდოეთისკენ მიჰყავდა. 1498 წ. აღმოჩენილ იქნა საზღვაო გზა ინდოეთისაკენ (ვასკო დე გამას მიერ) და ვაჭრობაც ამ გზას გაჰყვა. სპარსეთის დედაქალაქი და სავაჭრო ცენტრი — თავრიზი — ამ გზის გაკაფვის შემდეგ მოჰკვდა, ვაჭრობა გადაბარგდა სამხრეთით და ისპაჰანი გამოცხადდა სპარსეთის სატახტო ქალაქად. საქართველო მოწყდა მსოფლიო გზებს, ჩავარდა სრულ იზოლიაციაში, და ურიცხ მტრებთან განუწყვეტელ ბრძოლებში გაპარტახებული, შეიქნა ოსმალეთის და სპარსეთის საჯიჯგნ ლუკმად.

როგორ-ღა შეიძლება ილაპარაკოთ ქართული კულტურის განვითარებაზე, ქართული მწერლობის წინსვლაზე?

მაგრამ, ყველა უბედურების მიუხედავათ, მწერლობას კალამი მაინც არ გაუგდია ხელიდან, და მე-13 საუკუნედან მე-17 ნაწერთა რიცხვი მრავალია, თუმცა დაბალი ღირსების და ხასიათდება ორი მიმართულებით ანუ როგორც პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილი ამბობს: —

«ერთი შეიცავს საზნეო-დიდაქტიურს თხზულებებს და მეორე საარაკო სიუჟეტის ნაწერებს. შემოქმედებითი ძალა ჩაფერფლილია, სხივი პოეტური აღმაფრენისა იშვიათად ბრწყინავს... ქართველი მწერლები ამ დროს იჩენენ განსაცვიფრებელს ლტოლვილებას წარსულის შესასწავლად, გულმოდგინედ ჰკრეფენ საქართველოს ისტორიულს ცნობებს და იურიდიულ ჩვეულებებს...»

★

## რ უ ს უ დ ა ნ ი ა ნ ი

ამა თხუზულების ავტორი უცნობია და არც ისაა დანამდვილებით ცნობილი, თუ რომელ ხანას ეკუთნის იგი. პროფესორი რომანი ფიქრობს, რომ იგი მეცამეტე საუკუნისაა, აკადემიკოს ბროსეს აზრით კი მეთოთხმეტესი. თხუზულება წმრმოადგენს თორმეტი კარისაგან შემდგარ კრებულს, რომელშიც აღწერილია 12 არაკი და გადმოცემულია მაშინდელი ზნე-ადათნი.

★

## ა ლ ღ უ ზ ი ა ნ ი

ჯერ უცნობი ავტორისა, გადმოგვცემს ოსეთის მეფის ამბავს.

## ს ე რ ა პ ი ო ნ ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი

მისივე სიტყვით «გრემელთ თავი, ხევის ბერი, ხელმწიფეთა თანაზდილი», მე-16 საუკუნის მოღვაწეა. იგი ცნობილი არის როგორც მთარგმნელი უდიდეს სპარსელ მგოსან ფირდოუსის თხუზულებისა: «შაჰ-ნამე». ამ ნაწარმოებს ძველადაც იცნობდენ საქართველოში; მას იხსენიებენ ჩახრუხაძე და რუსთაველი. საბაშვილის შემდეგ ის სთარგმნა ხოსრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმანიძემ და დაასრულა ფარსადან გორგიჯანიძემ. საბაშვილის თარგმანი-ნაწყვეტი (რუსთველისებური ლექსით): «ამბავი საიათ-ნოვასა», დაბეჭდა ბ-ნ ია ეკალაძემ თავის «ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია»-ში, ჯერ გამოუქვეყნებელი ტექსტის მიხედვით.

★

## ხვარაზმელთა ამბავი

ეს ნაწარმოები წარმოადგენს «ვეფხის ტყაოსანი»-ს გაგრძელებას და მისი დამწერი დანამდვილებით ცნობილი არაა. როგორც ირკვევა, ამ გაგრძელებაზე უმუშავნია ნანუჩას ანუ მანუჩარს, და დაწერილი უნდა იყოს მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში. აქ აღწერილია ტარიელის დასნეულება და ხვარაზმშას წამოსვლა ინდოეთს სისხლის ძებნად, ომები ხვარაზმელთა, ინდოთა, არაბთა და თურქთა და სხ.

★

## ქაიხოსრო ომანიშვილ-ჩოლოყაშვილი

მეფე თეიმურაზ პირველის თანამედროვე. მას ეკუთვნის «ვეფხის ტყაოსანი»-ს სხვა გაგრძელება, რომელიც პირველად არის დაბეჭდილი ია ეკალაძის ზემოაღნიშნულ ანთოლოგიაში.

★

## მეფე თეიმურაზ პირველი

(1589 — 1663)

სპარსეთის პოლიტიკურ გავლენას თანმოჰყვა კულტურულიც. სპარსულიდან ითარგმნება ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები, როგორიცაა «როსტომიანი» (შაჰ-ნამე) «ქილილა და დამანა», «სირინოზიანი», «თისმარიანი», «ფრიდონიანი» და სხვა. ყველა მთარგმნელთა შორის შესანიშნავია მეფე თეიმურაზ პირველი. იგი არ იყო მარტო მთარგმნელი, არამედ ორიგინალური მგოსანიც. მეფე თეიმურაზ პირველი იყო შვილი იმ ქეთევან დედოფლისა, რომელიც შაჰაბაზმა აწამა 1624 წ. შისაზში. ეს არის ის უკვდავი სული, რომელიც ქართველ ერს თავისი ისტორიის ტანჯულ გზაზე ამაგრებს. ქეთევან დედოფალი მოედანზე გააშიშვლეს, გახურებული მახვილით ხორცი დაგლიჯეს, ნაღვერდლები დააყარეს, თავზე ჩამოაცვეს გახურებული თუჯის ქვაბი, — და ასეთ ჯოჯოხეთურ წამებაში ამ მტკიცე დედოფალმა განუტევა სული, მაგრამ არ უარჰყო ქრისტე და სამშობლო. ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები კათოლიკე მისიონერებმა გადაასვენეს ბელგიაში და ნემურის მიწას მიაბარეს.

მოჰგონებია ვინმეს ეს აქ?

თეიმურაზ პირველი დედის წამებას შემდეგი სიტყვებით აღწერს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«ახედნა, ერთი სიტყვანი მაშინღა ბრძანა ახითა:
«თქვენც იცით, ყოვლნი დედანი ვართო ერთისა სახითა,
აუჯი არის კაცთათვის, რაც ჩვენ გვეწრფების ნახითა,
მაზედა რაცა ისაჯეთ, ქენით, არა ვარ ზრახითა».
მერმე გაუბეს ხელ-ფერხი, გაძაბეს განა მაჯები,
გაზით დაგლიჯეს ძუძუნი, დადვეს მხურვალე საჯები,
ბარები შუბლსა შემოსდვეს, ყველა ქნეს მათი აჯები,
აღმა ახეთქნეს კეფანი, ვა თქმითა აქ ვისაჯები.
ვამე იმ დღისა მხსენესა, დამვიწყდა დღენი წინანი,
მკერდით ზურგამდინ გაავლეს გახურებულნი რკინანი,
მე ავაზაკი შემცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი,
მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამად ვარ ცრემლთა მდინანი.
ქვეშ დაუფინეს, დახურეს ზედა ლურსმისა რკინანი,
ქვე წაიარეს, გააპეს ბროლი, ლალი და მინანი,
სხვა წამოასხეს, დაყარეს ხორცთაგან ტყავი წინანი,
მაგრა არ გაწყდა ტანჯვისა გულზედა დასაწვინანი.
მან წმინდამან, მას ჟამს იქით, არა ყოვნა წამსა ერთსა,
სული თვისი მიაბარა მეუფესა, მისსა ღმერთსა,
სამოთხეში მიელიან ქალწულები შენაერთსა,
ირენე და მარინეო იქმენ მათში განაერთსა.
ზეცით მოვიდა ნათელი, იხილეს სრულად ერმანო;
იესო ქრისტე ადიდეს, სრულ ყმაწვილმან და ბერმანო,
გვარჯასპისშვილმა მსახურა, არ ხუცესმა და ბერმანო,
მისმან მკლელმან ქნა მას აქეთ კარგი ვერც არა ვერმანო.
წელზედ ახადეს საფლავსა, იგ ნინოს დასადარია,
სული ამოხდა სურნელი, აღარსად იყო მკვდარია,
თქვეს: «ფრანგნი მოიპარავდეს, თუ სად დაეცათ დარია».
მე ვიტყვი ზეცას წასულსა, ხმელეთზე არსად არია.

თეიმურაზმა სთარგმნა სპარსულით: «შამი ფარვანიანი», «ზილიხანიანი», «ლეილ მეჯნუნიანი», «ვარდ-ბულბულიანი».

«ლეილ მეჯნუნიანი» არის ნათარგმნი რუსთველისებური ლექსით. ეს ნაწარმოები ჩვენში გავრცელებული შეხედულების მიხედვით ეკუთვნის ნიზამი განჯელს, (12 საუკ.). ეს ჯერ გამოუქვეყნებელი ქართული თარგმანი დაიბეჭდა პირველად ია ეკალაძის ანთოლოგიაში. ამ თხზულებაშია ლექსად აღნიშნული ლეილას და მეჯნუნის დრამატიზმით აღსავსე სიყვარული.

ასეთივე მშვენიერი ლექსით არის ნათარგმნი სპარსულიდან ვარდ-ბულბულიანი, რომელშიაც ვარდისა და ბულბულის სიყვარულია აღწერილი. ამგვარადვე შამი ფირვანიანი ანუ სანთელი და პეპელა, მათი სიყვარულის ამბავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზის ორიგინალურ ნაწარმოებთ ეკუთვნის: «ეფთევან დედოფლისა», «მაჯამა», «ჩივილი სოფლისადმი», «შეფარება ბაბ-ზაფხულისა და შემოდგომისა» ლექსი ბაღის სასახლეზე, ანბანთქება და სხ.

მ ა ჯ ა მ ა ითვლება თეიმურაზის საუკეთესო ნაწარმოებად. იგი არის პროფ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის აზრით ოდების კრებული. თვით სიტყვა «მაჯამა» ნიშნავს შეყრილს, გამოხატავს ისეთ ლექსთწყობას, რომელშიც თვითეული სტროიქონი ერთი და იგივე, მაგრამ სხვა და სხვა შინაარსის სიტყვით ბოლოვდება. მაგალითად: —

მზე ცუდ მაშვრალობს, ვერ ნათობს, ეტლზე შენ ზიხარ, ის არა,
სხვამ, შენგან კიდე, სამყარო ვინ გაისახლა, ისარა?
მელნისა ტბამამ გიშერი ტევრად გარ ივლო, ისარა,
მუნით მკრა გულსა, ტყვე ქმნილსა, გლახ, შავმან შვილდმან ისარა

ბ-ნი ბარამიძე შემდეგნარად განმარტავს ამას: — «ამ ხანაში «მაჯამაა» ი ს ა რ ა. პირველი ტაეპის აზრი ცხადია და განმარტებას არ საჭიროებს. მეორე ტაეპის «ისარა» იმავე მნიშვნელობით არის ნახმარი, როგორც წინამორბედი სიტყვა გ ა ი ს ა ხ ლ ა და ნაწარმოებია სრა (სასახლე)-დან. მესამე ტაეპში გვაქვს სარი; მეტაფორაც რომ განვმარტოთ, მთელი ამ ტაეპის აზრი იქნება: თვალმა (თვალის გუგამ) გარეშე შემოივლო (შემოიღობა) სარებად გიშრის ფერი (შავი) წამწამის ტყე. მეოთხე ტაეპის «ისარა» შვილდ-ისარს გულისხმობს». ამნაირი მაჯამითაა დაწერილი მთელი ეს ასთერთმეტ-ტაეპიანი, მშვენიერი ლექსი.

საქართველოსა და თეიმურაზის ცხოვრება ისეთი დიდი დრამატიზმით არის აღსავსე და ისეთი ტრაღიულია მისი ბედისწერა, რომ არ შეიძლება ამას მგოსანზე გავლენა არ მოეხდინა და ამაოების დაღი არ დაემჩნია, ჰანგი პესიმისტურად არ აეყღერებინა. და მართლაც, «ჩივილი სოფლისადმი» შესანიშნავია, როგორც თავისი ლექსით, ისე თავისი მოტივით. აქ ვათავსებ მხოლოდ ერთ ნაწყვეტს: —

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?
გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ დასადაგე'
დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?

სულ დაგლიჯე ვარდი ჩემი, იგ არცა თო მოაწივე,
ვინცა შეგქმნა, მან შენ გიყოს, რაცა ჩემზე მოაწივე,
მოვჰკვდე — მიწაც აღარ მინდა, ჩემზე მხეცნი მოაწივე,
მაშინ აგრეც შეგებრალდე, იტირე და მოაწივე.

★

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გარსევან ჩოლოყაშვილი

მეთექვსმეტე საუკუნის მწერალთ ეკუთვის აგრეთვე გარსევან ჩოლოყაშვილი, რომლის ნაწარმოებიდან დარჩენილია «ხილთა ქება». აქაა მარწყვი, ტყემალი, ბალი, ჟოლო, თხილი, ქლიავი, მაყვალი, კიტრი, ნესვი, ატამი, საზამთრო, ვაშლი, ნიგოზი, ნუში, ბროწეული, შინდი, სხალი, კომში, ზეთისხილი, თურინჯი, ლეღვი, ხურმა, წაბლი... — ყველა ესენი ერთმანეთს ეჯიბრებიან, თავს იქებენ ან ჰკილავენ და სარგებლობას იმტკიცებენ. მაგალითისათვის მოგვაქვს აქ შემდეგი ლექსი: —

მარწყვმა ჰსთქვა: «მოვალ პირველად, მე ვერა მისწრობს ხილიცა,
ფერად მსგავსი ვარ ლალისა, მერმე საჭმელად ტკბილიცა,
წინ რასა მისწრობს ტყემალი, მჟავე არის და გრილიცა,
მისგან სჩივიან ყველანი, ვსჭამეთ, მამკვეთა კბილიცა»..

—

თურინჯმა ჰსთქვა: «სიტურფითა ვერვინ არის ჩემი დარი,
ვარ ყოველთა საყვარელი, ხილი ბრძენთა საქებარი,
საჭვრეტელად შვენიერი, უბეშიგან სადებარი,
თაკს სხვას არვის დავადარებ მსგავსი სულთა მუშკ-ამბარი».

★

## ნოდარ ციციშვილი

არის მე-17 საუკუნის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე. მას ეკუთვნის «ბარამ გურიანი», ლექსად ნათარგნი სპარსულით.

★

## გოჩა ბატონიშვილი

მას ეკუთვნის პოემა «გოჩიანი», რომლის ნაწილი დაკარგულია.

★

## ფაშვი ბერტყაძე

მან დასწერა პოემა, რომლის გმირად გამოყვანილია ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტე (მოჰკლეს 1709 წ.). მეფე გიორგი შაჰ-ჰუსენმა დანიშნა ავღანთა წინააღმდეგ გაგზანილ ჯარის უფროსად. გიორგიმ გაიმარჯვა, ტყვედ ჩაიგდო ავღანთა მმართველი მირ-ვეისი; მაგრამ გიორგის დასწამეს ორგულობა, მირ-ვეისს დაუბრუნეს ტახტი; მისმა მხედრებმა მოჰკლეს გიორგი და მასთან მყოფი ქართველები ნადიმობის დროს

★

## ბარძიმ ვაჩნაძე

მეფე არჩილის თქმით, იგი მოღვაწეობდა ოდიშში, დადიანის კარზედ. ბარძიმს მამუკა თავაქალაშვილთან ერთად შაჰ-ნამეს გალექსვაზე უმუშავნია. მამუკას გაულექსავს ზააქის, ბარძიმს კი საამის ამბავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



არის არაკთა კრებული, როგორც ამტკიცებენ სპარსულიდან ნა-თარგმნი. მისი ტექსტი დაპეჭდილია ია ეკალაძის მიერ შედგენილ ანთოლოგიაში და თხუზულების სათაური პროფ. კეკელიძეს ეკუთვნის.

★

## ა რ ჩ ი ლ  მ ე ფ ე

(1647—1712)

უბედური მეფე! დიდი მგოსანი! მისი ცხოვრება საქართველოს ცხოვრებაა, მისი უბედურება საქართველოს უბედობაა! ხუთჯერ დაკარგა თუ დააკარგვიეს მას ტახტი და დაბოლოს დასახლდა მოსკოვს, სადაც მან გახსნა ქართული სტამბა. მას ეკუთვნის «არჩილიანი», რომელშიაც აღწერილია თეიმურაზ მეფის ტრაგიული ცხოვრება და მოღვაწეობა. პირველი არის «გაბაასება მეფის თეიმურაზისა და რუსთაველისა», რომელშიც მგოსნობის უპირატესობისათვის თეიმურაზი შოთას ეცილება.

ორთავ უხამს დიდი ჭება, მსმენელს დიდსა სიბრძნეს მოსცემს,
მათი ტკბილი მეტყველება მიჯნურთ გულსა ლახვარს გასცემს,
თუმც უხვია თეიმურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს,
ერკინება რუსთველს მედგრად, შეიტყევით თუ ვინ დასცემს.

მეორე კარი არის: «ამბავი მეფის თეიმურაზისა, რომელი სიყმაწვილით სიკვდილამდის გარდაჰხდეს». ამ პოემაში დამახასიათებელია პატრიოტული გრძნობა და გაკიცხვა იმ შინაური განხეთქილებისა, რომელიც საქართველოს ძირს უთხრიდა. მასვე ეკუთვნის: «გაბაასება კაცისა და სოფლისა», აგრეთვე სამიჯნურო «ლექსი აქა-იქ ნათქვამი», «ანბანთ ქება», პოემა «ნარგიზოვანი», «ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება», თარგმანი სერბიულით, «ხრონოღრაფი (ისტორია) დასაბამიდან სოფლისა კონსტანტინე პალეოლოგის მეფემდე», თარგმნიდი ბერძნულით, (ერთი ნაწილი უთარგმნია ბაგრატ სოლოღაშვილს) და «საქართველოს ზნეობა». ეს უკანასკნელი თხუზულება შეიცავს აღზრდის წესებს. გონების გასაწრთობად საჭირო ყოფილა: — ხუცური და მხედრული წიგნების კითხვა, ლექსთმთარგმნელობა, მელექსეობა, ანგარიში, სამართალი, მხატვრობა, გალობა, ზრდილობა და სხ. ფიზიკურ განვითარებისათვის: — ბურთაობა, მხედრობა, სროლა, ქვისგდება, ყაბახი, ცხენოსნობა, ჩალიჩი, ლახტი, ნადირობა, ცურაობა, ხტომა, ჭადრაკი, ნარდი; გარდა ამისა, საჭიროა პურადობა, მამაცობა, სიფრთხილე, ხუმრობის ატანა, თავდაჭერა, მოქალაქობა და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ მეფე უნდა ჩაითვალოს პირველ ქართველ კრიტიკოსად. თხუზულება «არჩილიან»-ს წინ მიუძღვის საქართველოს მწერალთა მოკლე განხილვა. იგი ასახელებს და არჩევს უკვე აქ აღნიშნულ მწერლებს, და მათ გარდა სხვებსაც: — ქაიხოსრო ფავლენიშვილი, ნოდარ ფარსადანისძე, ბარძიმ ვაჩნაძე. იაკობ სამებელი, ფემანგი, ფაშვი ბერტყაძე, სულხან თანიაშვილი, გარსევან ჩოლოყაშვილი; ზოგი მათგანის ნაწარმოები დაკარგულია ან ჯერ გამოუქვეყნებელი. იგი იხსენიებს აგრეთვე ბააკა დვალიძეს და დაფინა ქვარიანს, რომელთაც «მელექსედ» არა სთვლის.

★

## იაკობ შემომქმედელი

მეფე არჩილის თანამედროვე და ცნობილი მწერალი იყო, უმთავრესად სასულიერო დარგში.

## იოსებ ტფილელი

ზოგის აზრით, იოსებ ტფილელი არის გიორგი ააკაძის შვილის შვილი, ყოველ შემთხვევაში მისი ნათესავი. მან დასწერა (1681-1686 წ.) პოემა:— «დიდმოურავიანი», რომელშიც აღწერილია დიდი მოურავის— გიორგი ააკაძის ცხოვრება. იოსებ ტფილელი მოკლულ იქნა 1688 წ.

დიდი მხედარი ააკაძე აპარცხებს ოსმალების ჯარს და გამარჯვების ნადიმი იმართება დიდი მოურავის სახლში. ქართლის მეფე ლუარსაბს მოეწონება ააკაძის დაი, რომელსაც დაბოლოს შეირთავს. ააკაძე ამის წინააღმდეგია, რადგან იცის, დიდებულები ამას არ მოითმენენ. ერთ დღეს ააკაძეს ატყობინებენ საიდუმლოდ, რომ მეფე სიკვდილს გიპირებსო. ავალიშვილისა და არქ. მროველის პირით ააკაძე ეკითხება ამ ამბავის გამო მეფეს, რომელმაც გამცემთა ვინაობა მოითხოვა. ეს ამბავი იყო შედეგი თავადთა ინტრიგისა, რომელთაც არ მოსწონდათ უბრალო და უვარო კაცის ასეთი ამაღლება და განდიდება. დიდებულებმა მოსთხოვეს მეფეს უვარო ცოლის გაშვება და თვითონ ააკაძის სიკეთილით დასჯა. ააკაძე გარდაიხვეწა სპარსეთს, მის სახლკარს სწვავენ თავადები. მრისხანე შაჰბაზმა სიხარულით მიიღო დიდი მოურავი და სარდალი, თუმცა თვით ააკაძეს «სევდა სახლისა სწვავს და ცრემლს აღვრევინებს».

ააკაძე გახდა შაჰის სარდალი და ყველა ომს გამარჯვებით ასრულებდა. ბოლოს შაჰბაზმა გამოგზავნა იგი საქართველოს დასაპყრობად. მოურავს «ეტირება», მაგრამ წინააღმდეგობას ვერ უბედავს. ააკაძე სამშობლოს ვერ გაიმეტებს და გადასწყვიტავს სპარსეთის ჯარის და მისი მეთაური ყორჩიხანის მოსპობას და გაანდობს ამ გადაწყვეტილებას ზურაბ ერისთავს. მოუწოდებს ქართულ ჯარს და ამოსწყვიტავს სპარსე-

ლებს. სააკაძემ თავისი მხედრული ნიჭითა და ვაჟკაცობით დიდი ოვაწ-ლი დასდო საქართველოს; იგი რისხვად მოევლინა ოსეთს, დაატყვევა ყა-ზახის ხანი, და ურჩნი მოიყვანა მორჩილებაში. ამის შემდეგ მას შეეძ-ლო სიამაყით ეთქვა:« ქვა არსად არის ქართლშია, რომ ჩემი სისხლი არ ეცხოს».

ლუარსაბის მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ სააკაძემ ქართლის ტახტზე ქაიხოსრო დასვა. განრისხებული შაჰაბაზი შემოესია ქართლს, ააოხრა იგი და ამნაირად შური იძია მოურავზე. შაჰმა აწამა ქეთევან დედოფალი და მოაკვლევინა თეიმურაზის შვილები. სააკაძემ თავისიან-ებშიც ჰკარგავს ნდობას და იძულებულია წავიდეს ეხლა ოსმალეთს.

თაო ჩემო, ვით გასრულო, სევდიანო, როგორც წყლულო,
საქართველოს რჯულისათვის ათას ფერად წამებულო,
მეფეთათვის რა ნასაჯო, ნამსახურო, რა ერდგულო,
აღარ შეგრჩა ნოსტეს ლხინი, ალაბ, სტამბოლს დაკარგულო-

ვაი დაგაგდებ სახლ- სამყოფო, სად კარგო და სად ავებო,
შორ გვარ დავრჩი მეზობელთა, ვისთანც ვიყავ სადავებო,
ავ-ქანდართა სიმაგრენო, მე სად გძრევდი სადავებო?
რამდენს მოკრჩი ძნელს ბადესა, ახლა კიდევ სა დავებო!...

ეს სოფელი ასეთია, არ დაინდობს კაცსა არაოს,
ვინც იყუენით, ძნელი საქმე მაშინ უყავ, იცითა როს?
აწ მეფეთა გაწყრომილმან თავმან ჩემან სითკენ არაოს?
მე წავიდე, დავიკარგო, მტერმან ამით გაიხაროს.

აქ იგი როგორც სარდალი დიდ სახელს იხვეჭს. მისმა საქმეებმა ჩრდილში დააყენა ვეზირი აზამი, ხონთქარ მურადის სიძე, ოომელსაც ცოლი უსაყვედურებს: «შენი სად არის სახელი»-ო? ამ შურიანობისა და-ინტრიგის შედეგად აზამის ბრძანებით სააკაძეს ღალატით ჰკლავენ. ასე დასრულდა ამ დიდი კაცის ცხოვრება და მოქმედება, რომლის დაფასე-ბის შესახებ კამათი ისტორიულ-ეროვნული მნიშვნელობის თვალსაზრი-სით, დღესაც სწარმოებს და ალბად კიდევ დიდ ხანს გაგრძელდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. მანწკავა

# ნიკო გერგესელი

ექვსი წელი შესრულდა ნიკო გერგესელის (გვარად კვერნაძე) დახვრეტის შემდეგ. და მე კი მგონია, ეს გუშინ იყო. ექვსი წლის მანძილი ოდნავ ვერ ამსუბუქებს ამ მძიმე შთაბეჭდილებას: გოლვიდან დამსკდარი მიწა, ქართული სისხლით რომ გაივსო და გულ-გახვრეტილ რაინდთა ცხედრებს ქარი რომ აყრიდა მტვერსა და სილას სამარადისოდ. აგვისტო-სექტემბრის დღეებში იყო ეს, 1924 წ., როცა ათასობით პოლიტიკური ტუსაღი დახვრიტეს კრემლის სატრაპებმა. ათასებში იყო ნიკოც.

მე არასოდეს არ დამავიწყდება უკანასკნელი საღამო ჩვენი გამოთხოვების: — მეტეხი. 1924 წ. აგვისტო! საღამოს შვიდი საათი. დასახვრეტ ამხანაგების პირველი პარტიის გაყვანა. აქ იყო ჩემთვის ძვირფასი და მარად დაუვიწყარი გაბო ციხკარიშვილი... ტუტაუ გვარამია და თედორე ასათიანი, ვასო ურუშაძე და რაფიელ ჩხაიძე და ბევრი სხვა. აქ იყო გერგესელიც. გადავკოცნეთ ერთმანეთი... კარებამდე ჩავაცილე. ჩამოვართვით ხელი ერთმანეთს მაგრად, და კიდევ გადავკოცნეთ... და წავიდა... მძიმე იყო ის დღეები მეტეხში... უცნაური ტკივილების ამშლელი და ძალზე ნერვიული. პირველ და მეორე დღეს ტუსაღებს სახელით და გვარით იძახებდენ, შემდეგ მთელი საკნობით გაპყავდათ. დაიწყეს ქვედა სართულიდან. აღარ გათავდა წამება. ექვსი დღე-ღამე საუკუნოდ გაგრძელდა... მეტეხს იცავდა რუსის ჯარი ტყვიამფრქვევებით. შიგნით, საკანის კარებთან იდგა არაყით შეხურებული მეკარე, — კაცი პატარა ტანის და ფჩხილებამდე გამხმარი. — ტუსაღები აღარ ლაპარაკობენ. გაქვავდა გული და დაწყდა ნერვები. არ იყო არაფრის მადა: არც სიარულის, არც წოლის, არც ჭამის, არც კითხვის, არც ტირილის. თავში ათასი ფიქრი და ათასი სახე ირეოდა უაზროდ და უთავბოლოდ.

ამ წარღვნის დროს, მეტეხის პოლიტიკურ კორპუსში გადარჩა ოცდათექვსმეტი კაცი... იმ ღამეს, როცა დამკომი დასთანხმდა მოწოდების გამოშვებაზე და ჩეკამ ჩაიბარა ტექსტი გათენებისას, ოთხ საათზე, ჩვენთან მოვიდა ცნობა: — დამოუკიდებლობის კომიტეტი დაპატიმრებულია, მოწოდება გამოქვეყნდება ხვალ, ხვრეტა შეწყვეტილია... ჩვენ განვიცდიდით უდიდეს ზნეობრივ და ფიზიკურ ტკივილს. დახვრეტილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრების ფიზიკურ ჭრილობებს გრძნობდა ჩვენი ტანი. ჩვენი სულები დაფარული იყო სატუსაღოს მტვერით და ექვსი დღის ნაწოვ ... კვამლით. საწოლებზე ვეყარეთ უძრაოდ და უაზროდ. მოწყვეტილი ვიყავით მთელ ქვეყანას. მესამე დღეს საგუბერნიო საავადმყოფოდან მოიყვანეს გრიგოლ გიორგაძე. როცა მან ნახა ცარიელი მეტეხი, იგი ბავშვივით ატირდა. ჩვენ ეს შეგვშურდა, რადგან ჩვენ ტირილიც არ შეგვეძლო.

ათასები დახვრიტეს აგვისტოს აჯანყების დღეებში, ათასები და ათასებში იყო ნიკო გერგესელი. ახალგაზდა, 32 წლის, შევერცხლილი თმა და ნათელი სახე. სახე სევდის ჩრდილ-დანაკრავი. პირდაპირი და გულღია. დარბაისელი და ზრდილი. მებრძოლი ჯარისკაცი, მაგრამ ჯარისკაცი ისეთი, რომელიც საჭიროების დროს სარდალს შესცვლის, სარდალს შორმჭვრეტს და გაბედულს; სარდალს, რომელიც ბრძოლის ყველა სახიფათო მომენტში წინ მიდის.. .საკუთარი მსხვერპლთ-შეწირვის განზრახვით.

—

ძნელია აგვისტოს ამბების მონაწილე მსხვერპლთაგან ერთი ან რამოდენიმე პიროვნების გამოცალკევება და მათზე წერა. აქ ყველა უბადლო გმირია და თავგანწირული რაინდი, ჯარისკაციდან დაწყებული ხელმძღვანელამდე. უბრალო ხალხი აქ თავისებური იერით მოსჩანს. მათი სახელი არავინ იცის მშობლებთ გარდა. ჩვენი დაფლეთილი ისტორიის ფურცლებზე მათი სახელი აღინიშნება ერთი ზოგადი ციფრით. მაგრამ მათი სახე მოცულია განუმეორებელი შარავენდედით. მე მაინც ვაცალკევებ მათგან ნიკო გერგესელს... თუმცა ის ამ ათასების გულის-თქმით, აზრით, გრძნობით და გატაცებით იყო ანთებული. მე მას ვანცალკევებ ამ ათასებიდან არა როგორც მებრძოლს, არამედ როგორც მწერალს.

აგვისტოს აჯანყების მსხვერპლზე სათითაოდ უნდა დაიწეროს. ეს იქნება ფაქტიურად საქართველოს პირველი რესპუბლიკის ბოლოსიტყვაობა.

—

1922--23 და 24 წლები. ესაა დიდი ეროვნული ბრძოლების პერიოდი ჩვენს ცხოვრებაში. ბრძოლა სწარმოებდა ორი ხაზით: იარაღით — აშკარა: კახეთი, მთიულეთი, ქართლი, სვანეთი, გურია. და უიარაღო — ჩუმი, საიდუმლო მუშაობათა ქსელით, პასიური წინააღმდეგობით.

1923 წ. საქართველოს მწერალთა კავშირმა გამოსცა მოწოდება, სადაც იგი ბრძოლას ხელისუფლების წინააღმდეგ დამღუპველად სთვლიდა. ნიკო მაშინ მეტეხში იყო. გაიმართა თათბირი ამ მოწოდების ირგვლივ. გამოირკვა, რომ საჭიროა ბრძოლის მიცემა. ნიკომ წინადადება მოგვცა ხელთნაწერ ლიტერატურული ჟურნალის გამოცემის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინადადება უკამათოდ იქნა მიღებული. შევუდექით მუშაობას. ნიკომ წარმოადგინა მომავალი მუშაობის პროექტი: როცა გარედ გავალთ, დაარსებულ უნდა იქნეს მწერალთა კავშირის საიდუმლო ორგანიზაცია. უნდა შეუდგეთ გამომცემლობასაც. გათვალისწინებულ იქნა ყველანაირი სიძნელე. უკანასკნელ შემთხვევაში გამომცემლობა უნდა გადაგვეტანა საზღვარგარეთ. მოვიდა აგვისტო. მთელი ჯგუფი დაიღუპა ორი კაცის გარდა. — ჟურნალი გამოიცა «მეტეხი»-ს სახელწოდებით. ყდა დახატა ახალგაზდა მხატვარმა გ. მამალაძემ. სწერდა ა. ჭელიძე. მონაწილეობას ღებულობდენ: დ. მეჩონგურე, ნ. გერგესელი, გ. გარსიაშვილი, ფ. კეკელიძე, ა. ჭელიძე, კათოლიკოსი ამბროსი, .... და მე. თანამშრომლებიდან გადარჩა მხოლოდ ორი კაცი. ჟურნალი გამოიცა ხუთი ნომერი, თითო ეგზემპლიარად. მეტეხიდან გაგზავნილ იქნა გარედ.

—

ნიკო გერგესელს, როგორც მწერალს, ჩვენი საზოგადოების წრეები არ იცნობს. ეს იმიტომ, რომ მის ნაწერთა უმეტესი ნაწილი არაა გამოქვეყნებული. რაც დაბეჭდილია, ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული. ნ. გერგესელი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1918 წ. მან დაიწყო პატარა ესკიზებით და დრამებით. 1921 წ., როცა საქართველოს რესპუბლიკა დაიღუპა, მას შემდეგ თითქმის არაფერი გამოუქვეყნებია. ის მთელი თავისი დიდი ენერგიით ჩაება საიდუმლო მუშაობის ქსელში და მუშაობდა 1923 წ. ბოლომდე, დაპატიმრებამდე. დაპატიმრებიდან აჯანყებამდე იჯდა მეტეხში. აქ ის ბევრს მუშაობდა; მან დასწერა სამ-მოქმედებიანი პიესა «დიდების მემკვიდრენი» და რამოდენიმე მოთხრობა.

მე მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა ამ გამოუქვეყნებელ მასალაზე, თუმცა ერთის მხრივ უხერხულია ისეთ ნაწარმოებზე ლაპარაკი, რომელსაც მკითხველი საზოგადოება არ იცნობს და სადღაც საიდუმლო ბინაზე ინახება, მაგრამ ვინ იცის, როდის ეღირსება მას გამოცემა და არც უბედურ შემთხვევიდან ვართ დაზღვეული.

—

მეტეხის ხელთნაწერებში საინტერესო განძს წარმოადგენს სამ-მოქმედებიანი პიესა: «დიდების მემკვიდრენი». მოქანდაკე არჩილს უყვარს ახალგაზდა თამარი, რომელთანაც მას ბავში ჰყავს. არჩილი მიემგზავრება უცხოეთში, სადაც სახელს გაითქვამს და სადაც ირთავს მდიდარ ებრაელის ქალს, რებეკას. შინ დაბრუნებისას, არჩილი შეუდგება ქართული ხელოვნების აღორძინების საქმეს, მაგრამ მას ხელს უშლის ოჯახური ვითარება. რებეკა ვერ ეგუება საქართველოს პირობებს და მოითხოვს უცხოეთში დაბრუნებას, რაზეც არჩილი არ თანხმდება. არჩილი აღადგენს ძველ მეგობრობას თამართან, რებეკა ეჭვიანობს და როდესაც

ქალაქის თვითმართველობისაგან შეკვეთილი, არჩილის მიერ დამზადებული ძეგლი ზეიმით დადგმულ უნდა იქნეს, რებეკა ამსხვრევს ამ ძეგლს! ამის შემდეგ არჩილი გააგდებს რებეკას. — პიესაში საინტერესოა ამ ორი ქალის ტიპი. ორივე ზომაზე მეტი სიმახვილითაა გამოკვეთილი. რებეკა ევროპაში აღზრდილი ებრაელის ქალია, ანაციონალური პიროვნებაა; მისთვის გაუგებარია არჩილი და საქართველო; მისთვის უცხოა ეროვნული გრძნობა. თამარი — პირიქით, გარკვეული ეროვნული სახის მატარებელია — ქართველი. მან ბევრი დამცირება და გაჭირვება აიტანა არჩილის გამო, და როცა დაბრუნებულმა არჩილმა სთხოვა პატიება, მან სულგრძელად აპატია ყოველივე. თამარი კეთილია და დარბაისელი, მაგარი ნებისმყოფის მქონე და გარკვეული პიროვნული მეობის მატარებელი. ავტორმა აქ დახატა იდეალური ქართველი ქალის ტიპი; დღეანდელ საქართველოში ასეთებს ბევრს ვერ ნახავთ.

არჩილი ტიპიური წარმომადგენელია ქართველი ინტელიგენციის; იმ ინტელიგენციის, რომლის დიდი ნაწილი მთელი საუკუნის გასწრივ ცალი ფეხით ქართულ ნიადაგზე იდგა, მეორეთი კი უცხოზე — რუსულზე. მაგრამ 1918 წ. საქართველო მობრუნდა მთელი კორპუსით საკუთარ ნიადაგზე და ინტელიგენციამაც ჩამოიდგა მეორე ფეხი. თუმცა აქა იქ დარჩენ არა მარტო ცალფეხ-გადადგმული, არამედ საგსებით გარიყული ქართული ნიადაგიდან. გადაგვარების ზოლი საკმაოდ ძლიერი იყო ჩვენში; დაიწყო ბრწყინვალე წოდებიდან და განათლებულ გლეხამდე დავიდა. მაგრამ ეს მოვლენა ას-ჩვიდმეტი წლის ქართული სახელმწიფოებრივობის დაცემის და ეროვნული დეგრადაციის შედეგი იყო... ამას საგანგებო შესწავლა და ღრმა დაკვირვება სჭირდება აღდგენილ ნიადაგის დამკვიდრებისათვის. ეს თემა სრულიად ახალია ჩვენი სათეატრო ხელოვნებისათვის და რომ დღეს რუსი დამპყრობელები არ ახრჩობდენ ყველაფერს ჩვენში, ქართული მწერლობა უფრო ფართედ გაშლიდა ამ რკალს. ——

მეტეხის ხელთნაწერებში, გარდა ზემოხსენებული პიესისა, არის რამოდენიმე დაუმთავრებელი ესკიზი, მაგრამ აქაა ერთი დამთავრებული მოთხრობა, რომელიმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ეს ესკიზია, სურათი: «ერთი სარდაფის ისტორია». ეს ან პირადათ მისი ამბავია, როცა ავტორი იჯდა ჩეკის ცნობილ სარდაფში, ნომერი 24, ან-და რომელიმე ტუსაღის ნაამბობი; თუმცა უფრო საფიქრებელია, ეს პირადათ მისი ამბავია.

ესკიზის შინაარსი სადაა და მარტივი: — ტუსაღი გივიაშვილი ზის სარდაფში ორმოცი დღე, და ორმოცი დღე გრძელდება დაკითხვა.. ავტორი ხატავს მძიმე და მკვეთრი საღებავებით ამ ორმოცი დღის ორმოში ტყვეობის ამბავს. დაკითხვის პროცესი, მოხელეთა მოპყრობა, სარდაფის სიბინძურე, ტუსაღის პიროვნული განცდები, გალუცინაცია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირთხებთან ბრძოლა... სურათი ახდენს ღრმა შთაბეჭდილებას იმათზე, ვინც ასეთი რამე თავის თავზე გამოსცადა, ვინც იცის ყველა დეტალი იმ წამების, რომელიც საქართველოს ბასტილიაში ხდებოდა და ხდება.

ცხადი არის, სხვებზე ეს უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს, ვისაც ხსენებული კარანტინი არ გაუვლია. ეს პატარა მოთხრობა მომავალი თაობისათვის ფრიად საინტერესო მასალა იქნება, წამებისა და სისხლიანი ორგიების შესასწავლად.

—

ნიკო გერგესელი ფსიქოლოგიური მწერალია. იგი იძლევა ადამიანის შინაგანი ხასიათის ყალიბებს. იგი ანცალკევებს შინაგან მე-ს გარეგან მე-სგან. იგი შლის ყველა სათუთ ძაფებს ამ ასპეკტში. და მიყავს მკითხველი ადამიანის გარეგნულ ორეულის პირველ დასაწყისთან — შინაგან ადამიანთან. ყველა ნორმალური ადამიანი ნიღაბით გვეევლინება.. სხვა სახე ისტორიამ არ იცის. ამიტომაა, რომ ადამიანის შინაგანი მეობა ყოველთვის უფრო საინტერესოა... შინაგანი მეობა, სადაც ყველაფერი ხალასია და ნაღდი, ნათელი და მართალი.

მხოლოდ დიდ ფსიქოლოგს და მხატვარს შეუძლია მისწვდეს მას, რასაც ყველა ვერ ხედავს, რაც გარეშეთათვის დაფარულია და გამოიტანოს მზის სინათლეზე სხვების დასანახად

ნიკო გერგესელი ამ მხრივ ჩვენს მწერლობაში ენათესავება ჭოლა ლომთათიძეს და ალ. ყაზბეგს. იგი უფრო ახლო სდგას ლომთათიძესთან შინაგან სახეთა გამოკვეთაში და ამ სახეების თავისებური იერით განათებაში.

ნიკო სწერდა სადათ, მოდერნული სტილით, მოკვეთილი წინადადებით. ხშირად იგი წინადადებას გამოსთქვამდა ერთი ან ორი სიტყვით, სადაც იჭრება აზრისა და სახის ყველა რელიეფი, სადაც განცდა დაღვედილია და შთაბეჭდილება სრული. ასე სწერდა სანდრო ცირეკიძე. ასე სწერენ ნიკო ლორთქიფანიძე და გრიგოლ რობაქიძე.

—

მასალების უქონლობის გამო დღეს შეუძლებელია ნიკო გერგესელზე არსებითად დაიწეროს. ისტორიული უკუღმართობა და ჩვენი ეროვნული ცხოვრების ასეთი საშინელი ბედი მას ალბად კიდევ დიდხანს არქივში დამალავს. მაგრამ უძლიერესი არაა ამ ქვეყნად უმაღლესი და როცა საქართველოს მზე ოცდაექვსი მაისით გამოანათებს, იგი გადმოვა დამტვერულ არქივიდან და დადგება ჩვენი ქვეყნის ბედისათვის წამებულთა გვერდით.

პარიზი — 1930 წ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ამირეჯიბი

# ადამიანები და საქმენი

ეს ნარკვევი აქ განხილული საგნის ისტორია არ არის, თუმცა ისტორიულ ამბებს ეხება ეა ვსცდილობდი, ყოველი მსჯელობა ისტორიულ საბუთზედ, ან ისტორიულ მოსაზრებაზედ ყოფილიყო დაფუძნებული. ამიტომ ვისაც ქართულ--რუსული ურთიერთობის რთული ისტორია ეგულისხმიერება, მან ან საგანგებო გამოკვლევებს უნდა მიმართოს, ან ისტორიულ საბუთების პირველ წყაროებს, ჩემი ნარკვევი კი სხვანაირად გამოიყენოს.

აქ აღწერილ ისტორიულ ჩარჩოში მე მაფიქრებდა უკვე წარსული დრო, მაგრამ იმ ადამიანთა ხასიათების აღწერით, რომლებიც, ისტორიულ ბედის წერასთან ერთად, ამ ამბებში ასე დიდ მონაწილეობას იღებდნენ. ამიტომ ამ ნარკვევში ხასიათების განმარტებას უფრო მეტი ადგილი აქვს დათმობილი, ვიდრე ახალ ფაქტებს და საგნის ახალ გაშუქებას, რაიცა ახალი ნარკვევისათვის არა ნაკლებ კანონიერი იქნებოდა. რაკი ასეა, ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებასაც, რომ ამ გვარ მსჯელობაში, შეუძლებელია სუბიექტიური შეხედულობანიც არ ერიოს და შესაძლებელია მისი ნაკლიც სწორედ ეს იყოს. მაგრამ მე მაინცა მგონია, რომ ასეთი მეთოდი ერთად ერთია, რომ ქართული ხასიათის საკითხიც დაისვას, რომელიც, როგორც სხვა ერთა ცხოვრებაშიაც, ჩვენი ისტორიული ცხოვრების მოსაქცევზედ ასე დიდ როლს თამაშობდა.

რაღა თქმა უნდა, რომ ქართული ხასიათი იმ ეპოქისა, როდესაც სამეფოს დამხობა ხდებოდა, დაკნინებული მოსჩანს. ეს უნდა ითქვას, მიუხედავათ იმისა, რომ ქართული უკიდურესი პატრიოტიზმის მებუკენი და მედოლენი გაჯავრდებიან.

1799--1801 წლების ამბები ანაზდეულად არ მომხდარან და არც რუსეთი ჩარეულა ამ ამბებში , როგორც დეუს ექს მახინა, ეს ამბები თანდათან მზადდებოდნენ და რუსეთსაც ბევრი წელიწადი დასჭირდა, რომ ამ ქართული ამბების აუცილებელი ჭახრაკი გამხდარიყო. წარმოებულ ამბების სტილი და მასშტაბი მოითხოვდა, რომ საქართველოს ძლიერი პიროვნება ჰყოლოდა და ის ყოფილიყო არა მარტო ქართველი, არამედ ქართული ვითარებიდგან გამოსულიც. მაგრამ ქართული ხასიათის დაკნინება გამოიხატა იმაში, რომ ეს ძლიერი ქართველი პიროვნება რუსული ვითარებიდგან მოვიდა. ეს იყო პავლე ციციშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დავხატე ფრიად მკრთალი სურათი, რომ ეს ვახტანგისეულ ემიგრაციაში დაბადებული და გარუსებული ქართველი მოკლებული არ იყო ქართულ რომანტიზმსაც. მას ჰქონდა ნათელი თავი და ამ თავით ის რუსი იყო; მაგრამ მან დაგვიტოვა თავისი, ბურუსით მოსილი სახე და ამ სახით ის ქართველი დარჩება.

მე ვიცი, რომ ასეთი დებულება კამათს გამოიწვევს. მეტყვიან, რომ იმ დროის ქართული ეროვნული გმირები სხვები იყვნენ და არა ციციშვილიო და ეს ასეც არის. ქართველ ეროვნულ გმირთა პანთეონში ციციშვილი ვერასოდეს ვერ მოხვდება, მაგრამ ქართულ ხასიათების პანთეონში მისი ადგილი ძლიერთა გვერძეა. იმ ლეგენდებს, რომლებიც მის შესახებ ჩვენში არსებობენ და რომლებიც მას აქამდე რაღაც «განუხორციელებელ» იდეის მატარებლად გვიხატავდნენ, მე მოუძებნე ცოტაოდენი საბუთებრივი გამართლება. მომავალი ან სულ უარყოფს ამ საბუთებს ან უფრო კიდევ გააძლიერებს მათ მნიშვნელობას.

მაგრამ ამ ამბების ისე აღწერა, რომ ციციშვილის სურათიც არ მოგვეცა, ან ამ «ლეგენდებზედაც» არ შევჩერებულიყავით, ქართული ეროვნული შემეცნებისათვის უარესი იქნებოდა. უიმისოდ ამ ამბების სურათი მთლად უფერული გამოვიდოდა.

I

მეცხრამეტე საუკუნე საქართველოს ცუდ პირობებში დაუდგა. 1800 წელს, დეკემბერში, მიიცვალა გიორგი XII. ის მოკვდა სამი წლის მეფობისა და ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, გარემოდებული ხატებითა და წმინდანების ნეშთებით, სამღვდელო პირთაგან და საეკლესიურის ოშხით სავსე ოთახში, მრავლის პარაკლისის შემდეგ, რომლის დროს სამოციქულოს თითონ მომაკვდავი მეფე კითხულობდა.

მაგრამ გიორგი მოკვდა ისე, რომ ახალი მეფე ვერც ახალმა წელმა მიულოცა საქართველოს, ვერც ახალმა საუკუნემ. მეფის ელჩები გარსევან ჭავჭავაძე, ელიაზარ ფალავანდიშვილი და გიორგი ავალიშვილი ამ დროს რუსეთში იყვნენ და სცდილობდნენ იმპერატორ პავლეს მეფე გიორგის, ეგრედწოდებული, «სათხოვარი პუნქტები» შეეწყნარებინა. ამპუნქტების მთავარი დებულება იყო, რუსეთს საქართველო სამუდამო მფარველობაში მიეღო, ხოლო საქართველოს ტახტი, აგრედვე სამუდამოდ, გიორგის ჩამომავლობის ხელში დარჩენილიყო. 1783 წლის ტრაქტატთან შედარებით, გიორგის ეს ახალი ხელშეკრულება უკან ნაბიჯი იყო და არა წინ. ამ ხელშეკრულების ძალით გიორგის და მის ჩამომავლობას (იგულისხმეთ — საქართველო!) თითქმის არაფერი რჩებოდა. უკვე ეს იყო ნიშანი, რომ ამ ხელად რუსეთს ელაპარაკებოდა საქართველო გაცილებით სუსტი, ვიდრე ირაკლის საქართველო. მაგრამ ამისი ბრალი გიორგის არ ედო და სამეფოს დაქვეითება ჯერ კიდევ ირაკლის დროს დაიწყო.

1795 წელს საქართველომ განიცადა აღა-მაჰმად-ხანის ბარბარული შემოსევა, რამაც ტფილისმი ქვა ქვაზედაც აღარ დასტოვა. ამ შემოსევის მიზანი იყო, საქართველოს რუსეთის მეგობრობაზედ ხელი აეღო და ძველებურად პირი სპარსეთისაკენ ექნა. მაგრამ ამ «შთამაგონებელი» ზომის შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ ქართველების რუსოფილური მიდრეკილება უფრო გაზარდა.

სპარსეთი მშვიდობიან ზომებსაც არ ერიდებოდა და 1799 წელს ბაბა-ხანმა, შემდეგში ფეტ-ალი შაჰმ, ირაკლის შემდეგ ტახტზედ ასულს გიორგის, განჯის, ერევანისა, შექისა და შირვანის სახანოები შეაძლია, თუ გიორგი რუსეთის მეგობრობაზედ ხელს აიღებდა. ბაბა-ხანის ასეთი წინადადება «გურჯისტანის ვალის» (საქართველოს მეფის) ტიტულის გამომთელებას ნიშნავდა. ამ კავკასიური მუსულმანური პროვინციების ხელში ჩაგდების სურვილით, ქართლის ბაგრატიონებმა, თავის დროზედ დასავლეთის საქართველო საკუთარ ბედს მიაგდეს და პირი კასპის ზღვისაკენ ჰკნეს. ასეთს განზრახვას ხელს უწყობდა ქართლის გეოგრაფიული მდგომარეობა, რომელიც სტრატეგიულად აღმოსავლეთ კავკასიის მფლობელია. ამიტომ ძველი ტიპის ქართველ პოლიტიკოსებისათვის ბაბა-ხანის წინადადება სავსებით მისაღები იყო. ვისთვისაც რუსეთი ახალი და უცხობი ქვეყანა იყო, უპირატესობა ძველსა და «ყოველმხრივ» ნაცადს სპარსეთს უნდა ჰქონოდა. თანაც, შეჩვეული ჭირი სჯობიან შეუჩვეელ ლხინსო. ამ თვალსაზრისს ეხლაც ისევე შეეძლო გაემარჯვნა, როგორც არა ერთხელ უწინაც. მაგრამ საქართველო განიცდიდა ისეთ წუთს, როდესაც განსახილველი და შესაფასებელი იყო არა მარტოოდენ დღევანდელი დღის სარგებელი, არამედ მთელი ეს ძველი პოლიტიკა.

მრავალ მუსულმან ბაგრატიონ მეფეთა შემდეგ, რომლებიც ამ ტრადიციულ პოლიტიკას მისდევდნენ, გიორგი იყო ნამდვილი ბაგრატიონული კულტურის კაცი, ამ სიტყვის ქართულ-ქრისტიანულის მნიშვნელობით; სპარსეთისაკენ პირის ბრუნება, როდესაც მის წინაშე ახალი პოლიტიკური გეზის შესაძლებლობა აღიმართა, მის ამ ქართულ-ბაგრატიონულ სულისკვეთებას აღემატებოდა. გიორგის პირით ლაპარაკობდა ქართველი ერის ის ტომური სისპეტაკე, რომელსაც, მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში, სპარსეთი მისის ისლამით, შეუდარებელის სუფისტურის პოეზიით და არამ-ხანულის წესწყობილებით საბოლოოდ მობეზრებული ჰყავდა. ძველი ქართველი პოლიტიკოსების თვალსაზრისს, ანუ სპარსეთთან დამოკიდებულების აუცილებლობას მაშინა ჰქონდა უპირატესობა, როდესაც ბიზანტიის დამხობის შემდეგ, საქართველო ორ დიდ მუსულმანურ სახელმწიფოს შორის მოემწყვდა და არჩევანი სპარსეთსა და ოსმალეთს შორის უნდა მოეხდინა. უპირატესობა მაშინ სპარსეთის მხარეზედ იყო. ამას ხელს უწყობდა სპარსეთის ძველი ცივილიზატორული მნიშვნელობა წინა აზიაში და საქართველოს ძველი პოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკური ომამოკიდებულება მასთან. მაგრამ რადგანაც საქართველოს მუ-
დმივი მისწრაფება ისევ ქრისტიანობასთან გადაბმა იყო და არა საბო-
ლოოდ და სამუდამოდ ისლამის ფარგალში შესვლა, სპარსეთთან და-
მოკიდებულობის ეს უპირატესობაც უნდა უცბად გამქრალიყო, როდე-
საც კავკასიის ქედთან ქრისტიანული რუსეთი აიტუზა.

გიორგიმ გადასწყვიტა ბაბა-ხანისათვის უარი შეეთვალა, და რა-
თა ამ უარს ვადაჭრილი ხასიათი ჰქონოდა, ბაბა-ხანის დესპანს ისეთი
აუდიენცია გაუმართა, როგორიც სპარსეთის ელჩებს საქართველოში
არასოდეს არ უნახავთ. ოთახი, რომელშიაც მეფემ სპარსი დიპლომატი
მიიღო, მორთული იყო იმპერატორი პავლე პირველის დიდი სურათით.
მეფე ამ სურათთან იდგა. სამეფო ტახტზედ ელაგა გვირგვინი და სხვა
რეგალიები და რაც უფრო დამახასიათებელი იყო ამ აუდიენციისათვის,
იქავე იდგა რუსეთის მინისტრი კოვალენსკი. ამ სცენას, ასე განსაკუთ-
რებულს დიპლომატიურ წარმომადგენელების მიღების ისტორიაში, შე-
უძლებელია, სპარსეთის ელჩზედ დიდი შთაბეჭდილება არ მოეხდინა და
მან მოითხოვა, ლაპარაკი პირისპირ ყოფილიყო და არა რუსეთის თანა-
დასწრებით. მეფემ უპასუხა, რომ, როგორც რუსეთის მფარველობაში
მყოფს, სპარსეთთან საიდუმლო არაფერი ჰქონდა. ელჩის სიტყვა, რო-
მელშიაც სპარსული დიპლომატიის მიხედვით, მჭერმეტყველების ბევრი
შადრევანი უნდა ყოფილიყო, ამის შემდეგ, დაშრა და მოკლედ მხოლოდ
იმაში ღა გამოიხატა, რომ სპარსეთის შაჰ საქართველოს თავის მამა-პა-
პეულ სამკვიდროთა სთვლიდა და მეფისაგან სრულ მორჩილებას ითხოვ-
და. ამ მკვახე სიტყვებმა რუსეთის ელჩის ლაპარაკში ჩარევა გამოიწვი-
ეს: — «მე მაოცებს თქვენი სიტყვა», სთქვა კოვალენსკიმ, «თითქოს სავ-
სებით გაეიწყდებათ ის მფარველობა, რომელსაც რუსეთის იმპერატო-
რი საქართველოს უწევს»...

ცბიერებისა და თვალთმაქცობის იმ გრძელს ისტორიაში, რო-
მელსაც, 1783 წლის აქეთ «რუსული პროტექტორატი» ერქვა, ეს სიტყვე-
ბი პატიოსნად პირველად იყო ნათქვამი. საქართველოში ამ დროს, მა-
რთლა, ორი რუსის პოლკი იდგა.

— მე მახსოვს ეგა, უპასუხა სპარსმა, — მაგრამ გულმოდგინება
მაიძულებს მეფეს რჩევა მივსცე, ვინაიდგან მოწინააღმდეგის ჯარი მის
სამფლობელოს უახლოვდება. —

სპარსეთის ჯარი ამ დროს ერევანის სახანოში იდგა და საქარ-
თველო დღე--დღეზედ მის შემოსევას ელოდა. ამ შემოსევის მოსურნე გან-
საკუთრებით ალექსანდრე ბატონიშვილი იყო, რომელიც ამ ჯარში იმ-
ყოფებოდა. სპარსეთის ჯარი საქართველოში არ შემოვიდა და თავრიზს
დაბრუნება ამჯობინა. მიუხედავად ამისა, საქართველოს შემოსევა მაინც
არ ასცდა. თავის ნაცვლად სპარსეთმა დაღესტნელი ომარ-ხანი შემოა-
სია საქართველოს. ლეკების შემოსევა მოგერებულ იქნა, მაგრამ ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ გამოიკვა: — ლეკების წინააღმდეგ ქართველებთან ერთად, რუსეთ-ჯარიც იბრძოდა, ქართველების წინააღმდეგ ლეკებთან ერთად. — ... სანდრე ბატონიშვილიც ერია, რომელსაც მომხრეები საქართველოშიაც ჰყავდა. ქართველების ამ ჯგუფს დარეჯან დედოფალი და იმისი შვილები უდგნენ სათავეში და ამკარა სპარსოფილურ ჯგუფს წარმოადგენდა. ამ გარემოებამ გიორგის თვალში ისეთი მნიშვნელობა მიიღო, თითქოს ძმები ეცილებოდნენ არა მარტო ორიენტაციის საკითხში, არამედ ტახტსაც. გიორგის რუსოფილური მიდრეკილება ამ ამბავმა კიდევ უფრო გაზარდა და მის შემეცნებაში რუსეთმა ის გადაჭრილი და გარკვეული დანიშნულება მიიღო, როცა რუსეთს მარტო საქართველო კი არ უნდა ესსნა სპარსეთისაგან, არამედ ტახტიც — დანარჩენ ბაგრატიონებისაგან.

ასეთ ყოფაში შინ შეცდომების ჩადენა, ხოლო რუსეთის წინაშე სრული სისუსტის გამოჩენა სულ ადვილი საქმე იყო. მაგრამ ამ შეცდომებმა და სისუსტემ მოულოდნელად კატასტროფული ხასიათი მიიღო, როდესაც გიორგი ისე მიიცვალა, რომ რუსეთის მფარველობაში შესვლის საქმე დაუმთავრებელი დარჩა.

გიორგის სიკდილის შემდეგ ოფიციალური პოლიტიკა მისი ძის და ტახტის მემკვიდრის, ბატონიშვილის დავითის ხელში გადავიდა.

II

ტახტის მემკვიდრე დავითი გიორგის პირველი ცოლის ქეთევან ანდრონიკაშვილის ხელში ნაყოლი შვილი იყო და ირაკლის სახლობაში ბატონიშვილის ახალ ტიპს წარმოადგენდა. თანამედროვეთა მოწმობით, ირაკლის შვილებში და შვილიშვილებში გონებით ყველაზედ მაღლა იდგა. იყო განათლებული და საგვარეულო ტრადიცია მწერლობის სიყვარულისა მასაც მოსდევდა. იჩენდა სამხედრო ნიჭსაც, რის გამოც თავის დიდ პაპას განსაკუთრებით უყვარდა. მისი სამწერლო შრომები მოწმობენ რა რიგის საკითხებით იყო შეპყრობილი მისი გონება და რა ჩინებული ხელმწიფე უნდა დამდგარიყო. გამეფების მოლოდინში, მან შეადგინა «სამართალი», რომლის წინასიტყვაობაში სწერდა: — «შეწევნითა ღვთისათა ჩვენ საქართველოს მემკვიდრე და რუსეთის სამხედროს ღენერალ-ლეიტენანტი და კავალერი მეფის ძე დავით წარმოვუდგენთ ერთა ჩვენთა გონებისა ჩემისა ჰსჯასა რომლისაცა კარგიერებაი შემოიტანს შეკავშირებასა ერთასა...» მაგრამ იყო რაღაცა ცუდი მასში, ასე საერთო მეთვრამეტე საუკუნის ბევრი ქართველისათვის.

მისი აღზრდა «მაღალ-შობილ» დავით რექტორს ებარა და მარტო აღმზრდელის ბრალი არ უნდა იყოს, რომ შეგირდი ვოლტერიანელი გამოვიდა. «ცუკია ფილასოფოსმა», როგორც ეძახდნენ რექტორს, ბევრი რამ იცოდა ამ ცუღლუტი ქვეყნისა, მაგრამ რამდენად იყო თითონაც ვოლტერიანი, არ ვიცით. უნდა ვიფიქროთ, რომ ვოლტერის აზრებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონიშვილი საბოლოოდ რუსეთში ეზიარა. მიუხედავად ამისა, ბატონიშვილის ხასიათის ბევრი ნაკლი აღმზრდელის სულმა უნდა ზღოს.

დავითი ოთარ ამილახვარის ასულ ელენეზედ იყო დანიშნული. ეს ნიშნობა სიყვარულისა არ იყო და მათი დაწინდვა, იმ დროინდელის ჩვეულების მიხედვით, ჯერ კიდევ ბავშვობაში მოხდა. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ, რუსეთში ხანგრძლივად ყოფნის დროს, ბატონიშვილს ტატიშჩევის ასული მოეწონა და მისი შერთვა მოინდომა; მეფეს ეს ამბავი არ ესიამოვნა. რაც არ უნდა იყოს, ნიშნობის სიტყვა ამილახვართან, მემკვიდრის მაგიერ მეფეს ჰქონდა მიცემული. ამის გარდა იყო ადრევეაც ერთი შემთხვევა, იმავე ამილახვარის სახლთან მომხდარი, როცა ირაკლი მეფემ თავის დას ელენეს — ამილახვარზედ გათხოვილს — ქმარზედ ხელი ააღებინა. ამ გარემოებამ მაშინ ბევრი უსიამოვნება დაბადა და გიორგის არა სურდა, რომ ასეთი რამე კვლავ გამეორებულიყო, მაგრამ ბატონიშვილი გადაჭრით უარზედ იდგა. მაშინ წინ პოლიტიკური მოსაზრება წამოსწიეს და რადგანაც მეფე გიორგი ყველაფერში რუსებზედ იყო მინდობილი, მემკვიდრეს რუსის ქალის მოყვანის ნება დართო. მიუხედავად ამისა, დავითი პეტერბურგიდან უცოლოდ დაბრუნდა და ერთსა-და-იმავე დროს მეფეც მოიმდურა, ამილახვარიც, ტატიშჩევებიც. ამილახვარის თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, დავითის დანიშნული, მის უნცროს ძმას, თეიმურაზ ბატონიშვილს შერთეს ხოლო ტახტის მემკვდრის ტატიშჩევის ასულზედ დაქორწინების საკითხი პეტერბურგში ელჩად მყოფ გარსევან ჭავჭავაძეს მიანდეს.

ამის შემდეგ დავითი ტფილისში დარჩა და ეტყობა არც ტატიშჩევის ქალის შერთვას აპირებდა. სცხოვრობდა გარეთუბანში, სადაც ახალს სასახლეს იშენებდა; იცავდა რუსულ მუნდირს, იპარსავდა ულვაშს, სწერდა არა უნიჭო ლექსებს, ეარშიყებოდა ბაყალ ავეტიკას ქალს და თავის ვოლტერიანობას აშკარად აღიარებდა. როგორი იყო ეს ქართული ვოლტერიანობა — შესწავლილი არ არის. მაგრამ დავითი პირველი ვოლტერიანელი არ იყო საქართველოში და მაზედ ადრე ამისი სხვებიც იყვნენ ცნობილნი, თელავის სემინარიაში გაზრდილნი და, თითქოს განვებ, ესენიც დავით რექტორის შეგირდნი.

ადვილი წარმოსადგენია, რა ყოფაში უნდა ჩაეგდო მამა შვილის ასეთ საქციელს. გიორგის უყვარდა დავითი, სთვლიდა გონიერ ადამიანად და მომავალ მეფედ, მისი საქციელი კი ასე არ შეეფერებოდა ტახტის მემკვიდრის დანიშნულებას. ერთხელ ველარ მოითმინა, შვილს სახლში მიეჭრა და კედელზედ ჩამოკიდებული ვოლტერის სურათი ბუხარში შეუგდო. მეფემ შვილს პატრი ნიკოლა მიუგზავნა, რომ დავითს ურჯულოებაზედ ხელი აეღო. გულმოსულმა დავითმა ელიაზარ ფალავანდიშვილის პირით შეუთვალა: — რაც შენა გწამს, ის მე გამიწყრეს; რაც მე მწამს — ის შენო! და ამის შემდეგ, მამა-შვილს შორის უნქრახობა

ჩამოვარდა; მემკვიდრე ავადმყოფ მეფეს აღარ ნახულობდა და, მეს, აღსა-სრულში დარწმუნებული, სამეფოდ ემზადებოდა. მაგრამ რაკი ამის შემდეგ მან ჩაიდინა, ამან მთელი საქართველო განაცვიფრა და მისი აღმზრდელი დავით რექტორიც კი ძრწოლაში ჩააგდო. ამდენ მეფეთა ჩამომავალმა, და ხვალის მეფემ ცოლად ტფილისელი სომხის ვაჭრის სიმონ აღა მელიქის ქალი შეირთო, რომელიც ქართულსაც კი მოქცეულის კილოთი ლაპარაკობდა. ბაგრატიონთა სახლის სირცხვილის დასაფარავად, შეძრწუნებულმა მეფემ თავის მძახალს თავადობა მიუბოძა, მისი ასული და თავისი რძალი ხამფერკანი კი მართლმადიდებელთა წესით ელენედ მონათლა და ნათლიადაც თითონ იყო.

იყო ესეც ვოლტერიანობის ბრალი? ღმერთმა უწყის!.. ამბობენ, ვითომც ტახტის მემკვიდრე ქართველ--სომეხთა გაერთიანებაზედ ოცნებობდაო. მაგრამ რა მოსაზრებაც არ უნდა სდებოდა სარჩულად ამ ქორწინებას, არჩევანი შეუსაბამო იყო და ამაში თითონ დავითიც მალე დარწმუნდა. წელიწადიც არ გასულა, რომ ტახტის მემკვიდრე უკვე ცოლთან გაყრაზედ ფიქრობდა. მაგრამ გამოირკვა, რომ გაყრის საკითხი სხვა მეორე და უფრო დიდ საკითხთან იყო დაკავშირებული. ამ შეუსაბამო ქორწინების განმავლობაში, საქართველოში ისეთი არეული ვითარება შეიქმნა, როცა ამ განქორწინების აუცილებელ პირობად ან დავითის საქართველოს ტახტზე ასვლა იყო საჭირო, ან სულ უმცირესი, — რომ ქართული დივასტერიის ადგილი რუსულ სინოდს არ დაეჭირა. დავით ბატონიშვილი, რომელსაც ტახტზე ასვლის სხვა უფრო დიდი საბაბი ჰქონდა, ვიდრე სიმონ აღას ასულთან გაყრა, განქორწინებას შემდეგშიაც ვერ ეღირსა და გიორგის სიკვდილმა ასეთს ყოფაში მოუსწრო.

დავითი ამ დროს ოცდაათის წლისა იყო. ბედმა ინება და დავითი საქართველოს მეფედ ვერ გახდა, მაგრამ ქკეითა ვნახავთ, რომ ამისი ბრალი თითონ დავითსაც მიუძღოდა.

ყოველ ქამსა და მეტადრე სუსტობის ხანაში, ბაგრატიონები გარკვეულ პოლიტიკურ ტრადიციებს მისდევდნენ. ეს ტრადიციები ისტორიულად წარმოშობილი და საქმითაც ნაცადი იყვნენ. ტახტზედ ასვლის აქტს ამათში მთავარი ადგილი ეჭირა. ჯერ ტახტზედ ასვლა და მეფედ თვით-დადგინება და მერმე ინვესტიტურის გამოთხოვა, თუ საქართველო რომელიმე გარეშე ძალას ექვემდებარებოდა, — აი რა იყო ბაგრატიონთა დინასტიური პოლიტიკის ნიშანდობლივი თვისება. ამ თვით--დადგინების აქტით, ბაგრატიონები ყველას აშკარად ეუბნებოდნენ, რომ ბაგრატიონთა უფლება საქართველოს ტახტისა, შეუჩერებელი და უცვალებელი უფლება იყო, კანონიერი შიგნით — საქართველოში და სავალდებულო იმ გარეშე ძალისათვისაც, რომელთანაც საქართველო რაიმე ქვემდებარეობაში იყო.

ინვესტიტურა, რომელსაც დავითმა დაუწყო ლოდინი და მანამდე თავი მეფედ არ გამოაცხადა, პირველად არ მოდიოდა გარედან. ეს გრძელი ისტორია ჰქონდა. მას გზავნიდა ბიზანტია, ესა გზავნიდა სპარსეთი, დღეს რუსეთიდგან უნდა მოსულიყო. ამ ინვესტიტურის მიღებაში ბაგრატიონები ფრიად დახელოვნებული იყვნენ. ეს საკითხი გიორგი მეთორმეტემ ბრწყინვალედ ჩაატარა, როდესაც ჯერ თავი მეფედ გამოაცხადა, მერმე ისე შეუდგა რუსეთთან ინვესტიტურაზედ ლაპარაკს. დავითმა სწორედ ამ ბაგრატიონულ ტრადიციას უღალატა. ჩვეულებრივის სკეპტიციზმით დავითმა იანგარიშა, რომ რუსებისათვის მისი ტახტზე აყვანა უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე ტახტიდგან ჩამოგდება და დინასტიის ბედიც ამ მცდარმა ანგარიშმა გადასწყვიტა.

თუ კი საქართველოს უბრალო ეჭვი მაინც ჰქონდა, რომ ქართველების ნდობას, რუსები, ერთ მშვენიერ დღეს, მზაკრულად გამოიყენებდნენ, ყველაზედ ადრე იმაზედ უნდა ეფიქრათ, რომ რუსეთი ამას სწორედ მაშინ ჩაიდენდა, თუ რაიმე მცდარის ნაბიჯით, საქართველოს ტახტი, თუნდა მცირე ხნითაც, თავისით დარჩებოდა უმეფოდ. ერთის მხრით გიორგის სიკვდილმა და მეორეს მხრით იმან, რომ დავითმა დაუყოვნებლივ თავი მეფედ არ გამოაცხადა, სწორედ ეს გარემოება შეჰქმნა. როდესაც რუსეთმა დაინახა, რომ დავითმა თავისით დასტოვა ტახტი ცარიელი, მას მხოლოდ მცირე ღონისძიება-ღა დასჭირდა, რომ თავისი განზრახვა სისრულეში მოეყვანა. ისტორიაში იშვიათია ისეთი მაგალითი, რომ კეთილ საბაბს და «მოწყალე ხელს» ასე უსინდისოდ ჩამოეთრიოს დინასტია ტახტიდგან, როგორც რუსეთმა საქართველოში ჩაიდინა.

მაგრამ დავითის შეცდომას რომ აზრი ავართვათ, საჭიროა თვალი იმ პირებსაც გადაეღლოს, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ ამ ამბებში თავისი წვლილიც შეეტანათ.

III

ამბობენ, რომ ყველაზედ ჭკვიანი ქართველი იმ დროს, სოლომონ ლეონიძე იყო. მაგრამ ჯერი იქნება ვიკითხოთ: — ვის შემდეგ? — ვინაიდან თავი და თავი ჭკვიანი ქართველი ამ ამბებში მაინც არა სჩანს.

საქართველოს ამ საბედისწერო ჟამს არც ჭკუა ეყო ვისმეს, არც მოხერხება, ბატონიშვილი მცხეთაში აეყვანათ და იქ მეფედ გამოეცხადებინათ. ბოლოს და ბოლოს, გამბედავი ხალხი იულონ ბატონიშვილის და სხვა პრეტენდენტების ბანაკში უფრო მეტი იყო, რომლებიც აგრეთვე დაქსაქსულად მოქმედებდნენ, ვიდრე ქართველ ლეგიტიმისტების წრეში. საქმეზედ ფიქრობდა და საქმეს აკეთებდა ისეთი ხალხი, რომელსაც ფართო შეხედულება აკლდა, რომ გამოსავალი საჭიროების-და მიხედვით მოეხაზა. ტრადიცია და ხსოვნა იმისა, თუ როგორ იქმნებოდა საქართველო, ან როგორ გამოდიოდა ისტორიული გასაჭირიდან, აღარავის

ჰქონდა. პირი არ უჩნდა იმ «ერთს», რომელიც საქმეს ყველას მაგივრად მოისაზრებდა და იყვნენ მხოლოდ «მრავალნი», რომლებიც ისევ ბაგრატიონებს შესცქეროდნენ პირში. საუკეთესო ქართველებად ესენი ითვლებოდნენ. მაგრამ სწორედ ამ საუკეთესოებს აკლდათ იმისი შეგნება, რომ გასაჭირში თითონ ეს ბაგრატიონები იყვნენ და საჭირო ვიდაცა სხვა იყო, რომელიც საქმეს ბაგრატიონების მაგივრად და ბაგრატიონების გულისათვის გააკეთებდა. ასე მოიქცა ოდესღაც იოანე მარუშიძე, როდესაც ბაგრატ მესამე ტახტზედ დასვა. მაგრამ ასეთი არ იყო სოლომონ ლეონიძე.

მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს ყოფა-ცხოვრებისათვის, მისი გამოზომილი მაჯის ცემისა და ერთხელ და სამუდამოდ ფეოდალურ ჩამომავლობაზედ დამყარებულ წესებისათვის — ლეონიძის კარიერა იშვიათსა და თვალსაჩინო შემთხვევას წარმოადგენს. ლეონიძე რომ უფერული პიროვნება არ იყო, იქიდგანაცა სჩანს, რომ დიმიტრი ორბელიანის ახალგაზდა მეჯინიბე მეფე ირაკლის მდივან-ბეგი გახდა. მისი სხენება მრავალის სახელწოდებით არის შემკული და ხან «კანცლერს» უწოდებენ, ხან «მსაჯულს», ხან «ქველს». ამ სახელებს ლეონიძე სიცოცხლეშიაც ატარებდა და მოგონილი აქ არაფერია, მაგრამ ამ სახელებს რომ ზერელე პრანჭიობაც ახლავს, რაც იმ ნოვატორული სულის დამახასიათებებელია, რომლითაც გაჟღენთილი იყო ირაკლის უკანასკნელი ხანა, არც ამისი ეჭვი უნდა გვქონდეს.

თქმაც არ უნდა, რომ ლეონიძე საქართველოს პატრიოტი იყო. მაგრამ ის არ იყო «ქართველთა ფაბრიციუსი», როგორც უწოდებს პლატონ იოსელიანი. ლეონიძის ყველაზედ დიდი ნაკლი იქნება ის იყო, რომ ხმლის კაცი არა ყოფილა, რასაც მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სახელი და კარიერა მან ირაკლის დივან-ხანაში გაიკეთა. ირაკლის სამეფოს ამ უმაღლესმა სახელმწიფო დაწესებულებამ ორმოც წელიწადზედ მეტი იარსება და ქართველი ხელისუფალის საკმაოდ გარკვეული სახე შეჰქმნა. იქ იჯდა ნაირი ხალხი და ისეთიც, რომელსაც შემდეგში დავით ბატონიშვილი «დურაკებსა» და «პლუტებს» უძახდა. დავით ბატონიშვილის ეს «ახალი» სიტყვები დივანხანის ძველ ქართულ შინაარს ითტის ოდენადაც ვერა სცვლიან და ახალი მასში მხოლოდ ის უშველებელი საათი იყო, რომელზედაც, ტფილისის აღების დროს, აღა-მაჰმად-ხანს თვალი ზედ დარჩა, ბეჯითად დადიოდა, მაგრამ ახალი დრო ზანტად მოჰქონდა. რაღა თქმა უნდა, რომ მისი მაღალი კარი მხოლოდ ჩამომავლობიანი დიდკაცობისათვის იყო ღია. ლეონიძე იქ «ჭკუის-და-მიხედვით» შეიყვანეს, მაგრამ სწორედ ამან შეჰქმნა ლეონიძისათვის ის არა ხელსაყრელი გარემოება, რომ იმ დროს, როცა ამ ჭკუას სხვები ჩამომავლობით. ტრადიციით და სხვა ამგვარი არა ტვინისმიერი თვისებებით ჩემულობდნენ, ეს თვისებები ლეონიძეს ჭკუით უნდა დაემტკიცებინა.

ეს იყო არა თუ ძნელი, შეუძლო საქმე. უკეთეს შემთხვევაში, შედეგად ამას მხოლოდ ის მოჰყვა, რომ დივანხანაში, სადაც პირველი ადგილი მაინც ლაპარაკს ჰქონდა დათმობილი, ლეონიძე ჩინებული რიტორი გახდა, მაგრამ დიდებულად ვერ იქცა, თუმცა ირაკლიმ თავადობაც მიუბოძა.

ლეონიძეს რომ საქართველოს სრული გარდაქმნა სურდა, ამისი ლეგენდები დღესაც სცოცხლობენ. მაგრამ ლეონიძეს ჰქონდა ათასი გეგმა და არც ერთი საქმე. იყო ნიჭიერი, ეჭვს გარეშე, მაგრამ ჭკვიანი ზომაზე, პათოსიანი უქმეში, როცა სიტყვა იყო საჭირო, და საპყარი საქმეში, როცა გარჯა უნდოდა. მხურვალე ბუნებამ და მოუსვენარმა პლებსურმა სულმა ბევრს ფათერაკს გადაჰკიდა. იმისი შესანიშნავი «გლოვა», ირაკლის ცხედარზედ წარმოთქმული, მეფე — კანცლერის ისეთ განწყობილებას გვიხატავს, თითქოს ირაკლის მისთვის სული და გული არა შურდა. მაგრამ ეს მართალი არ არის და იყო დრო, როდესაც ირაკლის მისი დასჯა უნდოდა, რადგანაც კანცლერი მის წინააღმდეგ შეთქმულებაში გაება. თვით ეს «გლოვაც» იმდენად ირაკლის სადიდებლად არ ყოფილა წარმოთქმული, რაოდენადაც გიორგის გასაწბილებლად. გიორგი მიუხვდა, მაგრამ, ჩვეულებრივის ტაქტით, სიტყვა მაინც უქო. მაწბილებლი სასაცილო ყოფაში ჩავარდა. ლეონიძეს ლექსი გამოუთქვეს, რომელიც პირიდგან პირში გადადიოდა:

ვინც შევაქე იგი მტრულად მომექცა,
ვინც გავიცხე — ის მეგობრად მომექცა!

დავით ბატონიშვილს ლეონიძეც ურჩევდა, რომ რუსული ინვესტიტურისათვის არ ეცადა და დაუყონებლივ თავი მეფედ გამოეცხადებინა. ასეთი თვალსაზრისი ისეთის პირისა, როგორიც ლეონიძე იყო, ბუნებრივია. ლეონიძე ბევრს რამეში ბაძავდა რუსებს და კანცლერის ტიტულსაც უფრო მათის წაბაძვით ატარებდა, ვიდრე სხვა რაიმე ქართულის მოსაზრებით, მაგრამ რუსები მაინც არ უყვარდა. მას აწერდნენ იმ ნწარე ეპიგრამას, რომელიც იმ ხანებში რუსების შესახებ საქართველოში იყო გავრცელებული. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ სხვაზედ უფრო ადრე სწორედ ლეონიძეს ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ქართველების თამაში რუსეთთან, ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლებელია ცუდათ დამთავრებულიყო. ძველის ქართულის გზით სვლა და დავითის დაუყონებლივ მეფედ გამოცხადება, ამისი გარანტია უნდა ყოფილიყო. მაგრამ ლეონიძის ეს რჩევები მარტოდენ გრძელსა და პათეტურის სიტყვებისაგან შესდგებოდა. დავითის უმოქმედობა რიტორ ლეონიძეში სიანჩხლეს უფრო იწვევდა, ვიდრე თაოსნობის გრძნობას და სიტყვების კორიანტელში, თვით ლეონიძემაც ველარ შეამჩნია, როგორ იქცა დავითის მოსარჩლის მაგიერ, მის აშკარა მაძაგებლად. ბატონიშვილმა, რომელსაც ლეონიძესთან კარგი განწყობილება არასოდეს არა ჰქონია, ლაპარაკით

გაბრუებული რიტორი საპატიმროში გაგზავნა. ტახტის მემკვიდრის ამ საქციელის გამართლება შეუძლებელია და იგი ფსიქოლოგიურად თუ აიხსნება. შეურაცყოფილი ლეონიძე საპატიმროშიაც არა სცხრებოდა და იძახდა: — «დაიითმა დაღუპა მეფობა, დაამდაბლა თავი თვისი და ერი თვისი»-ო. დავითი დაიყოლიეს, რომ ლეონიძის დაპატიმრება ასეთ პირობებში შეუსაბამოება იყო და რიტორი საპატიმროდგან გამოუშვეს. მაგრამ ბრძოლისათვის ლეონიძე ამიერიდგან უკვე მკვდარი იყო.

ლეონიძის სისუსტე გამოიხატა არა მარტო იმ ამბავში, რომ ბატონიშვილი ვერ დაიყოლია, არამედ იმაშიაც, რომ მან ვერ შემოიკრიბა ვერავინ, მიუხედავად იმისა, რომ ხალხში სახელი ჰქონდა. ხალხი, რომელსაც «რუსობა» არ უნდოდა, რომელიც ყველას დაძახებაზედ გამოდიოდა და რომლის შესახებ თითონ რუსები მოახსენებდნენ თავის მთავრობას: — «საკმაოა ბაგრატიონი სადმე გამოჩნდეს, რომ ხალხი რუსეთის წინააღმდეგ აჯანყდეს»-ო, — უმეთაუროდ დარჩა. ლეონიძეს მართლა შეეძლო ქართული საქმის გაკეთება, ის რომ ხალხში გახიზნულიყო, ბაგრატიონების სახელით ქართველი ერი თავის გარშემო შეეკრება და დავით ბატონიშვილი ძალით აეყვანა სამეფო ტახტზედ. ძველი ქართველები ამას ხმლის საშუალებით აღწევდნენ. მაგრამ დივანხანის პალატაში გამოზრდილ ლეონიძეს, როგორც ითქვა, სწორედ ეს აკლდა.

## IV

მეორე მაგალითს იმისას, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგოს, რომ ბოლომდე დაცული ქართული თვალსაზრისი იმ ხანებში არავის ჰქონდა, სწორედ ხმლის კაცის საქციელი წარმოადგენს. ტახტის მემკვიდრეს სარდალი იოანე ორბელიანიც ურჩევდა, რომ თავი დაუყონებლივ მეფედ გამოეცხადებინა. ის იყო ასპინძის გმირის დავით სარდალის შვილი და ტახტის მემკვიდრის დისწული. ორბელიანი იმასაც უმტკიცებდა ბატონიშვილს, რომ თუ რუსები ამის წინააღმდეგი გახდებოდნენ, მათი საქართველოდან გარეკა ადვილი იყო. ეს დასაჯერებელია, რადგანაც ამას ამბობდა კაცი, რომელმაც თავისი საქმე კარგად იცოდა. მაგრამ ქართული აზრის უცნაური აბერაციის გამო, ტახტის მემკვიდრემ ეს ამბავი რუსის ჯარის გენერალს გადასცა. რუსებმა ორბელიანი მოიხმეს და საქმე ჰკითხეს.

— «მე მოვიქეცი როგორც ტახტის მემკვიდრის ერდგული, ხოლო თუ ესე მისთვის სათნო არ არის, ამიერიდგან მე მხოლოდ რუსეთის იმპერატორის ერდგული ვარ და ამას ვეღარავინ გადამათქმევინებსო», უთხრა სარდალმა. —

რუსებმა ორბელიანს ხელი არ ახლეს. ეს პასუხი დიპლომატობის ნიმუშად ჩაითვლებოდა, ორბელიანს რომ ამის შემდეგ რუსები მართლა გაერეკა, ტახტის მემკვიდრე მცხეთაში მეფედ გამოეცხადებინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საქართველოს მეფისათვის ინვესტიტურა ქართველი ერის სახელით მიეცა. მაგრამ სარდალი პატიოსანი გამოდგა და რუსებს სიტყვა არ გა-უტეხა. ამ დღიდგან იგი იმ «ორმოცი კაცის» დასში ჩაეწერა, რომელიც კონსტანტინე მუხრან ბატონის გარშემო იკრებდა თავს და საჯაროდ ამ-ბობდა: — არ გვინდა დავითი მეფედ, აღარ გვინდა მეფობა, საქართვე-ლო რუსეთმა წაიღოსო. —

ამრიგად, ორბელიანი რუსეთის საყვედურს გადურჩა. მაგრამ უსიამოვნობა სხვა მხრიდგან შეხვდა. რუსებმა ორბელიანი თავისი ქარ-თული ჯარით სპარსეთის წინააღმდეგ გაგზავნეს. ქართველებს ბედმა არ გაუღიმა და ერთიანად სპარსელებს ტყვედ ჩაუვარდნენ. ბაბახანმა რომ გაიგო, რომ ტყვეთა შორის საქართველოს სარდალიც იმყოფებოდა, ორ-ბელიანის ნახვა პირადათ ისურვა. ორბელიანი შაჰთან რუსულის ორ-დენით შეკიდა. ბაბახანმა მრისხანება ეღარ შეიკავა, სარდალს მკერდი-დგან რუსული ორდენი ააგლიჯა და უთხრა: —

«ამისათვის გაჰყიდე შენი მეფე და ქვეყანა»-ო!.

შაჰს ორბელიანი მძიმე ხუნდებ-გაყრილი დიდ ხანს ბნელაში ყა-ვდა გამომწყვდეული და რუსებს ბევრი ღონისძიება დასჭირდათ, რომ ტყვეობიდან ეხსნათ.

თუ ორბელიანის მაგალითი კერძო პირის საქციელზე გვითითებს, ამ ხანის ისტორია სავსეა ამბებით, რომლებიც ფართო წრეების გზაბ-ნეულობასაც სავსებით გვიხატავენ. შესდგა ახალი დასი, რომელსაც დუცალ ბარათაშვილი და სხვანი მეთაურობდნენ და ხალხში მოწოდე-ბას ავრცელებდნენ: — არ გვინდა რუსობა, აღარც ბაგრატიონები, სა-ქართველო რესპუბლიკად უნდა მოეწყოსო!

თქმა იმისი, რომ ამ დასს ბევრი მიმდევარი ჰყავდა, ან ქართველ ხალხს მართლა რესპუბლიკა სურდა, ნამდვილს ვითარებას არანაირად არ შეესაბამება. სამაგიეროდ, ასეთი აზრის ქადაგება მჭერმეტყველურად ახასიათებს თვით ამ დასის მეთაურებს, რომელთაც შეგნებული არა ქო-ნდათ, თუ რაგვარი ხასიათის ამბები ხდებოდნენ საქართველოში. მათ არ ესმოდათ ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ქართველი ერის წინაშე იმ წუთში სწორედ ბაგრატიონების საკითხი იდგა. საქართველო შეინა-რჩუნებდა დამოუკიდებლობის ნასახს, თუ შეინარჩუნებდა ბაგრატიონებ-საც, თუ არა — იძირებოდა. შეირყა დინასტია, რომელიც თერთმეტი საუკუნის განმავლობაში, მაშინაც, როდესაც ბაგრატიონები საქართვე-ლოს სრული სუვერენები იყვნენ, და მაშინაც, როდესაც ეს სუვერენობ-ბა გარედგან იყო შეზღუდული, ქართველი ერის დამოუკიდებლობის სიმბოლონი იყვნენ. არასოდეს საქართველოს ბედი ბაგრატიონთა პორ-ფირში ისე არა ყოფილა გახვეული, როგორც ეხლა და ვინც ამ პორ-ფირს გადაგდებას უპირებდა, ის საქართველოს დამოუკიდებლობასაც თან აყოლებდა. აი, ეს არ ესმოდათ მაშინდელ რესპუბლიკელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ქართველ რესპუბლიკელების ქადაგებაში, დავით ბატონიშვილისათვის სხვა რამეც იყო საწყენი. ეს დასი შესდგებოდა იმ ახალი ფორმაციის ქართველებისაგან, რომელთაც ცოტა რამ საფრანგეთის რევოლუციაზედ ჰქონდათ გაგებული, ცოტა რამ ვოლტერზედ და განათლებითა და ჩამომავლობით ბატონიშვილის ახლო წრე უნდა ყოფილიყო. დავით ბატონიშვილის მცინავი ბედის ნიშნისგება ამაშიც გამოჩდა. გამოდიოდა არა ისე, როგორც შვილი უთვლიდა ერთხელ მამას: — რაც შენ გწამს, ის მე გამიწყრეს; რაც მე მე მწამს, ის შენო! — მას უწყრებოდა საკუთარი საწამებელიც... ვოლტერი, ვის გამო თავის მამას ასე აჯავრებდა, ეს ვოლტერიც მისი წინააღმდეგი იყო.

მაშინდელი ქართული აზრის უმტკიცობას მარტო ეს მაგალითები ვერ ათავებენ და სურათის დასამთავრებლად ისიც უნდა ითქვას, რომ აზრის სიმტკიცე და მოქმედების მთლიანობა არ არსებობდა თვით ბაგრატიონთა შორისაც. იულონმა ქართლში გამოაცხადა თავი მეფედ, ვახტანგმა არაგვი დაიჭირა, ფარნაოზმა სურამი და მირიანმა მარტყოფი. გარეგნულად ეს ბატონიშვილები ერთი ბანაკის ხალხად ითვლებოდა, ჰქონდათ კავშირი სპარსეთთან, მაგრამ ფარნაოზიც ისე უწოდებდა თავის თავს მეფეს, როგორც იულონი, ხოლო თავისთვის სურდა საქართველოს ტახტი, სპარსეთის ჯარებში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილს, თუ თავისი უმფროსი ძმის იულონისათვის — ესეც გამოუცნობია.

საქართველო ისე კეთილსინდისიერად იქნა ჩამორიგებული პრეტენდენტებსა, რუსოფილებსა, სპარსოფილებსა, რესპუბლიკელებსა და სხვა დასებს შორის, რომ მისი ტახტის კანონიერ მემკვიდრეს პარტიაც აღარ ერგო. გამარლდნენ ბაგრატიონთა გერბზედ ამოჭრილი სიტყვები: — «და განიყოფდეს სამოსელსა მისსა, და განიგდებდენ მას ზედა წილსა»

ამიტომ დავითის ხშირად შეუწყნარებელი საქციელი იმდენად უგუნურებისა და შეუსმენლობის ბრალი არ იყო, რაოდენად იმ მწარე რწმენის დასკვნა, რომ დაყრდნობა ამნაირად დაქსაქსულ შინაურ ძალებზედ ძნელი-ღა იყო. ერთად ერთი ძალა, რომელიც ასე საფუძვლინად იყო საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარეული და რომელსაც მოქმედება შეეძლო, რუსეთი იყო. დავითს ან ისევ ეს რუსეთი გახდიდა მეფედ, რაიცა მას ვალდებულებისა-და- მიხედვით უნდა ჩაედინა (1783 წ. ტრაქტატი და სხვა ხელშეკრულებანი), ან ლეონიძე და ორბელიანი დავითს მეფედ ვერ გახდიდნენ.

V

ასეთი იყო ვითარება, როდესაც პეტერბურგიდგან ელჩები: ფალავანდიშვილი და ავალიშვილი ჩამოვიდნენ და თან პავლე პირველის მიერ ხელმოწერილი აქტები ჩამოიტანეს. ამ აქტების მიხედვით, საქართველო რუსეთის «ქვეშევრდომი» ხდებოდა, ხოლო მის მმართველად

ქართული ბიბლიოთეკა

გიორგი მეფე და მისი ჩამომავლობა ცხადდებოდა. გიორგი მეფე ცოცხალი აღარ იყო და დაბრკოლება იმ გარემოებას შეეძლო შეექმნა, რომ არც დავითი იყო გამოცხადებული მეფედ. მიუხედავად ამისა, ფალავანდიშვილმა და ავალიშვილმა ხელშეკრულების აქტები ზეიმით დავით ბატონიშვილს ჩააბარეს, გიორგი ავალიშვილმა კი რუსეთის წარმომადგენლებს, კოვალენსკის და გენერალ ლაზარევს; ისიც განუმარტა, რომ ხელშეკრულებიდგან გამომდინარე აზრის მიხედვით, მეფე გიორგის სიკვდილის შემდეგ, საქართველოს გამგედ ბატონიშვილი დავითი უნდა ყოფილიყო.

დავითმა ეხლა კი მხნედ მოჰკიდა ხელი საქმეს. მან გამოსცა მანიფესტი, სადაც ამბობდა, რომ «მიიღო უმაღლესი ბრძანება დღესასწაულობით მიუახლოვდეს საქართველოს ტახტს, მემკვიდრეობით მმართველის სახელწოდებით». მაგრამ საქართველო--რუსეთის ხელშეკრულების ამ ახალ «ვარიატს», ძველთან შედარებით, ერთი არსებითი განსხვავება ჰქონდა. ამ «მმართველს» ხელისუფლების მონაწილედ საქართველოში დაბანაკებული რუსის ჯარის უმფროსი უნდა ჰყოლოდა. თუ მოვიგონებთ, რომ მეფის გიორგის დროს რუსეთს მხოლოდ რეზიდენტი ჰყავდა საქართველოში და არა მეფის უფლების მონაწილე რუსის გენერალი, ცხადი გახდება, რა ცილილება განიცადა ქართველ--რუსთა დიპლომატიურმა მოლაპარაკებამ და როგორ დაკნინდა ამ მოლაპარაკების მსვლელობაში საქართველოს მეფის უფლება. პავლე პირველის მანიფესტი საქართველოს მმართველ ბაგრატიონს თითქმის მარტოდენ გენერალ გუბერნატორის უფლებას უტოვებდა, მაგრამ მეფის ტიტულით. ასეთი შეთავსება მეფის ტიტულისა და გენერალ გუბერნატორის თანამდებობისა, ანუ, უკეთ რომ ითქვას, ასეთი განგვირგვინება მეფისა —გენერალ გუბერნატორის სადღეგრძელოდ, უცნაურად აღარ გვეჩვენება, თუ მოვიგონებთ, რა ხალისით შეუდგა პავლე პირველი მფარველობით ზრუნვას, თითონ მიეღო საქართველოს მეფის ტიტული. მზადდებოდა დიდი ცერემონიალი, რომლის დროს, თავის გაოცებულ ქვეშევრდომებს, იმ პერატორი, ბაგრატიონთა ძველ სამეფო შესამოსელში უნდა სჩვენებოდა, რომელიც ამ უკანასკნელებს ბიზანტიის კეისართაგან ჰქონდა გადმოღებული. საქართველოს მეფეთა ზურგიდგან ამ «ტყავის» გაძრობას, ამ რიგად, ეგრეწოდებულ «მესამე რომის» პრობლემასთან ქონდა კავშირი. ამიტომ მმართველის უფლებისა, გენერალ გუბერნატორის თანამდებობისა და მეფის ტიტულის ეს უცნაური არევა, არსებითად, ის ნაჩქარევად გამოჭრილი და, რა თქმა უნდა, ტანზედაც მოურგები სამოსი იყო, რომელსაც რომანოვები ბაგრატიონებს სანაცვლოდ აძლევდნენ.

ესმოდათ თუ არა საქართველოში ამ გახდაჩაცმის ნამდვილი შინაარსი, მნიშვნელოვანი არ არის. პირიქით, ისტორიული სტილი ამ ქართულ-რუსული დაახლოვებისა სწორედ ის იყო, რომ ხელშეკრულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგებლიანობა საქართველოსაც ისე თავისებურად ესმოდა, როგორც რუსეთს. წმინდა ქართულ ვითარებათა გამო, მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმას, რომ დავითმა ინვესტიტურა მიიღო და მმართველად გახდომის უფლება მოიპოვა. სპარსეთის შესაჩერებლად და შინ პრეტენდენტებისა და ურჩთა ასალაგმავად, ამ თავად, ესეც საკმაო იყო, ხოლო რას ნიშნავდა მმართველის უფლება, გენერალ გუბერნატორის თანამდებობა და მეფის ტიტული — ამაზედ ლაპარაკი მერეც შეიძლებოდა. ასე იდგა ხოლმე ეს საკითხი, თუ მუდამ არა, ხშირად მაინც, როცა ეს ინვესტიტურა სპარსეთიდგან მოდიოდა და სხვა და სხვა სპარსული ტიტულის მატარებელი ბაგრატიონები საქართველოს მეფობას მაინც ახერხებდნენ.

დავითს შეეძლო ეფიქრა, რომ მისმა შეხედულებამ გაიმარჯვა და რუსეთმა სიტყვა შეასრულა. ამიტომ ელჩები ისევ უკან პეტერბურგში გააბრუნა. ეს ამბავი ერთხელ კიდევ გვიდასტურებს იმას, თუ რამდენს დადიოდნენ ქართველები რუსეთში და რა ცოტას აკეთებდნენ საქართველოში.

მაგრამ მოხდა ერთი გარემოება, რამაც საქმე სულ სხვანაირად შეატრიალა. როგორც ამბობს ზურაბ ავალიშვილი თავის ცნობილ წიგნში, ვიდრე გიორგის ელჩები ტფილისში ჩამოვიდოდნენ მიიცვალა გიორგი მეფე, ხოლო ვიდრე დავითის ელჩები პეტერბურგში ჩავიდოდნენ — მიიცვალა იმპერატორი პავლე. ესე იგი მიიცვალა მეფე გიორგი, თორემ იმპერატორი პავლე მოჰკლეს და ყველა მისმა პროექტმა ჩაილულის წყალი დალია. ახალმა იმპერატორმა და ახალმა პირებმა, რომლებიც რუსეთს სათავეში ჩაუდგნენ, საქმეს სხვანაირად შეხედეს და დავითის შეკვეცილი უფლებაც გააუქმეს, რომელსაც პავლე სცნობდა.

საქართველო უნდა დაღუპულიყო, რადგანაც ამიერიდგან მისი ბედი ისეთი ჰიპოკრიტის ხელში ჩავარდა, როგორიც ალექსანდრე «კურთხეული» იყო. ალექსანდრემ სულ უარი სთქვა საქართველოს საქმეებში ჩარეულიყო. მან განაცხადა, რომ საქართველოს შეერთებას გული «არ უთქვამდა». რას არ უთქვამდა გული ახალ იმპერატორს, უძველეს საქრისტიანო სამეფოს მოსპობას, თუ უძველეს დინასტიის გაუქმებას, გამოცნობა სახარბიელო აღარ არის, რადგანაც, ბოლოს და ბოლოს, ორივე დიდის ეშხით ჩაიდინა, როდესაც გულის მელანქოლიამ გაუარა და მახლობლებს თავი დააჯერებინა, რომ ქართველი ერის ბედნიერება სწორედ ამას მოითხოვდა. მაგრამ იმ დროინდელი საქართველოსათვის რუსეთის იმპერატორის ამ უარს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ნიშნავდა დანიშნულზედ ეკლესიაში ხელის აღებას. იმ ურთიერთობის შემდეგ, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის არსებობდა და რის გამოც საქართველომ ასე აშკარად შეაქცია თავის მეზობლებს ზურგი, რუსეთის ეს უარი ნიშნავდა არა მარტო ქართველების იმედის გაცრუებას, არამედ საქართველოს სამეფოს საერთაშორისო გაბიაბრუებას, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის შარა გზაზედ დატოვებას, რის შემდეგაც სპარსეთსაცა და ოსმალეთსაც სრული უფლება ჰქონდათ ისე მოქცეოდნენ, როგორც მოეპრანებოდათ. ალექსანდრეს ეს უარი და პრანჭიობა სწორედ იყო ნაანგარიშევი. ასეთის ქამანდით დაშინებული და დაჩოქებული საქართველოს აყვანა, თანაც გარეშე ყოველივე პირობისა, უფრო ადვილი იქნებოდა.

ასეც მოხდა. შეერთების მანიფესტის ტექსტი უკვე კავკასიაში მყოფ რუსის ჯარის უმფროსს, გენერალ კნორინგს ედო ჯიბეში და მას განსაკუთრებული დარიგებაც ჰქონდა მიღებული თუ რა ხელსაყრელ პირობებში გამოექვეყნებინა იგი, როცა ქართველებს პირმოთნეობის ერთი მაგალითი კიდევ უჩვენეს და ნება მისცეს, რომ უმაღლეს კარზე ერთი დელეგაცია კიდევ გაეგზავნათ. ამ ელჩებს დავითმა თავისი ძმა იოანე ბატონიშვილი უთავა. იოანე ბატონიშვილმა ჯერ კიდევ «ლინიაზედ» (ჩრდილო კავკასიაში) გაიგო, რომ საქართველოს ბედი პეტერბურგში გადაწყვეტილი იყო და ეს ამბავი საიდუმლოდ დავითს შეატყობინა. თავისი მხრით, დავითიც აჩქარებდა იოანეს, პეტერბურგში დროზედ ჩასულიყო და საქმე შეეტრიალებინა. მაგრამ გენერალმა კნორინგმა ეს ელჩები ჯერ კარგა ხანს «ლინიაზედ» შეაჩერა, ხოლო როცა ისინი პეტერბურგს გაისტუმრა, თითონ ტფილისში ჩამოვიდა და თავისი საიდუმლო დავალება სისრულეში მოიყვანა.

ეს ამბავი 1801 წელს, სექტემბრის 12-ს დატრიალდა. ამ დღის გმირი სოლომონ ლეონიძე იყო, რომელიც ისევ გამოჩნდა სცენაზედ.

ისტორიულ წუთს, როდესაც საქართველოს სამეფოს გაუქმების მანიფესტი ცხადდებოდა, ლეონიძემ უკანასკნელი ღონე იძია და დაამტკიცა, რომ უკეთესი ქმნა მას არ შეეძლო. — როდესაც, ქართველებით სავსე და რუსის ჯარებით გარშემორტყმულ სიონის ტაძარში, ჯერი ამ მანიფესტის ქართულად თარგმნაზედ მიდგა, ლეონიძემ რუსებისაგან დანიშნული ოფიციალი მთარგმნელები უკან დასწია და მანიფესტი ისე გადაუთარგმნა ქართველებს, თითქოს რუსეთის იმპერატორი საქართველოს მეფედ დავით ბატონიშვილს აცხადებდა.

ჩამომავლობა მუდამ ჯეროვანის გრძნობით მოიგონებს ლეონიძის ამ სასოწარკვეთილ ნაბიჯს, მაგრამ მისმა ცდამ დავით ბატონიშვილი საქართველოს მეფედ ვერ აქცია.

მანიფესტის უკეთ თარგმნას რუსის სოლდათები შეუდგნენ. სიონში ისინი შეიყვანეს და ერთგულების ფიცი ქართველებს ხიშტების თანადასწრებით მიაღებინეს.

ლეონიძეს დაპატიმრება მოუნდომეს, მაგრამ მან რუსის ალყა უვნებლად გაიარა, ტფილისის უბნებს მოედო და ხალხს აჯანყებისაკენ უხმობდა. მისმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა; ეტყობა, ბედით არ წერებულა, რომ საქართველო ლეონიძეს ეხსნა! მისი მეამბოხე ხმა ტფილისის ზარების რეკამ სჩანთქა, ხოლო ხალხის გულის ყური იმ პროცესიამ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ნიშნად «დიდის ბედნიერებისა» ქალაქის ქუჩებში დადიოდა, დავით ბატონიშვილისაგან გულნაწყენ და რუსებისაგან დევნილს, ეროვ-ნიძეს ქართლში აღარ დაედგომებოდა და იმერეთში გადავიდა, სადაც ახლა სოლომონ მეფეს აძლევდა უშედეგო რჩევებს.

ამ რიგად კნორინგმა დავითის უფლება ტახტის მემკვიდრისა და «საქართველოს მმართველისა» გაუქმებულად გამოაცხადა; «უფროსად განმტკიცებისათვის უფლებისა საერთოდ და ყველასათვის კერძოდ», კნორინგმა «საქართველოს დროებითი მმართველობა» დააწესა. მისი წევრები იყვნენ: ზაალ ბარათაშვილი, იოანე ჩოლოყაშვილი, ეგნატე თუმანიშვილი, სულხან თუმანიშვილი და ქალაქის მელიქი დარჩი ბებუთაშვილი. დავითს ამ მმართველობაში წილი არ ედო. სამაგიეროდ ალექსანდრე ნევსკის ორდენი მიიღო, რომელიც ბატონიშვილმა რუსებს უკან გაუგზავნა, იმ რუსულ მუნდირთან ერთად, რომელსაც ის ატარებდა. გენერალმა კნორინგმა ეს ამბავი დაუყონებლივ იმპერატორს აცნობა და დასძენდა, რომ მიზეზი დავითის მიერ რუსული მუნდირის გახდისა ის გულნაწყენობაა, რომ მეფობას ვერ მიაღწიაო.

ტახტის მემკვიდრეს განკითხვის დღეები დაუდგა. «ეგნატემ რა ქვეყანა უნდა მართოს?»-ო, სწერდა იგი პეტერბურგში მყოფ დავით ონიკაშვილს. ეგნატე თუმანიშვილი ჯერ კიდევ მეფე გიორგის მდივანი იყო და ტახტის მემკვიდრეზედ გაცილებით უმფროსი, რომელსაც ამ დროს ოცდაცამეტი წელი უსრულდებოდა. მაგრამ ამ ნაღვლიან დღეებში ტახტის მემკვიდრე ფიქრობდა, რომ ის იყო არა ოცდაცამეტის, არამედ ათას ორას ოცდაცამეტის წლისა — სწორედ იმდენი, რამდენსაც მეფობდა მისი გვარი საქართველოში.

«ქვეყანას ოთხი პლუტი და ერთი დურაკი მართავს!»-ო, სწერდა იგივე დავითი ბეგლარ ორბელიანს. ეს წერილი რუსებს ჩაუვარდათ ხელში. გაგება იმისი, თუ ვინ იყო ამათში პლუტი და ვინ დურაკი, რაც ბატონიშვილისათვის არსებითად სულ ერთი იყო, რუსებისათვის სახარბიელო გამოდგა და მთელი გამოძიება დანიშნეს. თქმაც არ უნდა, რომ პლუტობა და დურაკობა, რასაც ასე უსვამდა ხაზს ბატონიშვილი, ქვეყნის მართვაში დიდი თავნი არ არის. მაგრამ ისინი არც ისე ცოტანი იყვნენ, როგორც ბატონიშვილი სწერდა და ქვეყანაც თითქოს გამართეს, მაგრამ უბაგრატიონებოდ. ესენი ის ძველი მუივანბეგები იყვნენ, რომლებსაც მმართველობის ძველი ბაგრატიონული სისტემა მოძულებული ჰქონდათ და ახალის «სწავლას» რუსებისაგან აპირებდნენ.

მაგრამ საქმით სხვა აღმოჩნდა. აღმოჩნდა, რომ ამ მდივანბეგებმა ბაგრატიონებს ტყუილად უღალატეს. მათი ხსოვნისათვის გაცილებით უკეთესი იქმნებოდა, რომ ქართულ ხელისუფლებას ბაგრატიონებთან ერთად ჩამოსცლოდნენ. მალე ეს «ახალი» ხალხიც რუსებისათვის გამოუსადეგარი გამოდგა. საჭირო იყო სხვა კაცი და სხვა მაჯა, რომელიც

ყველა იმ ნაშთს აღმოფხვრიდა, რაც ქართველებს მათს დამოუკიდებ-
ლობას და ბაგრატიონებს აგონებდა. საქართველოს იმ დროინდელი ბე-
დის უკუღმართობა იმაშიაც გამოიხატა, რომ ეს კაციც ქართველი გა-
მოდგა. ის იყო თავადი ციციშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VI

პავლე ციციშვილი ემიგრაციაში დაბადებული ქართველი იყო. ვახტანგ მეექვსეს, მრავალთა შორის, რუსეთში თავადი პაატა ციციშვილიც გაჰყვა. რუსის ჯარის კაპიტანი პაატა ციციშვილი შვედებთან ომის დროს, ვილმანსტანდომთან იქმნა მოკლული. მას დარჩა ორი ძე, რომელთაგან უმფროსი დიმიტრი, ჭკვიანი, განათლებული, მოსკოვის საზოგადოებაში მიღებული და ფრიად პატივცემული პირი იყო. დიმიტრი ციციშვილი რუსული გეოდეზიის მამამთავრად ითვლება და მასვე ეკუთვნის პირველი თხუზულება რუსულს ენაზედ «ო მეექვანიი». განათლებული და მწერლობის მოყვარული იყო აგრეთვე მისი ძმაც და ორივეს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ მოსკოვის ქართულ სამწერლო ჯგუფთან, რომელსაც ვახტანგ მეექვსის სიკვდილის შემდეგ, მისი შვილი ბაქარი მეთაურობდა. დიმიტრი ციციშვილს ცოლად ჰყავდა თავადის მიხეილ დავიდოვის ასული — ელიზავეტა და მათი შვილი იყო პავლე, დაბადებული 1754 წელს.

იმ დროის ჩვეულების მიხედვით პავლე ციციშვილი ბავშობიდგანვე ჯარში იქმნა ჩარიცხული. სამხედრო სკოლა გამოჩენილ რუმიანცევის ჯარებში გაიარა. ეკატერინე დიდის «პირადი სურვილით» კაპიტანი პავლე ციციშვილი გრაფის ზუბოვის ჯარში ჩაირიცხა, რომელსაც სპარსეთისაკენ უნდა გაელაშქრა. როგორც ცნობილია, ამ ლაშქრობას სახელი არავისათვის მოუტანია და დიდი პატივი არც ციციშვილს ერგო. მაგრამ ამ «პოხოდს» მისთვის არც სულ უმნიშვნელოდ ჩაუვლია, რადგანაც ბაქოს მიდამოებში და სხვა ადგილებში ყოფნით, კავკასიას და მის საქმეებს პირველად მაშინ გაეცნო. სამხედრო კარიერა მან სხვაგან გააკეთა. პოლონეთთან ომების დროს ციციშვილი უკვე გენერალი იყო და ვილნოს რეტრანშემენტების აღებისათვის წმ. გიორგის ორდენის დიდი ჯვრით იქმნა დაჯილდოვებული. ეკატერინე დიდი «თავის გენერალს» ეძახდა და ახალგაზდა მხედარს ისეთი სახელი ჰქონდა, რომ ვარშავასთან დგომის დროს შესანიშნავი სუვოროვი ჯარებისადმი საგანგებო ბრძანებას სცემდა: «იბრძოლეთ ისე, როგორც მამაცი თავადი ციციშვილი»-ო. ეს ბრწყინვალე კარიერა პავლეს ტახტზედ ასვლამ შეაჩერა. ახალმა იმპერატორმა თავისი დედის ხალხი დაირეკა და ციციშვილიც მათს რიცხვში მოჰყვა.

ციციშვილი მარტოდენ ჩხუბისთავი გენერალის ტიპი არ იყო და განათლებულ კაცად ითვლებოდა. მამის სამწერლო ნიჭი შვილსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჰყვა და მის კალამს ეკუთვნის პოტიომკინზედ დაწერილი სტატია «რუსის სალდათების საუბარი აჩრდილთა სამეფოში». სამხედრო კარიერას ციციშვილი მხოლოდ პავლე პირველის სიკვდილის შემდეგ დაუბრუნდა, როდესაც ტახტზედ ალექსანდრე პირველი ავიდა და ეკატერინე დიდის «ბარტყებს» — არწივები უკვე სამარეში იყვნენ — სამოქმედო ასპარეზი ისევ გაეხსნათ.

ციციშვილს რუსები თავისად სთვლიდნენ და ეს თითქმის მართალია. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რა მხრივ არის ეს მართალი. მან შესანიშნავი რუსული ეპოქა განვლო. ციციშვილი ჯერ ეკატერინე დიდის გენერალი იყო, შემდეგ ალექსანდრე პირველის. ბებია და შვილიშვილი ერთმანეთს ვერას ფერს დააყვედრებდნენ. პირველი ქმრის მკვლელი იყო, მეორე მამისა. მაგრამ ქმრის წახრჩობა და მამის მოკვლა ნეკის ნაპირებზედ ისეთ საქმედ იყო მიჩნეული, რის გამო არც ცოლებს ეყინებოდათ სისხლი, არც შვილებს. ციციშვილი ამ ზნეობრივ გარემოში გამოიზარდა და ამ მხრივ, მართლა, რუსი იყო. მაგრამ ის იყო რუსი, როგორი რუსებიც იყვნენ ბაგრატიონი და ბარკლაი დე ტოლლი, ჩარტორიისკი და ბენიგსენი და საზოგადოთ მთელი ის ნაირი ხალხი უცხო მოდგმისა, რომელიც, სახლში ბედ წახდენილი რუსეთში მიდიოდა, რომ კარიერა თავისი მახვილის ბოლოდგან ამოეგო. ამ გადამთიელი ხალხისათვის რუსული ზნეობრივი გარემო პირდაპირ აღების ღამე იყო და ნაპოლეონიც ისე არ ეხსენიებდა მათ, თუ არა «რენეგატობით».

პოლიტიკისა და ზნეობის იმ გარემოში, რომელშიაც თითონ რომანოვებიც ახალი «რუსები» იყვნენ, წმინდა წყლის რუსობას არც ამ ხალხისაგან ითხოვდნენ. «რუსობის» გამოსაჩინებლად ისიც კმაროდა, თუ ეს ხალხი იმ «მისსიას» გაუწევდა სამსახურს, რომლის მატარებლად რომანოვებს მოჰქონდათ თავი. რამდენი მათგანი ფიქრობდა აშკარა თავ მოტყუილებით, რომ რომანოვების ტახტი მართლა რაღაც განგებას ემსახურებოდა. ამ სიცრუემ, რომლის მეოხებით იმპერია ისე სუდებოდა როგორც ხბო იელზედ, თავის უკიდურესობას სწორედ ალექსანდრე პირველის დროს მიაღწია. იმპერატორი, რომელიც ამდენს ერს აჯდა თავზედ — «ერების მეგობრად და მათი თავისუფლების მხსნელად» იყო მონათლული. ამ სიცრუის გულისათვის ებრძოდა ქართველი ციციშვილი პოლონელებს, როდესაც ვილნოს რეტრანშემენტებს იღებდა და ეტყობა, ამავე სიცრუისათვის უხდიდა მადლობას პოლონელი ჩარტორიისკი, როდესაც ციციშვილს პეტერბურგიდან ბრძანებას ბრძანებაზედ უგზავნიდა როგორ «აეღო» საქართველო.

პირდაპირ გასაოცარია, როგორ უყვარდა ამ ხალხს ალექსანდრე! უფრო გასაოცარია, როგორ უყვარდა ალექსანდრე ყველას. როდესაც იგი პარიზში შედიოდა (ნაპოლეონის დასამხობად!) ფრანგის ქალები გზაზედ ფიანდახს უშლიდნენ. პრუსიის დედოფლის მარია ლუიზას წერილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწმობენ, რომ გულის იმ შეჯიბრებაში, რომელიც ამ ქალის გამო, ნაპოლეონსა და ალექსანდრეს შორის გაიბა, ამ მართლა ნაზი არსების სიმპატიები ალექსანდრეს მხარეზედ იყო. თვით ნაპოლეონიც კი იმ აზრისა იყო, რომ ალექსანდრეს «შესანიშნავი» სახე ჰქონდა. მაგრამ ალექსანდრეს ჰქონდა ისეთი ხასიათი, რომ როცა ამნაირი სახის ხალხი იმპერატორი არ არის, კარიერას კოლეგიის ასესორობით ათავებენ. პუშკინი სწერდა მის შესახებ: —

«პოდ აუსტერლიცემ დროქალ,
ვ დვენადცატომ გოდუ ბექალ,
ზატო ბილ ფრუნტოვოი პროფესორ,
ნუ ფრუნტ გეროიუ ნადოელ,
ტეპერ კოლექსკი ონ ასსესორ —
პო ჩასტი ინოსტრანნიხ დელ!».

ამ «საგარეო» საქმეებში საქართველოს საკითხს უკანასკნელი ადგილი არ ეჭირა. კაცი ვერ წარმოიდგენს იმ სიტლანქეს, რომელსაც ალექსანდრე საქართველოს საქმეებში იჩენდა. იმპერატორი, რომელიც ჯერ უარზედ იდგა რომ ქართულ საქმეებში ჩარეულიყო, ფეიქარიანით ჩაუჯდა საქართველოს და არ იყო ისეთი წვრილმანი საქმე, რომელზედ დღეები არ ეფიქრა. ყოველი ბრძანება, საქართველოში წასული, თითონ უნდა მოეწერა. ყოველი ფარატინი იქიდგან მოსული თითონ უნდა წაეკითხა. მისი რეზოლუციები პირმოთნენი არიან, მისი ბრძანებანი — აღმაშფოთებელნი. საქართველოს ის მოექცა იმ მზდალი ახალგაზრდებით, რომლითაც იქცევიან ქურდები, როცა სხვის ოთახში იპარებიან.

ციციშვილი ასეთი კაცის გამოგზავნილი და ნების აღმასრულებელი იყო. საქართველოში იგი 1803 წლის იანვარში ჩამოვიდა. აღსანიშნავია ერთი წერილი, საიდგანაც ვტყობილობთ, რომ ფიცხი და ლაღი ბუნების ციციშვილი თავის ქართულ ჩამომავლობას არა მალავდა არა მარტო საქართველოში, სადაც ეს გარემოება მისთვის ხელსაყრელი იყო, არამედ თავისი იმპერატორის წინაშეც.

როდესაც ციციშვილი ერევანში იყო სალაშქროდ და ტფილისი იულონ ბატონიშვილის მიერ ატეხილ აჯანყების შიშს განიცდიდა, ის სწერდა ალექსანდრეს: —

«ჩემი დაბრუნების შემდეგ, ღვთის შეწევნით, იმედია ყველაფერს მშვიდობაში და ძველ რიგზედ მოვიყვან, ოღონდ ჩემი თანაშემწენი არ ანგრევდნენ თვითნება განკარგულებით იმას, რასაც მე, ღვთის მადლით, ვახერხებ და რაიცა დაფუძნებულია ერის იმ ცოდნაზედ, რომელიც მამა ჩემის სახლში ბავშობიდგანვე მაქვს შეძენილი»-ო.

სხვა ადგილას ციციშვილი ქართული ისტორიის ცოდნასაც იჩენს როდესაც იგი განჯას შემოადგა, ის სწერდა სახელოვან ჯეკად ხანს: —

«პირველი და მთავარი მიზეზი ჩემის აქ მოსვლისა ის არის, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ დედოფლის დროთგან განჯა საქართველოს ეკუთვნოდა და მხოლოდ ქართველ მეფეთა სისუსტემ წაჰგლიჯა იგი. რუსეთი ეერ-ერეკლეს გულგრილად საქართველოს წატაცებას და არც ძალითა და უხვებით მაღალ შემძლებელის და ღვთისგან მაღლად აზიდულის რუსეთის იმპერიის საკადრისია, რომ განჯა ვითარცა კერძი და ნაწილი საქართველოსი უცხოთა ხელში იყოს»-ო.

როდესაც ციციშვილმა დასავლეთი საქართველო შემოიერთა, მისი ქართულ-რუსული პათოსი უმაღლეს წერტილს აღწევდა.

«საღმთო წადილი თქვენის უდიდებულესობისა», სწერდა იგი იმპერატორს, «რომ შემდგომად იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შემოერთებისა, გადებულ ყოფილიყო კავშირი სამეგრელოს სანაპირო სამთავროსი ტავრიდასთან, მადლი უფალს — აღსრულდა! მეფე სოლომონის ფიცი, რომელსაც უქვემორეს ად გაახლებთ, საწინდარია იმისი, რომ სამეფო ესე, მაღალის განგებით, იმპერიის კუთხედ შეიქმნა და რომ სამეფო საქართველოსი, საქართველოს მეფის ალექსანდრე პირველის მიერ 1390 წელს იმერეთის სამეფოდ და სამეგრელოს სამთავროდ განყოფილი, სრულიად რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველისავე მიერ საუკუნოდ გაერთიანდა».

მაგრამ ციციშვილს მარტო საქართველო არ უნდა გაეერთებინა. მისი დანიშნულება იყო დანარჩენი კავკასიაც რუსეთისათვის შეერთებინა და უნდა აღინიშნოს, რომ სასტიკ ადამიანად ეს მისია უფრო ხდიდა. ამ დანარჩენი კავკასიის დაპყრობას ის შეუდგა ისეთის ხალისით, გატაცებით და ქართული ისტორიული ჯავრის ამოყრის ისეთი სურვილით, რომ მის ქართულ ატავიზმში ეჭვი აღარ უნდა არსებობდეს.

ციციშვილის მიწერ მოწერა განჯის ჯევად-ხანთან ამისი საბუთიც არის და სამხედრო პოლემიკის შეუდარებელი ნიმუშიც.

«მოვედი რა ჯარით ქალაქის ასაღებად», სწერდა იგი ჯევად-ხანს, «თანასმად ევროპიულის ჩვეულებისა და რჯულისა, რომელსაც ვაღიარებ, ვიდრე ადამიანის სისხლის ღვრას შეუდგებოდე, უნდა გამოვიცხადო, რომ ქალაქი დამიცალო. თუ ხვალ შუადღემდე პასუხს არ მიგიღებ ომი გაჩაღდება. მე მოვიტან განჯასთან ცეცხლსა და მახვილს და შეიცნევ, ვიცი თუ არა ქადილის გამართლება».

— «მშინ სპარსეთის შაჰ შორს იყო და მისი დახმარების იმედი არა გვქონდა, მაგრამ დიდება ალახს! ეხლა ახლოა... მერე სად გაგონილა, რომ რუსები სჯობდნენ ვაქკაცობით სპარსელებს?», უთვლიდა ხანი.

«მე ავიღებ ციხეს და მიგცემ სიკვდილს!», სწერდა ციციშვილი.

— «შენ მნახავ მკვდარს ციხის გალავანზედ!», უთვლიდა ისევ ჯევად-ხანი და სიტყვა ორივემ შეასრულა. ციციშვილმა განჯა აიღო, ჯევად-ხანი ციხის გალავანზედ მკვდარი ნახეს.

ციციშვილმა მთელი კავკასია სამს წელიწადში დაიპყრო. მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს საქართველოს სახელით ჩაედინა, ის იქნებოდა ყველაზედ დიდ ქართველი დავით აღმაშენებელის აქეთ. მაგრამ ამას რუსეთისათვის ჩადიოდა და მთელი რუსეთიც ტაშს უკრავდა.

«დიდება ღმერთსა და დიდება შენ!», სწერდა მას ცნობილი გრაფი როსტოპჩინი.

«ჟემარიტად რომ სახელოვანი თავადის ციციშვილის შემდეგ მსგავსი აღარ ყოფილა. არ ვიცი, კიდევ დიდ ხანს ვერ ვიპოვით იმისთანას თუ არა, ჩემ თავად სინიდისის საკურთხეველის წინაშე უნდა ვთქვა, რომ მე იმას ვერ შევედრები»-ო, სწერდა შემდეგში სახელ-განთქმული ერმოლოვი.

ალექსანდრე? ამ «შესანიშნავი» სახის კაცმა იმის მეტი ვერაფერი მოიგონა, რომ განჯის აღების გამო ციციშვილის სალდათებს თითო მანეთი უბოძა. მისი მაღმერთებელი ციციშვილი ცეცხლებს ჰყრიდა და სწერდა როსტოპჩინს: «მანეთებს ვახტ-პარადებში იძლეიან, ციხის აღებაში მედალები უნდოდა»-ო.

მაგრამ ალექსანდრემ აწყენინა არა მარტო სალდათებს, თითონ ციციშვილსაც. განჯის აღებას პეტერბურგში დიდს მნიშვნელობას აწერდნენ; გრაფი როსტოფჩინი მას «აზიის გიბრალტარის» აღებას უძახდა. ციციშვილს უფლება ჰქონდა ეფიქრა, რომ მისი თავდადება შესაფერისად იქნებოდა დაფასებული. მაგრამ იმპერატორმა ციციშვილს მხოლოდ სრული გენერლობა მიულოცა. ამის გამო იგი იმპერატორს სწერდა: —

«ათი წლის წინედ, ვილნოს რეტრანშემენტების იერიშისათვის წმ. გიორგის ორდენის მესამე ხარისხით დაჯილდოვებული, სრული დაიმედებული ვიყავი, რომ ამ ორდენის მეორე ხარისხი არ ამცდებოდა, მაგრამ მისი დაკლება ლაქასა სცხებს ჩემს სამსახურს, ამდენ გზის გაბედნიერებულს თქვენის უდიდებულესობის წაქეზებით»-ო.

იმპერატორი თავის გენერალთან ამის გამო პოლემიკაში ჩაება.

«კანონიერი უფლება სამხედრო ღვაწლისათვის ჯილდოს მოთხოვისა ბოდიშს ვერ მოხდის რაპორტის შეუფერებელ და კადნიერ სიტყვებსა»-ო სწერდა ალექსანდრე.

VII

ციციშვილმა საქართველოში და კავკასიაში სამი წელიწადი დაჰყო და სიმამაცე და მხნეობა არ დაჰკლებია. მთავარი თავისი მოკალება, ბაგრატიონები საქართველოდან გაეძევებინა, მან შეასრულა ისეთის თავგამოდებით, რომელიც სხვა უკეთეს საქმედ ღირდა.

პირველი გამარჯვება მან ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილ დავითზედ მოიპოვა. იმ დღიდგან, რა დღიდგანაც რუსებმა დავითის უფლებანი გააუქმეს, იგი ტფილისს არ გასცილებია და მის მაშინდელ სულისკვეთებას ერთი იმ დროინდელი მოხსენება გეიხატავს.

1802 წელს, სექტემბრის 20-ს, რუსის მოხელე სოკოლოვი სწერს და რუსეთის მინისტრს თავად კურაკინს:

«ამ დღეებში გავიგე სარწმუნო პირისაგან, რომ მას გენერალი აქვს ხელმწიფე თხოვნით შეაჯეროს, რომ უცხო ქვეყნებში მოგზაურობის ნება მიეცეს, მაგრამ ვაი თუ გარდა ცნობისმოყვარეობისა, ამ განზრახულებაში სხვა რამე მავნე მოსაზრებაც იდოს; რადგანაც თავის მგზავრობას ის აპირებს იმერეთიდგან ნაკოსადგურ ფოთზე, შაკს ზღვაზედ, რომელიც გურიელის სამთავროში სდევს, ხოლო აქედგან ანატოლიის ნაპირებით, ან ზღვით — კონსტანტინეპოლისაკენ. შემდეგ ევროპის ნახვა სურს და განსაკუთრებით საფრანგეთისა. ლაპარაკში ფრიად ეტყობა ნაპოლეონით აღტაცება, ვისადმიც განსაკიფრებელის მოწიწებით არის სავსე».

ვოლტერის მიმდევარი რომ ნაპოლეონით აღტაცებული იყო, საკვირველი არაფერია. მაგრამ რუსებმა მგზავრობის ნებართვა არ მისცეს, ან უკეთ რომ ითქვას, ამ მგზავრობის მარშრუტი თითონ შეუდგინეს. ციციშვილმა გადაჭრით მოსთხოვა, რომ მას საქართველო დაეტოვებინა და რუსეთში გადასახლებულიყო. ბატონიშვილმა ციციშვილს ორი წერილით უპასუხა, რომელშიაც ირონია ნაღველში იყო ალესილი და დანებდა.

«მოწყალეო ხელმწიფეო ჩემო!», სწერდა იგი ერთს წერილში, — «მას აქეთ ათას ორას ოცდაცამეტი წელიწადია, რაც იუსტინიანე კეისრის დროს ჩვენი გვარი საქართველოში მოვიდა და ეხლა ასე განუსჯელად ვიდევნებით ჩვენის მამულიდგან. ჩვენ არავის აო ვაბრალებთ ამას თუ არა ჩვენსავე უბედობას...»

მეორე წერილში იგი სწერდა:

«ნება მომეცით აგრეთვე მირმანოზ და დიმიტრი თუმანიშვილები ვიახლო თან, რომ გზა უფრო მხიარულად გავატარო. მე მიმყავს აგრეთვე ჩემი მოძღვარი ნიკიფორე, შიო მღვიმის მონასტრის ბერი, თუ თქვენი ნებაც იქნება, რასაც დიდ მოწყალებად ჩაგითვლით, ვინაიდგან კაცი ესე მწიგნობარია და უსაქმურობაში გულს კითხვით გადაგვიყოლებს».

ეს დიმიტრი თუმანიშვილი პოეტი იყო და ავტორი ცნობილის ლექსისა: —

ახალ აღნაგო სულო და,
ედემში აღმოსულო და,
სიცოცხლეს შენგან მოველი,
უკვდავებაა ხარ ცხოველი!

წიგნით ხელში მოვიდნენ ბაგრატიონები საქართველოში და წიგნით ხელში მიდიოდნენ საქართველოდგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ბატონიშვილმა ტფილისი 1803 წელს, თებერვლის 19-ს დასტოვა. მასთან ერთად იმისი ბიძა, ბატონიშვილი ვახტანგ ირაკლის ძეც მიდიოდა. მცხეთაში მათ შიო მღვიმის ბერები დახვდნენ. ბატონიშვილმა ბერებს თავისი თოფი დაუტოვა და ისე გაუდგა გზას. თებერვლის დღეები არასოდეს საქართველოში კარგი არ არიან და განსაკუთრებით კარგი არ იყვნენ ისინი დავითისათვის. დავით აღმაშენებელის შტო და თამარ დედოფალის შორი შვილიშვილი საქართველოს სამუდამოდ სტოვებდა და ნაღვლიანად უნდა ეფიქრა, რომ ისტორიული ბედი რომ მარტო ჭკუაზედ იყოს დამოკიდებული — ჭკუა მასაც ჰქონდა.

ბატონიშვილის დავითის ამ «ნებაყოფლობითი» გამგზავრებას რუსებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისის სახით საქართველოს სტოვებდა და თავის უფლებაზე ხელს იღებდა მისი კანონიერი და თვით რუსეთისაგან ტახტის მემკვიდრედ აღიარებული ბაგრატიონი, რომელსაც, როგორც ერთი მაშინდელი ქართული პეტიცია ამბობს, «ათასი მეფე» ჰყავდა წინაპრად.

გაიარა მცირე ხანმა და ციციშვილმა სხვა ბაგრატიონებიც რუსეთში გახიზნა. სპარსეთში დარჩნენ და რუსეთთან შერიგება არ ინდომეს ბატონიშვილმა ალექსანდრემ, ირაკლის ძემ და ბატონიშვილმა თეიმურაზმა, გიორგის ძემ. უბედურება მხოლოდ მარიამ დედოფლის გადასახლების გამო დატრიალდა. აპრილის 16-ის ამ ტრაგედიას მეორე რუსის მოხელე კ. ლოფიცკი ასე აგვიწერს:

«დილის ოთხ საათზედ, მეჩვიდმეტე ეგერთა პოლკის ორმა როტამ დედოფლის სახლს ალყა შემოარტყა. დედოფალთან შეგზავნილი ოფიცერნი უკან გამოვიდნენ და გენერალ მ. ლაზარევს მოახსენეს, რომ დედოფალი წასვლაზედ უარს ამბობდა. ლაზარევი თითონ შევიდა მის დასაყოლიებლად, უკან დაბრუნდა და ბრძანების სისრულეში მოსაყვანად ოფიცრები ისევ შეგზავნა. როგორც კი კვარტირმისტრი სუროკოვი დედოფალს მიუახლოვდა, მთელმა სახლობამ ყვირილი ასტეხა. ყვირილზედ ლაზარევი ოთახში შევარდა და როგორც კი დედოფალს მიუახლოვდა, რომ საკუთარის ხელით წამოეყენებინა, მაშინვე მისი ხელით სწრაფი და სასიკვდილო ჭრილობა მიიღო. დედოფლის გადასახლებაზე მის სახლთან თავმოყრილი ხალხი, ამ გაუგონარი საქმით თავზარდაცემული იდგა. ყველა გაფითრებული იყო, როცა მკვდარი ლაზარევი გამოჰქონდათ და მას მოსდევდა ლაზარევის სისხლში და საკუთარ სისხლში მოსვრილი დედოფალი, ვინაიდგან ორი ჭრილობა მასაც ჰქონდა მიღებული. გაოგნებული და სასომიხდილი მეფის ასული თამარი, თავისი მცირეწლოვანი ძმებით, მათზედ მიბჯენილი ხიშტების ალყით, ამ უმაგალითო სცენას ამთავრებდა.»

სურათი, ჭეშმარიტად, სასირცხვილო და უნამუსო იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედოფალი სასწრაფოდ ტრახტრევანში ჩასვეს და რუსეთისაკენ წაიყვანეს. ექიმი მხოლოდ ვერაზედ მოსწიეს, რომ ჭრილობანი მაინც ... მაგრამ რაოდენადაც დიდი იყო სირცხვილი რუსებისათვის, იმოდენად დიდი იყო გამოძახილი ქართველ ხალხში. შორეულ სტეფან-წმინდაში ადგილობრივ რუსის კაპიტან ისპრაენიკს აზნაური დაკით ყაზბეგი გამოეცხადა და უთხრა:

«ჩვენმა ქართველმა დედაკაცმა თქვენი რუსის გენერალი მოკლა»

ეს ნიშნისგება იყო, იქნებ ერთად-ერთი პასუხი, რის გაცემაც ერთ კაცს შეეძლო, მაგრამ საქართველოსათვის ისტორიულ სიტყვაში გახვეული!

ასეთი სირცხვილი ციციშვილს არასოდეს არ განუცდია. თანაც, დედოფალი მისი სახლის შვილი იყო. მაგრამ მთავარი მაინც გაკეთებული იყო. ბაგრატიონებმა საქართველო დასტოვეს!

VIII

ბაგრატიონების საქართველოდგან გაძევება ციციშვილის მოღალეწეობის დასაწყისს ეკუთვნის და საფიქრებელი არ არის, რომ მარიამ დედოფლის გადასახლებით გამოწვეულ მარცხს, მისი გუნება დიდი ხნით წაეხდინოს. ყველა თავისი საქმენი — საქართველოს სამთავროების თავის მოყრა და კავკასიის სახანოების რუსეთთან შეერთებაც — ამის შემდეგ ჩაიდინა. უნდა შერიგებოდა იმასაც, რომ მისი საყვარელი იმპერატორი ხან-გამოშვებით ასეთ პოლემიკაში გადმოდიოდა მასთან. ამიტომ თავის საქმეს მხნედ განაგრძობდა. მაგრამ ხასიათის გადატეხა და საქართველოში დარჩენაზედ გულის აცრუება მასშიაც მოხდა. 1806 წელს ის სწერდა თავის მეგობარს ვასილი ზინოვიევს:

«ხელმწიფე მოწყალეა ჩემი და აქედგან წაყვანას მპირდება. ილოცეთ ჩემთვის, რომ მთელი ან ცოცხალი გამოვიდე. მე გამოგიყვან ბედაურს, სახელად ზაიდ-ხანს, ტანად მაღალს და კარგ მატარებელს და ანდერძითაც შენთვის დატოვებულს, თუ ვინიცობაა მოვკვდი ან მომკლეს. მე შენ მხედრად და მონადირედ მიმაჩნიხარ, ეს კი ჩემი საყვარელი ცხენია და ბრძოლებშიაც იმითი გავდივარ...»

ეს მელანქოლიით სავსე წერილი ძველო მის წერილებს არა ჰგავს, რომლითაც კავკასიის ხანებს თავზარსა სცემდა. ბაქოს ასაღებად რომ მიდიოდა, ისეთი ციებ-ცხელება სჭირდა, რომ მთელ გზას საკაცეთი ატარებდნენ და თავზედაც ჭოტი დაჰკიოდა. უკანასკნელ ხანებში სიკვდილის წინადგრძნობა აწვალებდა. მაგრამ შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს სიკვდილის შიში ერეკებოდა საქართველოდგან. ამისი მიზეზი უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი იყო.

ციციშვილი, ვახტანგ მეექვსის ემიგრაციაში დაბადებული ქართველი იყო. როგორც ზემოდ ვნახეთ, თითონ ციციშვილიც იგონებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მამა ბავშობაში საქართველოს ამბებს უამბობდა. მთავარი ადგილი ამ ამბებში, ცხადია, უნდა სჭეროდა იმ ამბავს, თუ რა უკანონობით დაიპყრეს ქართლის ტახტი კახეთის ბაგრატიონებმა საქართველოს ამითი არაფერი წაუგია. ქართლისა და კახეთისაგან ირაკლიმ ერთი ძლიერი სამეფო შეჰქმნა, რომელმაც სამოცი წელიწადი იარსება. საქართველოს დაუდეგარ ბედის ტრიალში ეს სამოცი წელიწადი არც ისე პატარა მანძილი იყო. მაგრამ ასე არ უცქეროდა საქმეს ქართლელების ეს ემიგრაცია. მუხრან-ბატონებს ქართლის დაბრუნება სურდათ და დიდ ხანს ედავნენ ირაკლის. ეს დავა სავსეა აჯანყებებით, შეთქმულებებით, სისხლითა და ტანჯვით. განსაკუთრებით გაიტანჯა რუსეთში მოქცეული ემიგრაცია. იქ მოკვდა ვახტანგ მეექვსე, ბაქარი, საბა-სულხან ორბელიანი, შესანიშნავი ვახუშტი, დავით გურამიშვილი, მამუკა ბარათაშვილი, მთელი რიგი სხვა მწერლებისა და გამოჩენილი პირების. ამ გაუსარელმა სიცოცხლემ ათქმევინა ერთ მათგანს:

«დავსწყევეთ ვინც რომ მოვიდა
პირველ რუსეთის მხარესა!»

და ამის ბრალს ეს ემიგრაცია კახეთის ბაგრატიონებს სდებდა. ეჭვი არ არის, რომ ის სიძულვილი, რომლითაც ქართლელების ემიგრაცია იყო კახეთის ბაგრატიონებისადმი გაჟღენთილი, ციციშვილმა საქართველოშიაც ჩამოიტანა. ეს სიძულვილი უფრო უნდა გაღვივებოდა, როცა საქართველოში დაბრუნებულმა ემიგრანტმა დიდებული ირაკლის შვილებისა და შვილიშვილების უმწეობა თავისი თვალით ნახა. მისი განუკითხველი საქციელი კახეთის ბაგრატიონებისადმი ამითიც უნდა აიხსნას. მაგრამ ზეპირი ტრადიცია მას სხვა რამესაც აწერს. ამ ტრადიციის თანახმად, ციციშვილს ვითომ თავისთვის უნდოდა საქართველოს ტახტი და ირაკლის ჩამომავლობას ამისათვის მოექცა ასე უდიერათო. მართალია ეს მოსაზრება?

ჩვენის აზრით, შეხედულება, რომ ციციშვილს ტახტი თავისათვის უნდოდა, უკუგდებულ უნდა იქმნას. ამის საბუთად ისიც უნდა კმაროდეს, რომ თვით რუსებს ასეთი ბრალდება არასოდეს არ წამოუყენებიათ. ისეთი რუსები, როგორიც ერმოლოვი და თავადი ვორონცოვი იყვნენ, ციციშვილს თავის მასწავლებლად სთვლიდნენ და კავკასიის დაპყრობის საქმეში მის ერთხელ გათელილ გზას მისდევდნენ.

მაგრამ შესაძლებელია სხვა მოსაზრება და მაშინ, საქართველოს ტახტის ასეთ პრეტენდენტად, ციციშვილის ნაცვლად, სხვა პირი უნდა იქმნას სცენაზედ გამოყვანილი. ეს პირი სახელოვანი პეტრე ბაგრატიონი არის.

პეტრე ბაგრატიონი ვახტანგ მეექვსის სახლის შვილი, ე. ი. ქართლის ბაგრატიონი (მუხრან--ბატონი) და იმავე ემიგრაციის შვილი იყო, რომელსაც პავლე ციციშვილიც ეკუთვნოდა. ამ ორ გამოჩენილ

ქართველს რომ ერთმანეთი უნდა სცნობოდათ, ეჭვიც არ უნდა გვქონდეს. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა, რომ ქართველებმა, სახელდობრ, კავკასიის თავად-აზნაურობამ, სწორედ ციციშვილის შემდეგ გაიბეს კავშირი, რუსეთში გადაკარგულ და მიკიწყებულ პეტრე ბაგრატიონთან. პეტრემ თავისი ძმა რომანი გამოგზავნა, რომელმაც ქართლ-კახეთი მოიარა და ბევრ გავლენიან პირთან კავშირი გაიბა. ამ ამბავში აღსანიშნავია ორი გარემოება. პირველი, რომ, ამ რიგად, ქართლის ბაგრატიონებმა ისევ გაიბეს კავშირი საქართველოსთან, რასაც ირაკლი მეფისაგან დასჯილ პაატა ბატონიშვილის შემდეგ, თითქმის პირველად ჰქონდა ადგილი და მეორე, რომ ციციშვილმა, რომან ბაგრატიონის საქართველოში მოგზაურობაზედ ყური მოიყრუა და თვალი მოხუჭა. ფხიზელი ციციშვილისათვის, რომელსაც ჭიანჭველას მოძრაობაც არ გამოეპარებოდა, ეს უკანასკნელი ფრიად დამახასიათებელია. მაგრამ უფრო ღირსშესანიშნავია მესამე გარემოება. რომან ბაგრატიონის საქართველოში მოგზაურობამ პეტერგურგში ერთი ჩოჩქოლი გამოიწვია. არსებობს მთელი მიწერ-მოწერა პეტერბურგსა და ციციშვილს შორის, საიდგანაც ვტყობილობთ, რომ უკანასკნელმა ამის გამო დიდი საყვედური და ფიცხელი ბრძანება მიიღო, რომან ბაგრატიონი პეტერბურგში დაებრუნებინა.

ადგილი ჰქონდა სხვა ამბავსაც, რომელიც იმავე პეტრე ბაგრატიონის სახელთან არის დაკავშირებული. ზემოდ უკვე იყო მოხსენებული, რომ სარდალი იოანე ორბელიანი და იმისი ქართული ჯარი, ციციშვილმა ბაბახანის წინააღმდეგ გაგზავნა და რომ ეს ჯარი სპარსელებს ერთიანად ტყვედ ჩაუვარდა. ბაბახანმა ისარგებლა იმ გარემოებით, რომ ტყვეთა შორის იორამ მუხრან-ბატონიც იმყოფებოდა, ნათესავი პეტრე ბაგრატიონისა — როსტომ მეფის შემდეგ ქართლის ტახტი მუხრან-ბატონებს ეჭირათ — და მოისურვა მისი და ასლან ორბელიანის საშუალებით, პეტრე ბაგრატიონთან წერილები გაეგზავნა. ეს წერილები რუსებმა ასტრახანში დაიჭირეს და ციციშვილს ეხლა ამის გამო მოუვიდა საყვედური. საქართველოს მთავარმართებელმა აქაც იმართლა თავი. მაგრამ «სასჯელი» ვერ ასცდა პეტრე ბაგრატიონს, რომელიც ამ ხანებში შორეულ ევროპაში იქმნა ნაპოლეონთან სალაშქროდ გაგზავნილი, თუმცა ბრალდება და საყვედური რუსებს იმისთვის არ გაუმხელიათ. ეხლა გასაგები უნდა იყოს, რატომ ვერ იტანდნენ რუსები პეტრე ბაგრატიონის პეტერბურგში ყოფნას და რატომ იყო, რომ ორმოც და ორი წლის ბაგრატიონმა ოც და შვიდი წელიწადი გამუდმებით ბრძოლის ველზედ გაატარა. ამითი უნდა აიხსნას აგრეთვე ისიც, რომ ბაგრატიონი, რომლისთვისაც ომი ზედგამოჭრილი ბუნებრივი სტიქიონი იყო, ხშირად ეურჩებოდა სალაშქროდ ასე შორს სიარულს და გული სხვა ტურფა მანძილის ახლო უწევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ეს შესაძლებელია საბუთი იყოს ვიფიქროთ, რომ პეტრე ბაგრატიონსა და პავლე ციციშვილს შორის რაიმე საიდუმლო თანხმობა არსებობდა და თუ საზოგადოთ საფიქრებელია, რომ ციციშვილს საქართველოს ტახტი ვისთვისმე სურდა, ცხადია — პეტრე ბაგრატიონისათვის და არა თავისათვის.

არსებობს ქართული ანდაზა: «სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრეს»-ო. იცნება როდისმე შესაძლებელი გახდეს დამტკიცება, რომ ეს თქმულება სწორედ ციციშვილის დროს გაჩნდა ჩვენში. მანამდე კიევს ანდაზა ძალიან გვაგონებს ამ ორი შესანიშნავი ქართველის სახელს და ბედს. სანამ პეტრე ბაგრატიონი მოვიდოდა, პავლე ციციშვილს «ტყავი გააძვრეს». ხოლო როდესაც პავლეს ტყავი გააძვრეს, პეტრე სულ აღარ მოვიდა. ექვსი წლის შემდეგ, ბოროდინოს ველზედ, თითონ მასაც გააძვრეს ტყავი.

თუ ეს მოსაზრება სწორია, სწორი უნდა იყოს ისიც, რომ როცა ეს ყოველივე გამოაშკარავდა და პეტრე ბაგრატიონიც რუსებმა შორეულ ევროპაში დაკარგეს, ციციშვილმაც ხელი ჩაიქნია და საქართველოდგან წასვლა სურდა. ზინოვიევთან მიწერილი წერილი ამის საუცხოო დასტური უნდა იყოს.

ამ რიგად, კიდევაც რომ ვიფიქროთ, რომ ციციშვილს ასეთი ქართული ზრახვები ჰქონდა გულში, მათი განხორციელება ვერც ამ ბუმბერაზმა პიროვნებამ შესძლო. ისტორიამ მისგან მხოლოდ ისეთი საქმენი ჩაიბარა, რომელნიც მას რუსულ ბანაკში უჩენენ ბინას.

ციციშვილი არ მომკვდარა და მოჰკლეს. მოჰკლეს ღალატით და ისეთმა ხალხმა, რომელიც სსკანაირად უძლური იყო მას გამკლავებოდა.

ბაქოს აღების დღეს, ციციშვილმა თავისი რუსული ჯარები მოშორებით დასტოვა და ბაქოს ხანის შეეახვედრათ მარტოდენ თავისი ადიუტანტის ხლებით წავიდა. მან ჩაიბარა გასაღები და ისა და ხანი ერთმანეთს გადაეხვივნენ. ამ დროს ციციშვილს და მის ადიუტანტს ზურგიდგან დამბაჩა დაახალეს და მოჰკლეს. ბედის უცნაური ღიმილით ეს ადიუტანტიც ქართველი თავადი, ელიზპარ ქსნის-ერისთავი იყო. რუსის ჯარი ისე გამოიქცა, რომ მკვდრებიც არ აკრიფა.

იქ, აჩრდილთა სამეფოში უნცროსს ამათში შეეძლო ეთქვა უმფროსისათვის: — ჩემო შეუდარებელო ციციშვილო, ვისთვის, რისთვის?

იმ დავაში, რომელიც საქართველოს გამო რუსეთსა და სპარსეთს შორის სწარმოებდა, საქართველო რუსეთს დარჩა, ციციშვილის თავი — სპარსეთს!

«თავი ციციშვილის, აღსავსე სიმამაცითა და მხნეობით, და მკლავნი მისნი, მაგარნი ძარღვნითა, რომელნიც განავრცობდნენ ძლიერებას, მოკვეთილ იქმნენ სხეულისაგან და წარგზავნილი არდებილს, ხოლო იქიდგან დიდის ზეიმით თეირანს...», ამბობს სპარსი ისტორიკოსი.

ასე დაემხო საქართველოს სამეფო!...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:


| | |
|---|---|
| რეო ამონი — სადა ხარ? . . . . . | 3 |
| ,, ,, — მზეო, მზეო! . . . . . | 4 |
| გ. ნაილი — დღიურიდან: დედას . . . . . | 5 |
| გიორგი ყიფიანი — ჩემი მხარე . . . . . | 7 |
| ერიხ მარია რემარკ — დასავლ. ახალი არაფერია | 9 |
| რალფი — ჩემს კუთხეს . . . . . | 25 |
| ,, — ქარიშხალი . . . . . | 29 |
| სტეფანე კასრაძე — პოემა ძმობის შესახებ . . | 27 |
| ვლასა მგელაძე — ცხრათვალა მზე . . . . | 30 |
| გ. ნაცვლიშვილი — მთიან საფრანგეთში . . . | 31 |
| ბ. ბებურიშვილი — ქალწულს . . . . . | 32 |
| დ. ლაღიაშვილი — ცხოვრების ტალღებში . . | 34 |
| ო. შუშანია — ⁂ . . . . . | 35 |
| ვერიკო სოსანი — ძველი ქართული მწერლობა . | 39 |
| ი. მანწკავა — ნიკო გერგესელი . . . . . | 46 |
| შალვა ამირეჯიბი — ადამიანები და საქმენი . | 50 |


ყდა: მხატვარ ბილანიშვილის

სარედაქციო კოლეგია

მისამართი: —

**V. NOSADSÉ**
48, rue de Bagneux, SCEAUX (Seine) France.

Imprimerie du Commerce, Bourg-la-Reine.

ეროვნული
ბიბლიოთეკა